

იხმონიჯ-შეხანეხითი ჟახნანი

№4 (88), 2018, ახილი

ფანი 3 ლანი

ისტორიანი

„ანაბური ფათანი“

ბორიას ჰვანძი სირიასი



ქართლის თავბანძირული
ბრძოლების ეჟო
ედისაბერ I-ის ინგლისში



დასავლეთი საქართველო
დაცემის ქრონიკები

„50 პერსონა —
მათი შექმნას
ისტორია“

ტომი XXVI

„ჩინგობ-ყაენი“

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად — 8 ლარი

კალიგულას „მეროს
გემეზი“ ტბის ძირას

ცივილიზაციათა
შეჯახება იერუსალიმსა
და პალესტინაში

ფერუმარილიდან
ინანთეულამდე


ბულგარული „ხორცსაგავი“

ორსონ უელსის ჯანყი
კოლიგულში

ვესტანბ VI

ტომი 3

ქართველი მეფეები
პატრიონი და მსახური ქვეყნისანი



24 თოგად



წიგნის სპეციალური

ფასი 5.50 ლ

გაზეთთან
ერთად 7 ლ

უაღრესე




ტომი 4

გაზეთ „ვესტანბ VI“ ერთად
იღებთ, რომელიც ძვირფასია!

26
მანძილან

იკითხეთ წიგნის მალაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing www.palitra.l.ge



სახიჯუი

ფოტოსაბანძეი
 კირველი ქართული მხატვრული
 ფილმი 100 წლისაა 6

მოხელე აბაზი
 XVI საუკუნის „კოლოსი“ ფლორენციაში 7

მოხელე აბაზი
 კალიგულას „იქროს გეგები“ ტბის ძირას ... 8

ახალი აბაზი
 ეგვიპტეში დაკარგული საბანძური და
 უმაღლესი ძურუბის შუბია იკოპოს 11

სხოუჩაბი ღონე ახოლე ნინ ნინ
 საუკუნის წინანდელი ხელფასები და
 ფასები (ნაწილი II) 12

საუხოთველს იხმოხია
 დასავლეთი საქართველო —
 დაცემის ქრონიკები 19

საუხოთველო და ეხოუნა
 ქართლის თავგანწირული ბრძოლების
 მხო მლისაბად I-ის ინგლისში 23

მოხელე
 ქართული ფალერისტების სათავეებთან 27

თვანსაზიხისი
 რას გგანწავლის კველი ქართული
 დიკლომატია 30

უხნოზი ნაიჩეაბი
 „ბოლშევიკური დიდმოურავიანი“ 36



39



42



50



58



64



73

სახიჩვი

მოხალ აბაბი
 იერუსალიმის ქალაქისთვის
 ფერილების საბაჭდამი 27 სასუქუნისაა 39

ახო აღმოსავლეთი
 ცივილიზაციისთვის უმჯახება იერუსალიმსა
 და პალესტინაში (ნაწილი II)..... 42

ჯინოს ისოჩიონა
 ორსონ უელსის ჯანყი კოლიფუღში 50

მაჩიანის ისოჩიონა
 ფერუბარილიდან ინანთუქლამდე 58

ჯაშუაქი თაბაბი
 ბულბარული „სორცსაქპი“ (ნაწილი II)..... 64

უახანი ისოჩიონა
 „ბარაბული ჯამთარი“ 73

ქაითუი ქაბელი
 დავითბარაქა 80

უახსლები ნახსელიან
 ამონარდები კველი
 შურნალ-გავამთებოდან 88

სკანვორდი 90

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შექენა შეგიძლიათ
 „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

ჩვენს სკოლაში

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი წლებულს, 15 მარტს განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპის 7 ძეგლს შორის დაასახელეს. ეს ნიშნავს, რომ ძეგლის გადარჩენის საქმეში უცხოელ პროფესიონალთა გუნდიც ჩაერთვება, წლის ბოლომდე შეიქმნება სამოქმედო გეგმა-სტრატეგია და დაფინანსების წყაროების მოძიებაზეც იზრუნებენ. რუბრიკით „ქართული ძეგლები“ შეიტყობთ, რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს საამაყო რელიგიურ-კულტურული ცენტრი.

XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე — ამ პერიოდის დასავლეთი საქართველო შეიძლება დასახელდეს ფეოდალური ანარქიის ყველაზე მხელად წარმოსადგენ მაგალითად. სამეფო ტახტზე უკვე არა მხოლოდ ბაგრატიონები, არამედ დადიანები, გურიელები, აბაშიძეები და ზოგიერთი სხვა გვარის დიდებულებიც კი ადიოდნენ (მათ შორის ჭუჭუნაშვილი, ბაგრატიონთა ნათესავი). 60 წლის განმავლობაში იმერეთში მეფე 30-ჯერ შეიცვალა (ამათგან 7 მოკლეს). დაუსრულებელი შინაომების კვალდაკვალ, შეირყა სარწმუნოება, მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობა გაჩანაგდა ტყვეთა სყიდვით... ეს გახლდათ ტოტალური, საუკუნოვანი დაცემა. ამ პერიოდის შესახებ მოგითხრობთ რუბრიკაში „საქართველოს ისტორია“.

ბაშარ ასადი, 26 წლის ოფთალმოლოგი, 1991 წელს დამასკოდან ლონდონში გაემგზავრა სტაჟირებისთვის, თუმცა იქ დაყოვნდა და ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა. ლონდონში მოკრძალებულად ცხოვრობდა. სამ წელიწადში, უფროსი ძმის დალუპვის შემდეგ, ბაშარი დამასკოში დააბრუნეს — ძალაუფლებისთვის მოსამზადებლად... ასადის მთავარი განსხვავება დანარჩენი მეზობლებისგან — არაბი დიქტატორებისგან — მდგომარეობდა პანიკურ შიშში ფერადი რევოლუციის მიმართ. 2011 წელს დადგა „არაბული გაზაფხული“ — მასობრივი პროტესტების შედეგად ჩამოაგდეს ლიდერები ტუნისში, ლიბიასა და ეგვიპტეში. ასადმა კი ნებისმიერ ფასად წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა. როგორ დადგა „არაბული ზამთარი“ სირიაში და რა როლი ითამაშა ამაში რუსეთის მხარდაჭერამ, — ამ და სხვა საკითხებს წინამდებარე ნომერში გაეცნობით.

ჟურნალი კვლავ გთავაზობთ ტრადიციულ რუბრიკებს — „ჯამშუშური თამაშები“, „ქართული ძეგლები“, „ფურცლები წარსულიდან“ და სხვ.



დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპის 7 ძეგლს შორის დაასახელეს, მისი გადარჩენის საქმეში უცხოელი სპეციალისტებიც ჩაერთვებიან

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯანა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაია, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭკაურიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებბძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45
e-mail: istoriani@palitra.ge

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მითანა უფასო!



კადრი პირველი ქართული მხატვრული ფილმიდან „ქრისტინე“

პირველი ქართული მხატვრული ფილმი 100 წლისაა

ალექსანდრე წუწუნავას გამოუქვეყნებელი ფოტო

2018 ქართული მხატვრული კინოს საიუბილეო წელია. სწორედ ერთი საუკუნის წინ დაასრულა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ პირველი მხატვრული ფილმის, (მუნჯი/დრამა) „ქრისტინეს“ გადაღება ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ფილმში ერთი ლამაზი

სოფლელი გოგოს ტრაგედიაა ასახული და მაყურებლის თანაგრძნობა და სიყვარულიც დაიმსახურა. მართალია, ფილმი კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი არ ყოფილა, მაგრამ რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ სწორედ ამ ფილმით დაუდო სათავე ქართული მხატვრული კინოს ისტორიას... წლეულს ამ ფილმის საუკუნოვანი იუბილე აღინიშნება.

„ქრისტინეს“ გადაღებისა და მისი შემოქმედებითი კოლექტივის შესახებ საგულისხმო მასალები ინახება საქართველოს ხელოვნების სასახლის არქივში. მათ შორისაა ფილმის რეჟისორისა და სცენარის ავტორის ალექსანდრე წუწუნავას ახალგაზრდობის დროინდელი (გადაღებულია 1912 წელს) ექსკლუზიური ფოტო, რომელსაც პირველად ჟურნალ „ისტორიანში“ ვაქვეყნებთ.

ფილმში ქრისტინეს როლს თეატრის მსახიობი ანტონინა აბელიშვილი ასრულებდა. ასევე მონაწილეობდნენ შემდგომში ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც იყვნენ ცეცილია წუწუნავა და ვასო აბაშიძე. აქვე გთავაზობთ კადრს პირველი ქართული მხატვრული ფილმიდან „ქრისტინე“.

გიორგი კალანდია

საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი



ალექსანდრე წუწუნავა (1912 წ)

XVI საუკუნის „კოლოსი“ ფლორენციაში



სკულპტურის მოდელი

სათავსო ქანდაკებაში



ეს ეპიკური კოლოსი აპენინის მთების სიმბოლოა. 10 მეტრი სიმაღლის ნახევრად ადამიანსა და ნახევრად მთას სახელად „აპენინო“ უწოდეს იგი XVI საუკუნის მეორე ნახევარში ააგო მოქანდაკე ჯამბოლონიამ (ფლამანდელი ოსტატის ნამდვილი სახელია ჟან დე ბულონი, მუშაობდა ფლორენციაში მედიჩების კარზე, აგრეთვე ბოლონიაში, გენუასა და ლუკაში). „მთების ღვთაება“ ტოსკანაში, ვილა დე პრატოლინოში დგას.

ქანდაკებაში რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების სათავსოა, რომელთა საშუალებითაც კოლოსი ცოცხლდებოდა. მონსტრის მარცხენა ხელიდან შადრევანი მოჩქეფდა,

რომელიც მიწისქვეშა წყლის ნაკადით იკვებებოდა. ქანდაკების თავში განლაგებული ბუხრის ანთების შემთხვევაში, კვამლი მისი ნესტოებიდან გამოდიოდა.

მანიერიზმის ცნობილ წარმომადგენელ ჯამბოლონიასთვის უცხო არ იყო ასეთი ნაკეთობები — იგი ქმნიდა მდიდრულ დეკორატიულ შადრევნებს, სკულპტურულ ჯგუფებს, ცხენიან ძეგლებს, ცდილობდა ქანდაკების შერწყმას ბუნებასთან. აღსანიშნავია, რომ ის ისწრაფოდა შეექმნა „იდეალური მრგვალი“ ქანდაკება, რომელსაც ექნებოდა თავისუფალი სივრცე და აღიქმებოდა ყოველი მხრიდან...

boredpanda.com-ის მიხედვით

კალიგულას „ოქროს გემები“ ტბის ძირას



ზომალდების ნაწილებს შემოახვევს დატენიანებული ქსოვილები, რომლებიც გაჯერებული იყო ფისით, გამსხნელებითა და ფორმალინითაც კი, ხეტყის დაშლის შესაჩერებლად

ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყალქვეშა არქეოლოგიური აღმოჩენა იყო კალიგულას ორი უზარმაზარი ზომალდის ამოღება ნემის ტბის ფსკერიდან.

იტალიელები კალიგულას
გემებს ათვალიერებენ (1932 წ.)





ბენიტო მუსოლინი ნემის გემების მუზეუმში

რომის სამხრეთით, 30 კილომეტრში მდებარე ნემის ტბა ვულკანურ ქვაბულში წარმოიქმნა. მისი ფართობი 1,63 კვკმ-ია, მაქსიმალური სიღრმე — 33 მეტრი, ჩაფლულია ტყეში და მისი სახელწოდებაც ლათინურად კორომს ნიშნავს. ნემის ტბის მიდამოები ყოველთვის გამოირჩეოდა სილამაზით. ვარაუდობენ, რომ ამიტომაც აირჩია კალიგულამ ეს ადგილი გასართობი მდიდრული ხომალდების ასაგებად. ისინი იმპერატორის მკვლელობის შემდეგ გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს ჩაძირეს.



ნემის ტბა რომიდან 30-მდე კილომეტრშია

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენო!..

 დაარკათ: 219 60 13

 მოგვწერათ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



მუზეუმში დაცული ხომალდები 1944 წელს განადგურდა

უძველეს დროში რეგიონში მრავალ დღეთა-ბას სცემდნენ თავყანს, ანტიკურ პერიოდში კი ნემის ტბა ქალღმერთ დიანას დაუკავშირეს, წყლის ზედაპირსაც „დიანას სარკე“ უწოდეს.

რომაელი ისტორიკოსი გაიუს სევეტონიუსი აღწერს კედრის ხისგან აგებულ ორ უდიდეს ბრტყელ ხომალდს, რომლებიც შემკული იყო მდიდრული ქანდაკებებით, იისფერი აბრეშუმის იაღქნებით, ძვირფასი აბაზანებით, მოზაიკით დაფარული იატაკით, ფანჯრებისა და კარების ჩარჩოები კი ბრინჯაოსგან



რეკონსტრუქცია

დღეს დამთავალიერებლებს მხოლოდ მაკეტების ნახვა შეუძლიათ




იყო დამზადებული. ხომალდებზე ასევე იყო ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი და ენით აუწერელი სილამაზის სამკაულები.

ამას გარდა, ხომალდებზე იყო გათბობისა და წყალგაყვანილობის სისტემები — ტყვიის მილების გამოყენებით, დგუმიანი ტუმბოები გემებს ცხელი და გამდინარე ცივი წყლით ამარაგებდნენ. ცალკე იყო სასმელი წყლის მილსადენი. მთელი ეს „სანტექნიკა“ მოგვიანებით დაიკარგა და მხოლოდ შუა საუკუნეებში „აღმოაჩინეს“ კვლავ.

ტბის ფსკერზე კალიგულას გემების არსებობის შესახებ საუკუნეების განმავლობაში იყო ცნობილი. 1444 წელს კარდინალმა პროსპერო კოლონამ დააპირა მათი ამოღება, თუმცა უშედეგოდ. 1827 წელს გემების ამოღება ვინმე ანესიო ფუსკონიმ სცადა — მოტივტივე დიდი პლატფორმა ააგო, თუმცა ამოღების მცდელობისას რამდენიმე გვარლი გაწყდა. ფუსკონი უფრო მტკიცე გვარლების მოსაძიებლად გაეშურა, დაბრუნებულს კი პლატფორმის ნაცვლად მოსახლეობის მიერ მისგან დამზადებული ღვინის კასრები დახვდა... 1880-იან წლებში ნემის ტბაზე ექსპედიცია მოაწყო ბრიტანეთის ელჩმა იტალიაში, რა დროსაც მყვინთაებმა ხომალდები მარმარილოსა და ბრინჯაოს ნივთებისგან „გაათავისუფლეს“. ამას გარდა, ადგილობრივი მეთევზეებიც საგანგებო კაუჭებით გამუდმებით ახერხებდნენ ცალკეული არტეფაქტის მოხელთებას, რომელთაც ტურისტები ყიდულობდნენ.

საბოლოოდ, 1928 წელს მუსოლინის ბრძანებით ნემის ტბიდან ტუმბოებით წყლის გადაქაჩვა დაიწყო და 1932 წელს ფსკერზე ორი შესანიშნავად შენახული ხომალდი გამოჩნდა. ერთი ხომალდის სიგრძე 73, სიგანე კი 24 მეტრი იყო, მეორის სიგრძე-სიგანე კი 70 და 20 მეტრი. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მცურავ დიანას ტაძარს წარმოადგენდა, დიდი ხომალდი კი — მცურავ სასახლეს. გაირკვა, რომ დიდ გემზე მენიხბეები ჰყავდათ, მოძვრო კი მხოლოდ ბარჟის პრინციპით მოძრაობდა. გემები ნაპირზე საგანგებოდ აგებული რკინიგზით ამოიტანეს და კონსერვაციის შემდეგ სპეციალურ მუზეუმში მოათავსეს. თუმცა, 1944 წელს, მეორე მსოფლიოს ომის დროს, მუზეუმიცა და გემებიც ხანძარმა გაანადგურა. დღეს მუზეუმი კვლავ ღიაა, ოღონდ იქ უკვე ხომალდების შედარებით მცირე მაკეტები დევს.

rarehistoricalphotos.com-ის მიხედვით



თოტის გამოსახულება ამონის დიდ ტაძარში, კარნაკში

ეგვიპტეში დაკარგული საბანძური და უმაღლესი ქურუმის მუშია იპოვეს

არქეოლოგებმა ქაიროს სამხრეთით, ელ-მინაის პროვინციაში ხელუხლებელი ძველევგვიპტური ნეკროპოლისი აღმოაჩინეს, რომელშიც რამდენიმე სამარხი და ათეულობით სარკოფაგია. ამას გარდა, სამარხში აღმოჩნდა ძვირფასი ქვები და ეგვიპტელთა წმინდა სიმბოლოები.

კომპლექსი აერთიანებს რამდენიმე შახტსა და საოჯახო სამარხებს. ამ ეტაპზე გათხრების შედეგად უკვე მიაკვლიეს 40 სარკოფაგსა და 8 სამარხს. ასე რომ, მეცნიერებს ბევრი რამ აქვთ ისეთი, რომლის გამოსაკვლევადაც მრავალი წელიწადი დასჭირდებათ.

კალედ ელ-ენანი, ეგვიპტის სიძველეთა მინისტრი: „სულ ცოტა 5 წელიწადი დაგეგმირდება ნეკროპოლისზე სამუშაოდ. ეს ახალი აღმოჩენების მხოლოდ დასაწყისია“.

ერთ-ერთ საფლავში დაკრძალულია ჯეჰუთი-ირდი-ესი — სიბრძნისა და მეცნიერების ძველევგვიპტური ღვთაების, თოტის უმაღლესი ქურუმი. ვის ეკუთვნოდა სარკოფაგი, მეცნიერებმა ეს იეროგლიფების გაშიფვრის შემდეგ დაადგინეს. მასზე ასევე ეწერა, რომ ქურუმი „ხუთთაგან ერთ-ერთი დიდებულის“ სახელს ატარებდა. ჯეჰუთ-ირდი-ესის მუმიას ბრინჯაოს ყელსაბამი აქვს, რომელიც ლურჯი და წითელი ძვირფასი ქვებით არის შემკული.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ნეკროპოლისში განთავსებული სამარხები და სარკოფაგები ძველი ეგვიპტის გვიანდელ და პტოლემეის პერიოდს განეკუთვნება — ალექსანდრე დიდის გარდაცვალებიდან კლეოპატრას მმართველობამდე.

sciencealert.com-ის მიხედვით



ღვთაება თოტის უმაღლესი ქურუმის სარკოფაგი

ერთ-ერთი ახლადმოჩენილი ქვის სარკოფაგი



საუკუნის წინანდელი ხელფასები და ფასები

შრომის ანაზღაურება და ფასები
I მსოფლიო ომამდე რუსეთის
იმპერიაში (ნაწილი II)

„ისტორიანი“ განაგრძობს ბეჭდვას სტატიისა, რომელშიც განხილულია ქართველ მოღვაწეთა ცნობები XIX საუკუნის მიწურულიდან 1914 წლამდე რუსეთის იმპერიაში არსებული ფასებისა და ხელფასების შესახებ. ამის შესახებ ნაწილობრივ უკვე იყო მოთხრობილი სტატიის პირველ ნაწილში, რომელშიც მიმოხილულია იმდროინდელი რუსული ფულადი სისტემაც.

◆ საზოგადო და თეატრალური მოღვაწე ნიკო ავალიშვილი (1844-1929) იგონებდა, რომ 1912 წლის მიწურულს, კავკასიის საოლქო-საინტენდანტო სამმართველოდან გადადგომის შემდეგ, მას თვიურ პენსიად 86 მანეთი დაუნიშნეს.

◆ იმპერიაში არსებული ფასებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ საყურადღებო ცნობებია შემონახული ვაჟა-ფშაველასა (1861-1915) და მისი ძმების მიმოწერაში.

ვიტეს რეფორმის შემდეგ გამოშვებულ რუსულ ვერცხლის მონეტებს შორის უმცირესი ღირებულების ფულის — 5-კაპიკიანის ავერსი და რევერსი. მომდევნო ვერცხლის მონეტებზე (10, 15 და 20-კაპიკიანები) იცვლებოდა ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი და წონა, ხოლო მათი რევერსი უცვლელი რჩებოდა



ფინანსთა მინისტრ სერგეი ვიტეს რეფორმის შემდეგ გამოშვებული რუსეთის იმპერიის ყველაზე მაღალი ღირებულების ბანკნოტის — 500-მანეთიანის ავერსი იმპერატორ პეტრე I-ის გამოსახულებით (1912 წელი). ფრაგმენტი

ვაჟა პეტრე უმიკაშვილს 1894 წელს სწერდა: „ჯიბესთან მწყრალად გახლავარ. გზის ფული არა მაქვს. მინდა ლიტერატურული ფონდიდან ვისესხო და თუ ხელი გამიმართეს, პირდაპირ ქალაქში ჩამოვალ ცხვედაძესთან. უფულოდ კი



ფეხსაც ვერსად გადავსდგამ. თავართქილაძესთან ლაპარაკი გქონიათ ჩემი ნაწერების გამოცემაზე; მაგ პირობით არ შემიძლიან ნაწერების დათმობა. ჩემთვის ფულია დღეს საჭირო. ვაჟიც მომესწრო, ქვლა დრო აქვს იმასაც სწავლისა. თუ უნდა ნამდვილად, გულით, მე დავუთმობ ყველა ჩემს ნაწერებს ას თუმნად“.

1892 წლის 31 მაისს თელავში მყოფი ალექსანდრე რაზიკაშვილი თედო რაზიკაშვილს სწერდა: „ლუკას მოცემული 7 მანეთი და შენი მოცემული 1 თუმანი სულ გამითავდა, ძმაო, ისე რომ კაპიკი აღარ დამრჩა. იმიტომ რომ იმ ფულიდგან სახლის პატრონს მივეცი რვა მანეთი, ნისია მემართა საბნისპირის და ფეხის ჩითისა ორი მანეთი — ის მოვიშორე... პირის სახოცი ვიყიდე — ათი შაური, სარტყლის და ხანჯლის გაკეთებაში — თოთხმეტი შაური. რაც დამრჩა, ის კიდევ ძმაო აპრილის ცამეტიდან ამ მაისის გასვლამდე მეყოფინა მძღოვს. ქვლა კი კაპიკი აღარ მაქვს... ერთი-ორი მანეთი გამომიგზავნე“.

1899 წლის 25 ნოემბერს ალექსანდრე თედოს სწერდა: „ამ სამთვენახევარში 86 მანეთი ავიღე ჯამაგირი. აქედამ 20 მანეთი კასაში შევიტანე. ვიყიდე პოლსაპოშკები და კალოშები — 7 მან. 40 კაპ., შვეკერინე ზამთრის ქული — 3 მ., ზეწარი — 90 კ., მუთაქა არა მქონდა, ისიც ვიყიდე — 50 კ.“

1900 წლის 5 მაისს ელისავეტპოლში (განჯა) მყოფი მიხეილ რაზიკაშვილი ალექსანდრეს სწერდა: „აქ ამ ერთ კვირამდის იქნება ვაკანსია გაიხსნას მწერლისა «Государственное Управление»-ში, რომელიც ჩემთვის უნდათ ქართველებს აქ მოსამსახურეებს, რადგანაც მარტო ორნი არიან ქართველები (Делопроизводитель Бакрадзе и помощ. Бакрадзе и помощ. делопроиз. Церетели). უკანასკნელი ნათესავია ვასოსი და ჩვენთანა ცხოვრობს. Получает 50 рублей в месяц. ეს ორი დღეა დავეყვარ უპრავლენიეში, მაწერინებს, რომ ხელი გაგემართოსო. და რაწამს ვაკანსია გაიხსნება, ვეცდებით, რომ მიგაღებინოთო. მაგრამ ბევრი-ბევრი დამინიშნონ თვეში 20 მ. ნამსახური მწერლები იღებენ 25 მ.“


1906 წლის 8 აპრილს თედო რაზიკაშვილი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას სწერდა: „ჯეჯილის“ საქმე გამოაკეთეთ თუ ვერა? მეც მასალის გაგზავნას „ნაკადულში“ დავეხარბე, რადგან იმედი მქონდა თავის დროზედ მომაწოდებდა ჰონორარის რაღაც საცოდავ გროშებს, რადგან ქვლა ასე გვიჭირს და სხვა საღსა-



ნიკო ავალიშვილი ქართლ-კახეთის თავადანზნურთა ტრადიციული აღკაზმულობით (XIX საუკუნე)

თედო სახოკია (XX საუკუნის დასაწყისი)





რუსეთის იმპერიის 100-მანეთიანი, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის გამოსახულებით (1910 წ.)

რი არა გვაქვს-რა. მაგრამ პატივცემულმა მარიამმა „ბუს ფეხის“ კუთვნილი (შარშან ენკენისთვის ნომერში დაიბეჭდა) ფულიდან, სულ რაღაც 22 მ. (სტრიქონ პროზაში 5 კ. იძლევა, ლექსში — 10 კ.) მხოლოდ ჯერჯერობით 10 მ. მომწოდა. თქვენგანაც მივიღე 7 მ., რისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ“.

◆ თელო სახოკიას (1868-1956) მემუარებში, რომელშიც მოთხრობილია 1908 წელს ავტორის მოგზაურობა მატარებლით ციმბირისკენ (პატიმრის რანგში), ვკითხულობთ: „გაუწარეთ ჩელიაბინსკს... სადგურებზე გლჭებებს გამოაქვთ: გოჭები, ინდოურები, ბატები, ქათმები, კარაქი, მსუქანი რძე... შემწვარ გოჭს 8-10 გირვანქიანს — სამ აბაზად აფასებენ... არაინ ისეთი მუშტრებიც, რომელთაც ეს ფასი ებეგრებათ და ეჩინებებიან, ორ აბაზად აძლევენ... ინდოური 7-8 გირვანქიანი — ათ

შაურად, ბატი — ორ აბაზად, მთელი ბოთლი საუკეთესო რძე, ნაღებით სავსე — შაურად, საუცხოო კარაქი — ექვს შაურად გირვანქა, პური — კაპიკად გირვანქა. ჩვენმა კომუნამ, ათი კაცისაგან შემდგარმა, ერთი გოჭი იყიდა, ზედ მიაყოლა ინდოური და ერთი აბაზის რძეც. ჩვენც გავძებით, კონვოის სალდათებიც დავიწვიეთ და ისინიც მადლიერები დაგვრჩნენ“.

◆ საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი ვლადიმერ ნაცვლიშვილი (1871-1946), რომელიც წერდა ფსევდონიმით „ლადო ბზვანელი“, იგონებდა: „1897 წლის 1 სექტემბრიდან დამნიშნეს ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველად... დავრჩი 10 წელიწადს... ჯამაგირი მემღეოდა ერთკლასიანებში წლიურად 240 მანეთი, ორკლასიანებში — 400, ბინითა და გათობა-მსახურით. ცხოვრება იაფი იყო... განათლების სამინისტროდან წარმატებისათვის ზშირად მეგზავნებოდა დახმარების სახით ჯილდო — 125-150-200 მან. ერთდროულად... 1907 წლის სექტემბრიდან იწყება ჩემი მუშაობა-მოღვაწეობის მეორე ხანა ქალაქის ფარგლებში... იმ დროს ქუთაისში არსებობდა 5-6 სკოლა... ჯამაგირი იყო წლიურად 500 და სამ-სამი წლის შემდეგ პერიოდული მომატებანი, სულ სამჯერ წლიურად 100-100 მან.“

◆ მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი (1876-1929) იგონებდა: „1895 წელს დაგამთავრე გიმნაზია და გავემართე პეტერბურგს. დიდის დავიდარაბის შემდეგ, დამინიშნეს სტიპენდია — 20 მანეთი თვეში“.

◆ მოსკოვში სასწავლებლად ჩასულ ქართველ სტუდენტთა მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული მთარგმნელისა და მხატვრის, ლადო ჯაფარიძის (1887-1981) მოგონებებში, რომელიც 1906 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ლ. ჯაფარიძე იგონებდა: „ქართველი სტუდენტები მოსკოვში მაინცდამაინც გაჭირვებულნი არ იყვნენ. რაკი მაშინდელ... მოსკოვს უფრო ძვირ ქალაქად იცნობდნენ, ამიტომ იქ მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტები ჩადიოდნენ. მათ შორის იყვნენ დავით სარაჯიშვილის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თავადაზნაურთა და სხვათა სახელობის სტიპენდიატებიც, რომელთაც

თვეში 15-დან — 50 მანეთამდე თანხა ჰქონდათ.....სტიპენდიები კავკასიის სასწავლო ოლქსაც საკმარისად ჰქონდა, მაგრამ ეს თანხა განკუთვნილი იყო მხოლოდ ოდესასა თუ ხარკოვში მყოფი სტუდენტებისათვის. იყვნენ შეძლებული ოჯახის შვილებიც... მაგალითად დავასახელებდი ოთხ მძა ფორაქიშვილს, რომელთაგან თითოეული ხუთ თუმანს იღებდა...

სტუდენტი თუ 20-25 მანეთზე ნაკლებს იღებდა, უფასოდ სადილობდა სტუდენტურ სასადილოში... თვეში სადილი 6 მან. ღირდა, ე.ი. თითო ულუფა — 20 კაპ. სადილი ჩინებული გახლდათ პირველი უთუოდ ხორციით იყო დამზადებული, რომელიც შეიძლებოდა განმეორებოდაც მოგეთხოვიათ. მეორეც ასევე ხორციული იყო, თანაც იმდენი, რომ ზოგი ვერც ერეოდა... ამგვარად, სადილი სტუდენტს თვეში 6 მ. უჯდებოდა, ხოლო დაქირავებულ ოთახთან ერთად სულ 16-18 მ. რა თქმა უნდა, გაჭირვებით, მაგრამ 25 მ. მაინც საკმარისი იყო. მე და ჩემი მძა ერთდროულად 50-ს ვიღებდით და საესეებით გვეყოფინდა. ოთახში 20-ზე მეტი არ იხარჯებოდა, ზოგჯერ — 17-18. ამიტომ, ზამთრის სუსხში სადილს ხშირად სახლშივე ვიღებდით, ან იქვე მის ახლოს; ამას შინაურ სადილს ეძახდნენ, სუფთა ერბოზე მზადდებოდა; სამაგიეროდ, თვეში 7 მ. ჯდებოდა.

ღილის საუზმე ჩაით იწყებოდა. „სამოვარი“ დილა-საღამოს — ოთახის ქირაში შედიოდა, ოღონდ მოსამსახურისათვის „საჩუქრად“ 50 ან 75 კაპ. უნდა მიგვეცა თვეში. კარაქი, პური, შაქარი და ზეთი ცალკე ხარჯი იყო, ისიც კაპიკები... გაზეთი იმ დროს 3 კაპ. ღირდა... შევიცარს ყოველთვიურად ვაძლევდით 75 კაპიკს, რათა ტელეფონზე დავეძახეთ ხოლმე... ასე, რომ 25 მ. ერთი სტუდენტისათვის ყველა ხარჯის დასაფარავად, სრულიად საკმარისი იყო. ხოლო თუ ეს არ ჰყოფინდა, შეეძლო რაიმე სამუშაოზე მოწყობილიყო... ყველაზე იოლი იყო რეპეტიტორობა...

მაღე მოსკოვში მე და გრიგოლს ორი უმცროსი მძა — ვალერიანი და ალექსანდრეც შემოგვიერთდა. თუმცა არსებობა არ გვაჭირდა, მაინც ვმუშაობდით დიდ საოპერო თეატრში... ძირითადად მისობრივ სცენებში ვიღებდით მონაწილეობას... ჩვენ როლებშიც ვიყავით ხოლმე დაკაუბულნი და ამიტომ რეპეტიციებზეც ხშირად გვეძახდნენ; ამისთვის ყოველ მისვლაზე 50 კაპიკი გვეძლეოდა, ხოლო სპექტაკლში მონაწილეობისათვის —



რუსეთის იმპერიის 50-მანეთიანი, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის გამოსახულებით (1899 წ.)

თითო მანეთი. ამით თვის განმავლობაში კარგი ჰონორარი გროვდებოდა — 20 მანეთზე მეტი. ეს უკვე დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის. თანაც, როგორც მასწავლებლის შვილებს, სწავლის ფულის გადახდა არ გვევალებოდა“.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა ანდრია რაზმაძე (1889-1929) — მომავალში ცნობილი მეცნიერი, რომელიც 1906 წლის 18 ივლისს, დედისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „დღეს დავექი კარგ ოთახში. ჩემთან ცხოვრობს ჩემი ამხანაგი. ძალიან შევეწყვეთ. ასე რომ, თვეში 20 მანეთად გამოვალ. მოსკოვი მაინდამაინც არ მომეწონა... წიგნები ვიყიდე. ფული ძალიან შამომაკლდა. სულ დამირჩა 3 მ. 50 კ. გამომიგზავნე ტელეგრაფით 30 მ. უსათუოდ შენი ჭირიმე. ამას თვენახევარზე ვიმყოფინებ... სახლის ქირას ცალკე ვიხდი და საჭმელზე სხვასთან ვარ. ფული მინდა“.



რუსეთის იმპერიის 25-მანეთიანი, იმპერატორ ალექსანდრე III-ის გამოსახულებით (1909 წ.)

◆ ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში სწავლობდა დიმიტრი ჯავახიშვილი (1882-1971), მომავალში ექიმი-კურორტოლოგი, რომელიც იგონებდა: „შევედი სამედიცინო ფაკულტეტზე... ოთახის ქირად თუმანს გვახდევინებდნენ... სმა-ჭამა შედარებით იაფი იყო... ვაჭრების ოჯახებისა და სხვა შეძლებული ინტელიგენციისაგან საქველმოქმედო ხასიათის ე.წ. სამზრუნველო კომიტეტი შედგა. ჩვენს სტუდენტურ სასადილოს სწორედ ეს კომიტეტი მზრუნველობდა... პური უფასოდ გვეძლეოდა. შაქრიანი ჩაი 2 კაპ. ღირდა. წვნიანში 5-ს ვიხდიდით, ერთ მათლაფა „გრეჩიხაში“ 3-ს. ამდენივე ღირდა ჭიქა რძე. ასე რომ, სტუდენტს შეეძლო ორიოდე შაურით

ესადილა. ვახშამს უკვე შინ შევექცეოდით. გირვანქა შაქარი 15 კაპიკი ღირდა, თეთრი პური — 3, ძხვი — 20. ამდენივე ღირდა გირვანქა ჰალვა... ყველაზე იაფი იყო ყველი „ბრინჯა“. ოთახის პატრონი ჩაისათვის წყალს გვიღულებდა, ოთახს გვითბობდა, გვინათებდა... სრულიად გაჭირვებული სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი არსებობდა“.

თბილისში ჩამოსული დიმიტრი ჯავახიშვილი თავის ნათესავის, ოქრო ჯავახიშვილის სიძის — დიმიტრი გურგენიძის ოჯახში რამდენჯერმე შეხვდა იოსებ ჯულაშვილს.

დიმიტრი ჯავახიშვილი იხსენებდა: „შვეიცოლიდი ხოლმე დიმიტრი გურგენიძის ოჯახში... ობსერვატორიაში მუშაობდა დამკვირვებლად... დამკვირვებლად მუშაობდა იოსებ სტალინიც. იგი რამდენჯერმე შემხვედრია ამ ოჯახში. ერთხელ... მოვიდა სტალინი, მოიტანა ერთი ბოთლი სამშაურიანი დაბეჭდილი კახური ღვინო, კიტრი, პამიდორი და პური, — „აბა, მოდი და პური გჭამოთ“. ეს 1906 წლის აგვისტოში მოხდა“.

1908 წელს სტუდენტი დიმიტრი ჯავახიშვილი ოდესიდან ბათუმში მიმავალ გემს ექიმად გააყოლეს, რათა ქოლერის ეპიდემიის პრევენცია მოეხდინათ. ის იხსენებდა: „გემზე მუშაობა... საინტერესო იყო მატერიალურადაც. ხელფასი ასი მანეთი გვექონდა, ჭამა-სმა — უფასო. ფული მეზოგებოდა და ორიოდეჯერ ჩემს ღარიბ ოჯახსაც კი გაგუგზავნე“.

ერთხანს დ. ჯავახიშვილი ექიმად გურჯაანშიც მსახურობდა. ის იგონებდა: „1910 წლიდან გურჯაანში ხელფასს ვღებულობდი ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, რომლის გამგე ნიკოლოზ იაშვილი მეთად კარგი ადამიანი გახლდათ. ხელფასს მეთწილად ოქროთი მადლევადა, თუმცა შეიძლებოდა ქაღალდითაც მოეცა“.

◆ ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობამ დააწესა ილიას სახელობის სტიპენდია წელიწადში 300 მანეთის ოდენობით. პირველი სტიპენდიატი იყო ვუკოლ ბერიძე, რომელსაც აღნიშნული თანხიდან თვიურად 25 მანეთს უგზავნიდნენ. მან 1911 წელს თვითმმართველობას სთხოვა, რომ წლიური თანხა 9 თვეზე გადაენაწილებინა და მისთვის თვიურად 35 გადაეგზავნათ. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს. აღნიშნული სტიპენდია 1912 წელს დაენიშნა კონსტანტინე

გამსახურდიასაც, რომელიც ამ თანხას 1913 წლის აგვისტომდე იღებდა.

ქართველ სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭო, რომელსაც გიორგი ზდანოვიჩი (1855-1917) თავმჯდომარეობდა. 1914 წელს ეს საბჭო სტიპენდიას აძლევდა 31 სტუდენტს. მათ შორის ყველაზე მეტი, წლიურად 600 მანეთი ეძლეოდა მხატვარ დავით კაკაბაძეს, 480-ს იღებდა კომპოზიტორი, ჰიმნ „დიდების“ ავტორი კოტე ფოცხვერაშვილი, ხოლო 300-300 ეძლეოდათ როგორც კ. გამსახურდიას, ასევე თედო ღლონტს, სერგო კლდიაშვილსა და სხვებს.

◆ 1909 წლიდან ასტრახანის გუბერნიის ქალაქ კრასნი იარში ცხოვრობდა რევოლუციური მოღვაწეობისთვის გადასახლებული ისიდორე რამიშვილი (1859-1937). ის იგონებდა, რომ პოლიტიკურ ნიადგზე გადასახლებულთ ეძლეოდათ სახელმწიფო სუბსიდია, კერძოდ, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთ ან სასულიერო და პრივილეგირებული წოდებისას, თვითურად „13 მან. და 50 კაპ. ცოლიც დებულობდა ქმრის ოდენას და მცირეწლოვანი შვილები — ნახევარს. მე, მაგალითად, მეძლეოდა ჩემთვის, ცოლისა და ორი მცირეწლოვანი შვილისთვის 40 მ. და 25 კ.“

ამასთან ერთად, რამიშვილი თავის მეუღლესთან ერთად რეპუტიტორობდა, რაშიც მათ ეხმარებოდათ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, ექიმი ნიკიფორე დოლოპილოვი.

მოგონებებში ვკითხულობთ: „გადასახლებაში მე ჩემს სარჩოს ვმოულობდი კერძო გაკვეთილებით. კრასნი იარში ვასწავლიდი ყირგიზის ბავშვებს, რომელთაც ვაშხადებდი ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლისთვის და შეძლებულების შვილებს ასტრახანის გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისთვისაც... გასამრჯელოდ ყველა მოწაფე, დიდი და პატარა — თითო თუმანს მაძლევდა, რაც სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კარგად გვეყოფნიდა სამსულს, რადგანაც სანოუაგის და ოთახის სიაფე იყო დიდი. მთელი ბინა სამი ოთახით, სამხარეულოთი, საკუჭნაოთი, აივნით, საცვლებსა და ოთახების რეცხვით, ღირდა თვეში 10 მან...“


ასტრახანში ჩემი გადასვლისთანავე დოლოპილოვი შეეცადა თავის მრავალრიცხოვან ნაცნობებში ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის გაკვეთილები ეშოვნა და გვიშოვნა კიდევც ძლიერ




დომიტრი ჯავახიშვილი თავის შვილებთან — თიკოსთან და გვიგისთან ერთად. ეს უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში (1953-1975 წწ.) იყო საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მდიდარ ოჯახებში... მქონდა გაკვეთილები თანამდებობის პირების ოჯახშიც... გუბერნატორი და ჟანდარმერია ამ მხრივ არ გვაევიწროვებდნენ... ვასწავლიდი ნაფიც ვეჟილ ლიანოვის ქალ-ვაჟს. ლიანოვი იურისკონსულტად ჰყავდა დაქირავებული მილიონერ ბეზსუბიკოვს ას

დომიტრი ჯავახიშვილი იგონებდა: „დომიტრი გურგენიძის ოჯახში... მოვიდა სტალინი, მოიტანა ერთი ბოთლი სამშაპურაინი დაბეჭდილი კახური ღვინო, კიტრი, პამიდორი და პური, — „აბა, მოდით და პური ვჭამოთ““





ვლას მგელაძე

თუმნად თვეში. როდესაც მან გაკვეთილები მიშოვნა თავის პატრონთან, დამარიგა: „ფულზე არ დაზოგოთ, ბევრი მოითხოვეთ“... ბეზზუბიკოვმა, მამამ ორი ჩემი მოწაფისა, მკითხა: „რამდენი უნდა მოგართვათ?“ — „ერთი თუმანი, ასე ვახდევინებ-მეთქი“. ბეზზუბიკოვს, შევატყვევე, ეყვინა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მითხრა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბეზზუბიკოვი ვარ!“ — „ბეზზუბიკოვი მოიქცევა ისე, როგორც მას შეჰფერის, ეს მისი საქმეა, მე კი როცა მეკითხებიან, ჩემი ფასი უნდა დავასახელო“. მიხვდა, რაშია იყო მისი შეცდომა, ამოიღო მარცხენა ხელიდან ხუთთუმნიანი ქაღალდი,

დაღო ჩემს წინ და გაბრუნდა. დანარჩენი უკან წაიღო ხელში ჩაჭმუჭნული. მერე ლიასოვმა მითხრა, რომ 15 თუმანი ჰქონდა მომზადებული ჩემთვის, მაგრამ მომცა 5, რადგან ჩემი პასუხი არ მოსწონებოდა“.

იმავდროულად, როგორც ისიღორე რამიშვილი შენიშნავს: „თვეში იქ მაშინ ყველას თავსაყრელად ჰქონდა, თუ უბრალო თვეზის ჭამას ისურვებდა. უფრო ეტანებოდნენ ზუთხის ჯიშის თვეზებს. საუკეთესო ჯიშის ზუთხი გირვანქა 30 კაპეიკად იყიდებოდა“.

1906 წელს, სტოკჰოლმში, რსდმპ IV ყრილობაზე, ვლასა მგელაძესთან (1868-1943) ერთად ჩასული ისიღორე რამიშვილი იგონებდა, რომ ფინეთის სადგურებზე მოქმედებდა შემდეგი წესი: „რამდენიც უნდა ეჭამა მგზავრს, ბევრი თუ ცოტა, ფასი ერთი იყო დადებული — 4 აბაზი. ვლასამ ეს წესი კარგად გამოიყენა: პირველ სადგურზე გაანადგურა ყველაფერი ბუფეტში. აქ გოჭის კანჭი იკრა პირში, იქ ცხვრის სათბილოს დასტაცა ხელი, იქ შემწვარ ქათამს ააცალა მხარ-კურტუმო, ყველი, თევზი, ჭიქა რძეც მიაყოლა და გამოვიდა გარეთ. გოცებულები უცქერდნენ სტუმრები, ხოლო ბუფეტის პატრონები ცხვირჩამოშვებულები უგემურად იდიმებოდნენ“.

(დასასრული იქნება)

წიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ვიტეს რეფორმის შემდეგ გამოშვებულ რუსულ სპილენძის მონეტებს შორის ყველაზე მაღალი ღირებულების ფულის — 5-კაპიკიანის ანუ შაურიანის (1912 წ.) აფერსი და რვეერსი. ფაქტობრივად იმავე გარეგნული სახის იყო სპილენძისაგან დამზადებული უფრო მცირე ღირებულების მონეტებიც, კერძოდ, 3, 2 და 1-კაპიკიანები, რომლებზედაც შეკვლილია მხოლოდ ნომინალური ციფრი და წონა



დასავლეთი საქართველო დასაფიქსირებელი ქრონიკები

XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა

XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე — ამ პერიოდის დასავლეთი საქართველო შეიძლება დასახელდეს ფეოდალური ანარქიის ვეელაზე ძნელად წარმოსადგენ მაგალითად. რეალურად ეს არის მეფე-მთავართა ურთიერთბრძოლის ისტორია. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან სამეფო ტახტზე უკვე არა მხოლოდ ბაგრატიონები, არამედ დადიანები, გურიელები, აბაშიძეები და ზოგიერთი სხვა გვარის დიდებულებიც კი ადიოდნენ (მათ შორის ჭუჭუნაშვილი, ბაგრატიონთა ნათესავი; ასევე ლიპარტიანი, თუმცა ლიპარტიანობა მაშინ არა გვარს, არამედ სამეგრელოს მთავრის უმაღლესი მოხელის ტიტულს გამოხატავდა). 1660 წლიდან 1720 წლამდე იმერეთში მეფე 30-ჯერ შეიცვალა (ამათგან 7 მოკლეს). ასეთი არასტაბილურობა პირდაპირ უკავშირდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ-მორალურ დაქვეითებას. დაუსრულებელი შინაომების კვალდაკვალ, შეირყა სარწმუნოება, მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობა გაჩანაგდა ტყვეთა სყიდვით. ამ მეორედ მოსვლაში მეფეებისა და დიდებულების ერთადერთი საზრუნავი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იყო ტახტის, გავლენისა თუ ქონების შენარჩუნება. ამ მიზნით ისინი ჯერ მოყვრდებოდნენ, შემდეგ კი მაინც ზოცავდნენ ერთმანეთს: მამა-შვილი, სიძე-სიმამრი, ბიძა-ძმისშვილი... ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო. ეს გახლდათ ტოტალური, საუკუნოვანი დაცემა.

1605 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე გიორგი III კონსტანტინეს ძე ავიდა.

1611 წელს სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი გახდა.



იმერეთის მეფე გიორგი III, დედოფალი თამარი და მათი უფროსი ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე (შემდგომში იმერეთის მეფე ალექსანდრე III)

ეს ის დადიანია, რომელსაც შემდგომ გურიის ემორჩილებოდა და აფხაზეთის მთავრები ხარკს უხდიდნენ, მოკავშირეობას კი ქართლის მეფე როსტომ-ხანი უწყვედა. ძლევამოსილმა და თავგასულმა მთავარმა თავის პირველ ცოლს, სეტემან შერვაშიძის ქალს, დალატისთვის ცხვირი მოაჭრა და ისე გააგდო, ხოლო მასთან შეძენილი ორი ვაჟი მოაწამვლინა; მოხუც ბიძას, სამეგრელოს ყოფილ მმართველ გიორგი ლიპარტიანს კი მესამე ცოლი, ახალგაზრდა ნესტან-დარეჯანი (ჭილაძის ასული) წაართვა. შერვაშიძეს შემდეგ სამფლობელოც აუოხრა, შეურაცხყოფილ ლიპარტიანს კი ბოლომდე გაუთხარა საფლავი და მოაკვლევინა.

1613 წელს გიორგი III-მ კახეთისა და ქართლის მეფეები — თეიმურაზ I და ლუარსაბ II შეიფარა. შაჰ-აბასმა იმერეთის მეფეს მათი გაცემა მოსთხოვა: „ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოვიძახებთო“, — წერს ფარსადან გორგიჯანიძე. „ქართლის ცხოვრების გაგრძელების“ მიხედვით კი სპარსეთის მრისხანე მბრძანებელი გიორგი მეფეს ამის სანაცვლოდ



წალენჯიხის ეკლესია, ლევან II დადიანის გამოსახულება დასავლეთი მხარის ეკვდერში

„მრავლითა ნიჭითა და საბომერითა“ ავსებას ჰპირდებოდა. მაგრამ გიორგი III, ჯერ ერთი, განსაცდელში ჩაყარნილი სტუმრების გაცემას არ აპირებდა, და მეორე, მან კარგად იცოდა, რომ შაჰის მუქარა უსაფუძვლო იყო — იმერეთზე გალაშქრება ხომ 1612 წლის სტამბოლის ზავის დარღვევასა და ოსმალეთთან ომის განახლებას ნიშნავდა. აბას I იბულებული გახდა, იმერელი გვირგვინოსნის ელჩების — დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქიასა და ლევან აბაშიძის პირით შემოთვლილი უარი მიედო და ჯავრი ისევ კახეთზე ეყარა.

გიორგი III-ის არამყარმა მდგომარეობამ (იგულისხმება ძლიერი ფეოდალების თვითნებობა) აუცილებლობად აქცია მოკავშირეთა შექმნა სამეფოს შიგნით. ამის მეტ-ნაკლებად საიმედო საშუალებას დინასტიური ქორწინებები წარმოადგენდა. 1618 წელს, თეიმურაზ I-ის ინიციატივით, გიორგი მეფის ვაჟმა ალექსანდრემ ცოლად შეირთო მამია II გურიელის ასული თამარი, მაგრამ მათი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა და ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გააუარესა — დედოფალი „ცელწამებულ იქმნა მემრუშედ“ და ალექსანდრემ ის შვილითურთ სასახლიდან გაუშვა (ანუ შემკვიდრის, ბაგრატიის წარმომავლობა მას საეჭვოდ მიაჩნდა). მამია გურიელმა ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, პირად შეურაცხყოფად მიიღო და ის ამჯერად ლევან დადიანს დაუმო-

ყვრდა (დადიანის და მარიამი მამიას შვილს — სვიმონს მიათხოვეს). მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებს გიორგი III-ის მიერ დევნილი თავადი პაატა წულუკიძეც შეუერთდა და ამ ბანაკის ლიდერმა — სამეგრელოს მთავარმა დაიწყო ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი დასავლეთ საქართველოში ერთპიროვნული ბატონობისთვის.

1623 წელს გიორგი III-მ ოდიშის დალაშქრვა გადაწყვიტა, მაგრამ დადიანმა დაასწრო და ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა ლაშქრით იმერეთში შეიჭრა. გოჭოურის ბრძოლაში, ქუთაისის მახლობლად, მეფემ მძიმე მარცხი იწვნია. ლევან II-მ „შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი“ (ისტორიკოსის სიტყვით, ოდიშის მთავარმა უპრეცედენტო რამ ჩაიდინა — მეფის დიდებულებს თავი ფულით დაახსნევინა). მისი პოლიტიკური პირველობა დასავლეთ საქართველოში აშკარა გახდა.

ამის შემდეგ „მპყრობელი იმერეთისა გიორგი და დადიანი შურად ედგენენ ერთმანეთსა და იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასა ურთიერთას“ („ქართლის ცხოვრების გაგრძელება“).

ურჩი მთავრის წინააღმდეგ თანამოაზრეების ძეხნაში გიორგი III-მ ურთიერთობა დაამყარა გიორგი სააკაძესთან (დიდი მოურავი მას ალექსანდრე ბატონიშვილის ქართლ-კახეთში გამეფებას სთავაზობდა, რაც საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა) და 1626 წლის ბაზა-

ლეთის ბრძოლაში ჯარიც მიაშველა, მაგრამ სააკაძე დამარცხდა და ოსმალეთში გადავიდა, იმერეთის მეფემ კი ისევ თეიმურაზ I-თან — ბაზალეთის ტრაგედიაში „გამარჯვებულთან“ დაახლოება გადაწყვიტა (თეიმურაზის ბრძანებით ტყვე იმერლებს მაშინ თითო ყური დააჭრეს). ქართლ-კახეთის მეფესაც მოკავშირე ჰაეროვით სჭირდებოდა და, ამდენად, 1631 წელს თეიმურაზმა თავისი ასული დარეჯანი (ზურაბ ერისთავის ქვრივი. არაგვის ერისთავი მეფე-სიმამრმა საფურცლებში ნადიმზე მოაკვლევინა) ალექსანდრე გიორგის ძეზე დააქორწინა.


ამასობაში კი (1625 წ.) მამია გურიელი საკუთარმა შვილმა სვიმონმა მოკლა, ლევან II-ის წინააღმდეგ კი შეთქმულება მოეწყო, რა დროსაც მთავარი მსუბუქად დაჭრეს. დადიანმა სასტიკად დასაჯა მისი ყველა მონაწილე — უმცროს ძმა იესეს თვალები დასთხარა, დააბრმავა სიძეც, მამის მკვლეელი სვიმონ II გურიელი, რომელსაც ცოლ-შვილი წართვა და ბერად აღკვეცა (იგი იერუსალიმში გაემგზავრა და ღრმა მოხუცებულობამდე იქ ცხოვრობდა). გურიის სამთავროს ტახტზე, ვახუშტის ცნობით, ქაიხოსრო I გურიელი (ვახტანგ I გურიელის ვაჟი) დასვა, ევროპული და რუსული წყაროების თანახმად კი — მამია II-ის ძმა, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია. ამ სვლით დადიანმა გურია თავისი გაგლენის ქვეშ სრულად მოაქცია და აფხაზეთზე კონტროლიც გააძლიერა (შეთქმულებაში შერვაშიძის მონაწილეობით განრისხებულმა მისი სამთავრო კიდევ ერთხელ დაარბია და მრავალი ტყვეც წამოასხა).

როგორც ვხედავთ, ოდიშის მთავარმა უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მიუხედავად ამისა, გიორგი III-ისა და თეიმურაზ I-ის პოლიტიკური დაკავშირების, ირან-ოსმალეთის მიერ ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზის ცნობისა და იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების დამოყვრების შემდეგ, ლევან დადიანი იძულებული გახდა, შერიგებოდა (რა თქმა უნდა, დროებით) თავის „ბატონს“ და მასთან ერთად მონაწილეობა მიეღო თეიმურაზ I-ის მოწყობილ ლაშქრობაში განჯა-ყარაბაღის მიმართულებით.

მდგომარეობა მკვეთრად მას შემდეგ შეიცვალა, რაც გიორგი III-მ მოკავშირე დაკარგა თეიმურაზის სახით და ქართლის ტახტზე შაჰისგან ზურგგამაგრებული როსტომ ბაგრატიონი ავიდა. 1633 წლის მიწურულს

იმერეთის მეფე თავს დაესხა საჩხეიძოში დაბანაკებულ ლევან დადიანს, რომელიც ქართლიდან სამოყვროდ წამოსულ ძვირფას სტუმარს, როსტომ-ხანს მოელოდა. გიორგი მეფეს უნდოდა, ხელი შეეშალა ურჩი მთავრისა და ქართლის ვალის ამ მისთვის სახიფათო დამოყვრებისთვის (68 წლის როსტომი დადიანის დას, სვიმონ გურიელის ნაცოლარს, მარიამს ირთავდა). ბაღდადში გამართულ ბრძოლაში იმერეთის მეფეს მისმა ყმებმა — მიქელაძეებმა უღალატეს და გიორგი III ტყვედ ჩავარდა. დადიანმა იგი ციხეში გამოჰკეტა.

ამ უკიდურესად რთულ ვითარებაში დაყოვნება არ შეიძლებოდა და ალექსანდრე III სასწრაფოდ აკურთხეს იმერეთის მეფედ. დატყვევებული მეფე-მამის გამოსხნა მან მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო დიდი გამოსასყიდის — ძვირფასეულობისა და



მეფე როსტომი (მარცხნივ) და მარიამ დადიანი (მარჯვნივ). დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატები

მამია II გურიელი (მარცხნივ) და სვიმონ გურიელი (მარჯვნივ). დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატები





მეფე თეიმურაზ I. დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი

ყმა-მამულების გაღებით. გიორგი III 1639 წელს გარდაიცვალა.

ოსმალეთის მთავრობა კი უკმაყოფილო იყო ვასალის — ლევან დადიანის პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო დასავლეთ საქართველოში ერთმმართველობის დამყარებისკენ. დამპყრობლებს, რა თქმა უნდა, ურთიერთმოქიშპე და დასუსტებულ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლილ ქვეყანაში უფრო ადვილად შეეძლოთ ფეხის მოკიდება. ამიტომაც იყო, რომ, ალექსანდრე III-ისგან 4.700 ჰაისტრის მიღების შემდეგ, მათ ოდიშის მთავარს უბრძანეს, იმერეთს დახსნოდა. დადიანმა სიუხერენის ბრძანება არაფრად ჩააგდო და მეფის სამფლობელოს კვლავ სისტემატურად არბევდა.

ვიტარება კიდევ უფრო გართულდა თეიმურაზ I-ის საბოლოო დამარცხებისა და დადიანის ძლიერი მოკავშირის — როსტომის გამარჯვების შემდეგ. განსაცდელში ჩავარდნილმა თეიმურაზმა არანაკლებ განსაცდელში მყოფ ალექსანდრეს შეაფარა თავი.

იმერეთის მეფის მძიმე მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს სოფელ ფხოტრურის ეკლესიის ხატის წარწერა, რომელშიც ლევან დადიანი თავს იწონებს: „ჩუენ მივედით და სოფია წმიდის საყდარი მეთოფეებით ავესო და გაემარებინა. უყავით ღამით იერიში და

საყდარი წავართვით... ჯვებირს გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველითგან ნაშენები... სოფია წმიდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მიეიტანეთ და იქიდალმა დაუწყეთ სროლა და ცემა იმ ქვის სახლებსა, და დავამტრიეთ ზარბაზნებითა, და მრავალი კაცი შიგ მდგომნი დავხოცენით... მეფემ გამოაშველა ლაშქარი... საკვირველი ომი შეიქნა, მრავალი კაცი დაიხოცა იქითაცა და აქეთაცა... სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებითა სროლა და ცემა... გაუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაისის ქალაქსა, დაესწვით და მოუოხრეთ, მრავალი ვიშოვეთ, და წამოვედით გამარჯვებული“.

ერთ კვირაში დადიანმა კვლავ გაილაშქრა მეფეზე და, მისივე სიტყვებით, ხუთჯერ მეტი ალაფი იშოვა და ტყვეები წამოასხა. თებერვალში ოდიშარებმა „დაუწყავი და აუოხრებელი არ დააგდეს რა... ქუთაის ციხიდალმა მეფე და სრულ იმერული ლაშქარი შეყრილი თვალთ გვიმხერდნენ, მისის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ხელავდა, იმდენი სანაშოვარის ტყვეების ჟღიფილი ყურით ესმოდა, მაგრამ ციხიდალმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს, ასე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული“ (იხ. ექვთიმე თაყაიშვილის „ემიგრანტული ნაშრომები“, დაბრუნება, II, თბ., 1991, გვ.: 467-469).

განსაკუთრებით ცუდი ჟამი მაშინ დაუდგა იმერეთის მეფეს, როცა მისი უმცროსი ძმა, დადიანის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი მამუკა ბატონიშვილი ერთ-ერთი შეტაკებისას (1647 წ.) ტყვედ ჩავარდა. მის გამოსახსნელად ალექსანდრემ ერთადერთი ვაჟი ბაგრატი თავგასულ ფეოდალს მძევლად გაუგზავნა, მაგრამ ოდიშის მთავარმა არც მეფისწული გამოუშვა თავისი სასახლიდან და არც მეფის ძმა — ციხიდან.

შეჭირვებულმა ალექსანდრემ, თეიმურაზის გავლენით, ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან და ელჩები რამდენჯერმე (1649, 1651, 1656) გაგზავნა. ალექსი რომანოვს იგი დადიანის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. საპასუხო ელჩობა მოსკოვიდან 1650 წლის ზაფხულში ჩამოვიდა, მომდევნო წლის 9 ოქტომბერს კი იმერეთის მეფემ და მისმა დარბაზმა ხელი მოაწერეს რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცის წიგნს, მაგრამ ამას, როგორც ყოველთვის, რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

იანო შაპვა

ქართლის თავგანწირული ბრძოლების ეპოქის ელისაბედ I-ის ინგლისში

ინგლისის სამეფო კანცელარიაში, კერძოდ, XVI საუკუნის საგარეო საქმეთა სახელმწიფო დოკუმენტებში დაცულია ინგლისურ ენაზე 1584-1585 წლებში შედგენილი საინტერესო წერილი, რომელშიც საქართველოზეა საუბარი. წერილის ადრესატი ფრენსის უოლსინგემი (1532-1590), ავტორი კი უილიამ ჰარბორნი (1542-1617).

დოკუმენტის მნიშვნელობა სათანადოდ რომ წარმოვაჩინოთ, რამდენიმე სიტყვით ისტორიულ პირებზე შევჩერდეთ. ფრენსის უოლსინგემი ელისაბედ I-ის მინისტრი, საიდუმლო საბჭოს წევრი, ინგლისის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება მერი სტიუარტის შეთქმულების გახსნა. მინისტრმა ინგლისსა და ევროპაში მზვერავთა მძლავრი ქსელი შექმნა და ხელი მიუწვდებოდა მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. წერილის ავტორი უილიამ ჰარბორნი კი ცნობილი ვაჭარი და დიპლომატი იყო. იგი ელისაბედმა კონსტანტინოპოლში ინგლისის ელჩად 1582 წელს დანიშნა. ჰარბორნის დამსახურებით, ინგლისის დედოფალსა და ოსმალეთის სულთან მურად III-ს შორის აქტიური მიმოწერა მიმდინარეობდა.

ინგლისის სამეფო კანცელარიაში დაცული წერილის დაწერის ადგილად მითითებულია „რაპამატი“. ეს იყო თავისებური ვილა, რომელიც სტამბოლის ვეროპულ ნაწილში — ბეიოდლუში მდებარეობდა, რომელსაც XVI საუკუნეში პერა ეწოდებოდა.

რაც შეეხება წერილის შინაარსს, მასში ნათქვამია: „ამბობენ, რომ დიდი სულთანი საბერძნეთში უზარმაზარ ძალასთან ერთად არა მარტო ბეგთაბეგს გაგზავნის, არამედ ვეზირ ოსმანსაც იმ არმიის თანხლებით, რომელიც განმწესებულია სეფიანთა და ქარ-



ინგლისის
დედოფალი
ელისაბედ I



ფრენსის
უოლსინგემი

თველთა წინააღმდეგ. ამ ქვეყანაში მთავარი პრინცი არის საიდის ძმა სიმონი, რომელმაც სპარსეთთან ომის მეორე წელს თბილისი მუსტაფას დაუთმო და მას შემდეგ იგი ხსენებულ ძმასთან ერთად ვაჟაკცურად იბრძოდა სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ, თუმცა ახლა თავისი 20 წლის შვილთან ერთად „აჯანყდა და შური იძია“. ამიტომაც ორი კვირის წინ პატვიით მიიღეს და ოსმანის მფარველობაც მოიპოვა. ვეზირი ხელახლა გახდა თბილისის მმართველი და თავისი შვილი დიდ სულთანს მძევლად დაუტოვა. სულთნის ძალების დახმარებით იმედი აქვს, რომ ადვილად შეძლებს




ოსმალეთის
სულთანი
მურად III

1555 წელს სპარსეთის შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ს შორის ქალაქ ამასიაში ზავი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ორ სახელმწიფოს შორის საზღვრები დადგინდა. იმპერიებმა საქართველო და სომხეთი შუაზე გაიყვეს. იმერეთის სამეფო, სამეგრელო, გურიის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. ქართლისა და კახეთის სამეფოები კი სპარსეთის მფლობელობაში მოექცა. ზავის პირობები საქართველოს არც ერთ ნაწილს არ აკმაყოფილებდა, მაგრამ თუ სხვა მეფე-მთავრები ასე თუ ისე შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას, ქართლი ბრძოლას განაგრძობდა. მეფე ლუარსაბ I და მის გარშემო შემოკრებილ ქართველ პატრიოტთა მებრძოლი დასი პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს წარმატებით იყენებდა. თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მიღწევა შეუძლებელი გახდა. ამის მიზეზების საყურადღებო ახსნა აქვს მოცემული ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს. მისი სიტყვით, საქართველოს „იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ხმალი, იქით იქნიეს და მრავალთ

ხსენებულ ქართველთა დამორჩილებას“.

წერილის შინაარსი მკითხველისთვის გასაგები რომ გახდეს, საჭიროა იმდროინდელი ეპოქა მიმოვიხილოთ, მოხსენიებულ ისტორიულ პირობა ვინაობა განვმარტოთ და გაგაანალიზოთ საქართველოს როლი მაშინდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.





თბილისი
1663 წელს.
იოჰან
ჰომანის
ილუსტრაცია

ნაწილებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რა თავს გაუვიდეს“. ავტორის შეხედულებით, ხონთქარმა და ყაენმა იმიტომ შეძლეს საქართველოს ურთიერთშორის გაყოფა, რომ „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე ძრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი, მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარი“...

უილიამ ჰარბორნის წერილი ასახავს თბილისისთვის ბრძოლას XVI საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ცნობილია, ეს პროცესი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა — ხან ოსმალების, ხან სპარსელების, ხან კი ქართველთა კუთვნილება ხდებოდა... წერილში მოხსენიებული ქართველთა პრინცი, „საიდის ძმა სიმონი“ ქართლის გმირი მეფე უნდა იყოს. იგი ლუარსაბ I-ის შემდეგ ტახტზე 19 წლის ასაკში სიმონ I-ის სახელით ავიდა. ახალგაზრდა უფლისწული მამასავით ენერგიული და დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მეტროპოლი იყო. ჰარბორნის მიერ სიმონის მისამართით გამოყენებული ფრაზა „სპარსეთთან ომის მეორე წელს თბილისი მუსტაფას დაუთმო და მას შემდეგ იგი ხსნებულ ძმასთან ერთად ვაჟაკცურად იბრძოდა სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ“, შემდეგ ამბავს უნდა გულისხმობდეს: 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი და ალამუთის ციხეში გამოკეტილი სიმონი 1578

წელს ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე შაჰმა ტყვეობიდან გაათავისუფლა, ქართლის მეფობა უბოძა, რაყამი (ბრძანება) ძმობით მისწერა და ყიზილბაშ სარდალ ალი ყული ხანთან ერთად, 5000 მხედრითა და რამდენიმე ქვემეხით, საქართველოში გამოგზავნა. 1579 წელს ქართლის მეფემ სპარსელ ხანთან ერ-

ირანის შაჰი თამაზ I იღებს დიდ მოგოლთა იმპერატორ ჰუმაინს ნაგროზობის დღესასწაულზე. ფრესკა ისპაჰანის ჩეჰელ-სოტუნის (40 სვეტის) სასახლეში





ქართლის მეფე სიმონ I

თად ოსმალთა გამოგზავნილ დამასკოს ფაშასა და მის 20-ათასკაციან ლაშქარს მართლაც დიდი ზარალი მიაყენა. ასე რომ, ოსმალთა კამპანია ჩავარდა. სულთანმა მურად III-მ იმის გამო, რომ საქართველო ვერ დაიმორჩილა, მთავარსარდლობიდან გადააყენა ლალა მუსტაფა ფაშა და სინან ფაშა დანიშნა, თუმცა ოსმალებს ვერც ამან უშველა. 1582 წელს სიმონმა მუხრანის ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაამარცხა სულთნის ჯარები. ამდენად, ჰარბორნისეული ფრაზა „სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ“ სიმონ მეფის ოსმალთა წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლის შესახებ ძირითადად რეალობას ასახავს.

ინგლისელი დიპლომატის ეპისტოლედან ისიც ირკვევა, რომ წერილის შედგენის დროს სიმონს ოსმალთა მფარველობა მოუპოვებია, შვილი სტამბოლს მძევლად დაუტოვებია, სულთნის ვეზირი კი თბილისის მმართველი გამხდარა. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ცნობა სიმონის მიერ შვილის (სავარაუ-

დოდ, მომავალი მეფე გიორგი X-ის) მძევლად დატოვების შესახებ, მაგრამ ზუსტად არის ცნობილი, რომ ქართლის გმირი მეფე ოსმალებს 1588 წელს დაუხავდა, მას შემდეგ, რაც შაჰსა და სულთანს შორის წინასწარი შეთანხმება მოხდა. შეთანხმების მიხედვით, სიმონი ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი ეხადა. სამაგიეროდ, ოსმალეთი სიმონს ქართლის ქრისტიან მეფედ ცნობდა, აღიარებდა მეძველდროებით უფლებას და მის შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვხედავთ, უილიამ ჰარბორნი ინგლისის უმაღლეს ხელისუფლებას უმეტესწილად რეალური ვითარების ამსახველ ინფორმაციას აწვდის. ვფიქრობთ, მცდარია წერილის დათარიღება. ეპისტოლე არა 1584-1585 წლებში, არამედ უფრო მოგვიანებით, კერძოდ სიმონ I-ის ოსმალებთან დაზავების შემდეგ, ანუ 1588 წლისთვის არის შედგენილი. თუმცა ამ შემთხვევაში საყურადღებო უფრო სხვა გარემოებაა. ელისაბედ I-ის პირველი მინისტრისთვის განკუთვნილ წერილში სიმონ მეფის მოხსენიება ცხადყოფს, რომ იმდროინდელი ქართლის ხელისუფლების ბრძოლა ჯერ ირანელ და შემდეგ ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მხოლოდ ეროვნული მასშტაბებისა არ იყო და ხშირ შემთხვევაში რეგიონალურ დატვირთვას იძენდა. ეს ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ის შორეული ინგლისის უმაღლესი ხელისუფლებისა და მათ შორის, ალბათ, თავად დედოფლის ყურადღებასაც იქცევდა. ამიტომაც ქართველთა თავდადებული წინააღმდეგობა აზიის უძლიერესი იმპერიების წინააღმდეგ დასავლური ანუ ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლებისთვის იმედის მოცემები, არაერთხელ სამაგალითო, ზოგჯერ კი პოლიტიკური თუ დიპლომატიური ქმედებების საფუძველი ხდებოდა. ამ უკანასკნელის საუკეთესო ილუსტრაციაა 1532 წელს ინგლისის მონარქ ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს შორის ქალაქ კალეში გაფორმებული ანტიოსმალური შეთანხმების პროექტი, სადაც ვეროპელი მონარქები საქართველოს ხელმწიფეს ერთ-ერთ უმთავრეს მოკავშირედ მიიხსენებენ.

ზიორგი კალანდია

პროფესორი, საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი

ქართული ფალერისტიკის სთავაზობთან

საარქივო მონაცემებით, 1911 წლის 11 ივნისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას მოუწევია პოეტ მამია გურიელისადმი (1836-1891) მიძღვნილი „ხსოვნის უზრუნველსაყოფი ღონისძიება“ (ტროფიმე ხუნდაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879-1921, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1960, გვ. 20). როგორც ჩანს, პოეტის გარდაცვალებიდან 20 წლისთავს მიეძღვნა მის პორტრეტულ გამოსახულებიანი ვერცხლის ემალირებული სამკერდე ნიშნის — „ფალერის“ თუ შეტონის გამოშვება*.

ჩამოსაკიდი ყუნწიანი სამკერდე ნიშნის ზურგზე სიმეტრიულად არის ამოტვიფრული ნატიფი ქართული მხედრული ასოები, აბრევიატურა, რომელიც იშვიფრება:

- 1) ქ. შ. წ. გ. ს. ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;
- 2) ქ. გ. ანუ ქუთაისის განყოფილება;
- 3) VII/11 1911;
- 4) ქუთაისი. შეტონის დიამეტრია 2,5 სმ.

თავისთავად მისი დამზადება საოქრომჭედლო, საიუველირო სალონ-სახელოსნოში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ უცნობია მისი პირველი მფლობელის სახელი. ჩვეულებრივ, ასეთი კორპორაციული სამკერდე ნიშნები სახელობითი უნდა ყოფილიყო. არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავისი „საპატიო წევრების“ წასახალისებლად ანალოგიურ „შეტონებს“ იყენებდა. ასეთი სამკერდე ნიშანი უკეთია პოეტ კოტე მაყაშვილს (1878-1927), სათავადაზნაურო ბანკის დირექტორს, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრს (როინ მეტრეველი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ., „ხელოვნება“, 1982, გვ.: 64-65). ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება აუტონომიური ფილიალი გახლდათ, საკუთარი არჩევითი გამგეობითა და ფინანსებით, 1907 წლის 23 აპრილიდან ფუნქციონირებდა. მას ხელმძღვანელობდა

**) Phaler. ლათ. ლითონის სამკერდელები, მხედრული და სხვა წარჩინების ნიშანი — სამკაულები; Geto ფრანგ. შეტონი, ლითონის სამკერდე ნიშანი. რუს. „значок“, მიძღვნილი ვარკვეული მოვლენისადმი, ატარებდნენ ლაცკანზე (პიჯაკის, პალტოს საყელის გადახაკეცი) ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები.*



მამია გურიელის პორტრეტულ გამოსახულებიანი სამკერდე ნიშანი 1911 წელს გამოვიდა

ცნობილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი მაიაშვილი (1854-1917), დაწერილებით ამ ფილიალის შესახებ იხ. ლამარა გოდერიძე. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თსუ გამომცემლობა. 2005, გვ.: 256-257). აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის, 1911-1912 წლებში ქუთაისის წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა რაოდენობა 338 სულს აღწევდა. განყოფილება ყოველწლიურად ანგარიშს უდგენდა ჩატარებული სამუშაოს შესახებ ცენტრალურ გამგეობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი ყაზბეგი (1839-1921) — საზოგადო მოღვაწე, „თურგდალეული“ მწერალი, მეცნიერი და რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტი. მათ ერთობლევ პროექტს უნდა დაეუკავშიროთ პირველი ქართული სამკერდე ნიშნის გამოშვება, რომელიც პოეტ მამია გურიელის ხსოვნას მიეძღვნა. აქედან (1911 წ.) უნდა დაიწყოთ ქართული ფალერისტიკის (ნუმისმატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ორდენებსა და სხვა ნიშნებს), ისტორიის ამ ახალი, დამხმარე დისციპლინის საწყისი ეტაპის ათვლა. საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში თავმოყრილია მრავალფეროვანი სამკერდე ნიშნები, დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლებთან, სპორტთან, ისტორიულ პირებთან თუ მშენებლობებთან. მათი აღწერა, შესწავლა და კატალოგიზება საშური საქმეა.

**ბურამ ლორთქიფანიძე
გონა გერაძე**



საქართველო

ქურნალი AUTO BILD საქართველო წარმოგიდგინთ



ინილეთ
სტაბია
სრულად
ქურნალ
„AUTO BILD
საქართველოს“
პერიოდის
ნომერი



მეოჯახე მემბროსე

როსა მამიკო, დედიკო და ორი შვილი 639 სხენის ქალას სვლბიან, კვირა დღის განსიჩნება შთამბეჭდვია - გაიყანით 4-ქარიანი Mercedes-AMG GT


დ აიმლერ-ბენცის იმპერიაში AMG ნელ-ნელა ავტონომიურ მარკად ყალიბდება. AMG GT Coupe-ს, როდსტერი-სა და ჰიპერქარ Project One-ის შემდეგ, ზაფხულში 4-ქარიანი GT Coupe-ს სახით კიდევ ერთი ახალი ვარიანტი გამოდის. სხვათა შორის, მომდევნო SL-იც AMG-ს დროშის ქვეშ უნდა გამოვიდეს.

სანამ საქმე აქამდე მივა, ახალი GT, რომელიც CLS-ის ბაზაზე შეიქმნა, „პორშე პანამერას“ და კომპანიას შეუტევს...



AMG-ს ფრთები და 4 მაყუჩი შესანიშნავია

AMG-სთვის
დამახასიათებელი ამ
ცხაურის უკან,
რომელსაც
„პანამერიკანას“
უნოდებენ, 457-დან
639 ცხენის ძალამდე
სიმძლავრე შეიძლება
იმალებოდეს



ახალი მაჩვენებლები, მათ შორის
„სუპერსპორტი“, მძღოლს ატყობინებენ, როგორ
გრძნობს თავს მოცემულ მომენტში AMG GT



**„თქვენ წინაშე
ფსევდო-ოთხადგილიანი
სუპერკამანა კი არ დგას.
არამედ ნაღდი. პრეზივალე
სპორტული კუპე
სერიოზული გავადოგი!“**

*ფოლკერ კელვიგი,
AMG-ს დირექტორი*



მიუხედავად AMG-ს ინგრედიენტებისა და ახალი
ცენტრალური კონსოლისა, CLS-სთან ნათესაურ
კავშირს მაინც ადვილად შეამჩნევთ

რას ბვანსწავლის ძველი ქართული დიპლომატია

ნაწილი I

საქართველო დასაბამიდან მტრისა და მოკეთის გარჩევის გზაჯვარედინზე იდგა. ჩვენი წინაპრები არჩევანს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აკეთებდნენ. მეზობელ ხალხებთან (და მტრებთან) გაწონასწორებული ურთიერთობის დამყარება ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენებოდა. როცა იარაღი უძლური იყო, ძველად ქართველი პოლიტიკოსები დიპლომატიური მოქმედების გზას ირჩევდნენ და თუ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, ტრაგედიაც არ აყოფნებდა. წყაროებში ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად არის დაცული.

„კეთილი დამპყრობელი“ მსოფლიო ისტორიაში არ არსებულა და არც დღეს არსებობს. უხსოვარი დროიდან ციცილიზაციაში გაჩნდა დიპლომატია — მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება. ისტორიის ქარტეზილებს ქართველები დიპლომატიითაც უმკლავდებოდნენ. ეს იყო გადარჩენის ერთ-ერთი გზა, რომელმაც ჩვენს წინაპრებს ურიცხვი ჯოჯოხეთური ბეწვის ხიდი გამოატარა. საუკუნეების განმავლობაში მეტ-ნაკლები შორსმჭვრეტელობით ყალიბდებოდა ურთიერთობა გარე სამყაროსთან.

მართონის ბრძოლიდან მოყოლებული (ძვ.წ. 490 წელი), ქართველური ტომები ფიგურირებენ ძველი მსოფლიოს საომარ ოპერაციებში (მხედველობაში მაქვს ანტიკური ავტორები. მათზე ადრე უცხოელ დამპყრობელთა შესახებ ცნობებს ძველადმოსავლური წყაროები გვაწვდიან). ისტორიის მამას — ჰეროდოტეს ჩვენი წინაპრები მოხსენიებული ჰყავს ბერძენ-სპარსელთა ომების (ძვ.წ. 500-449) ეპოქიდან, როგორც სპარსეთის არმიის მებრძოლები (თანამედროვე ტერმინოლოგიით — სტრატეგიული პარტნიორები).

საქართველო უხსოვარი დროიდან გარშემორტყემული იყო მტრული ძალებით და მათ



მეფე
ფარნავაზ I

თავდასხმებს სისხლის ღვრით უმკლავდებოდა. როცა ძალა არ ჰქონდა, ეძებდნენ გზებს მტრის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და ეს სულაც არ მიაჩნდათ დამაცირებელ და ღირსების შემლახველ ქმედებად. გულსატკეპია, რომ თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები არ იცნობენ იმ ბრძნულ ქმედებებს, რომლებსაც ჩვენი წინაპრები საუკუნეების წინათ მიმართავდნენ და რომლებიც საესებით შეესაბამებოდა იმდროინდელ მსოფლიო სტანდარტებს. თავი მოგვაქვს, რომ ვართ მრავალათასწლიანი ისტორიის მქონე ქვეყნის შვილები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თურმე ბევრს არ ნიშნავს, მთავარია აზროვნების გათანამედროვება.

ბრძენი ციციონის სიტყვებს — „ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი“, არ იფიქვებს დღემდე მოღწეული და მეტ-ნაკლები სილაღით მსუნთქავი ყველა ერი. საქართველოს ისტორი-

ის „წმინდა წიგნი“ — „ქართლის ცხოვრება“ შესანიშნავად გადმოგვცემს ჩვენი წინაპრების დახვეწილ და გონივრულ მოქმედებას მრისხანე დამპყრობლებთან ურთიერთობისას. ხშირად იყო პერიოდები, როცა კოლხ-იბერთა მიწაზე სისხლის გუბებები იდგა. უხსოვარ დროშიც იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რომ სადაც მახვილი არ ჭრიდა, ასპარეზი სიტყვას ეთმობოდა. ამ სვეროშიც ერის წინამძღოლები ღირსეულ სიბრძნეს იჩენდნენ სულიერი სიმაღლის შესანარჩუნებლად (ზოგადქართული წინდახედულების ნათელი დადასტურებაა შოთა რუსთაველის სიტყვები: „გველსა ზვრელით ამოიყვანს ენა ტებილად მოუბარი“). ითვალისწინებდნენ, რომ დაპირისპირება უხდებოდათ შხამიანი ქვეწარმავლების ურიცხვ გუნდთან და ასე იკვრებოდა საქართველოს „ფარი და მახვილი“.

ხოლო როცა ფარისა და მახვილის ჰარმონიული შეხამება ირღვეოდა, წინა პლანზე გამოდიოდა შემთხვევით პირთა ნება, რაც ერის ინტერესებს დაცვის ნაცვლად აზიანებდა. როგორც წესი, ძველი ქართველები ამგვარ ვითარებას წარმატებით ართმევდნენ თავს, მაგრამ გამონაკლისებიც ხდებოდა, რომელთა შესახებ მათიანები მოგვითხრობენ. მთლიანობაში, ქართულ წყაროებში თანამიმდევრულად არის ასახული სხვადასხვა


ეპოქაში გამოვლენილი ცვლილებები საშინაო და საგარეო საკითხებში.


* * *

ქართული სახელმწიფოებრიობისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის მესამე კვლევ ეროვნული მატრიანები ერთხმად ასახელებენ ფარნავაზს. ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გადმოცემულია ლეგენდარული მეფის დიპლომატიური სრულყოფის სიმაღლე.

ფარნავაზი იყო გვაროვნული წყობილების რღვევის ზღვარზე მდგომი ქართველური ტომების ყველაზე გამოკვეთილი წინამძღოლი, რომელმაც გააერთიანა ტომობრივი დაქუცმაცებულობის იდეით მოაზროვნე პირველი ქართველები. ძალაუფლება ფარნავაზმა ბრძოლით მოიპოვა. ებრძოდა წინამორბედს, აზონს, რომელიც უცხო ძალის მხარდაჭერით ბატონობდა ქართლზე. მომავალი გვირგვინოსნის მრავალმხრივობა ლეგენდარული გადმოცემების გვერდით, რეალური ფაქტორების სწორ ორიენტირებაში გამოვლინდა. მემატრიანე გვაუწყებს, რომ ტახტისთვის ბრძოლის წინ ფარნავაზმა მოკავშირეთა ძლიერი გუნდი შეადგინა, რაც გამარჯვების წინა პირობა გახდა (ეგრისის ერისთავი ქუჯვი,

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისმა სარდლებმა, ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, იმპერია გაიანჭილეს. წარმოიქმნა ელინისტური სახელმწიფოები, რომელთა შორის ყველაზე დიდი სელევკიდების სამეფო იყო, სარდალ სელევკოს I ნიკატორის მიერ დაარსებული (რუკაზე მოცემულია ვვითლად, ძვ.წ. 820 მდგომარეობით)





პეროლოტე (ძველი ავსტრიის პარლამენტთან)

სტრაბონი



ჩრდილოეთკავკასიელი ტომები), უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიცვლებოდა დამოკიდებულება დანარჩენ ერისთავებთანაც, როცა ქვეყნის უპირველეს მიზნად ერთიანი სახელმწიფოს მოწყობა დაისახა. ფარნავაზი თავიდანვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა დინასტიური

ქორწინების საკითხებს. ამაზე მეტყველებს მისი დაქორწინება კავკასიელ ღურძუკთა ასულზე. ეგრიისთან კავშირის განმტკიცების მიზნით, თავისი ერთი და ცოლად შერთო უერთგულეს თანამებრძოლს ერისთავ ქუჯვის.

ვიდრე ბრძოლას დაიწყებდა, ფარნავაზმა აზონის ბანაკში განხეთქილება შეიტანა. ლეონტი მროველი წერს, ბრძოლის წინ, „პრომნი ათასნი მხედარნი... აზონისაგან მოერთნეს ფარნავაზს“, რამაც მისი რიგები კიდევ უფრო გააძლიერა.

ფარნავაზის დიპლომატიური შორსმჭვრეტელობის დაგვირგვინებას წარმოადგენდა კავშირის დამყარება იმდროინდელი მსოფლიოს სუპერსახელმწიფოსთან, სელევკიდების აზიურ იმპერიასთან. ამ გზით მას საშუალება ეძლეოდა, დაპირისპირებოდა უცხო ძალის ხელშეწყობით ქართლში გაბატონებულ აზონსა და მის მოკავშირებს. ლეონტი მროველის თანახმად, „ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფესა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძლეუნი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწვევა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყენარა ძლეუნი მისი, და უწოდა შეილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი. უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს“. ასურასტანის მეფე ანტიოქოსის სამფლობელო ყველაზე ვრცელი იყო ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილ სახელმწიფოთაგან. ის მოიცავდა ცივილიზებული აზიის უმეტეს ნაწილს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებიდან ინდოეთამდე. ქართლის მეფეს ანტიოქოსის ქვეშევრდომობა სჭირდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებისთვის. იმდროინდელ მსოფლიოში ეს ნორმა იყო. აღმოსავლეთის დინასტიები სამეფო გვირგვინებს სელევკიდების კარიდან იღებდნენ. ბუნებრივია, არც ქართლი წარმოადგენდა გამონაკლისს და მსახურების სანაცვლოდ მიიღო გვირგვინი.

„ქართლის ცხოვრების“ მონაცემების გათვალისწინებით, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების მორჩილება ასურასტანის მეფის მიმართ ნომინალური იყო. ანტიკური წყაროები მსგავს ურთიერთობას სელევკიდებსა და ძველ საქართველოს შორის არ ადასტურებენ, მაგრამ მემატიაზე ფარნავაზის დროინდელ საქართველოს საერთაშორისო მოვლენების კონტექსტში განიხილავდა და მას ეპოქის სრულყოფილებიან წვერად მიიჩნევდა.

ლეონტი მროველის მსჯელობა მიმართულია ფარნავაზის დიპლომატიური შორსმჭვრეტელობის ნათელყოფისკენ. ქართლის სამეფოს ფუძემდებელმა ანტიოქოსის წინაშე ქედის მოხრით მიაღწია სანუკვარი სიგელის მოპოვებას, რომელიც მას უთანაბრებდა სელევკიდების სამეფო კარზე „აკრედიტებული“ აზიის დინასტიების დაწინაურებულ კატეგორიას. ასეთი სიგელი იმ დროისთვის დიდი გამარჯვება იყო. ამიტომაც მიიჩნევს „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ფარნავაზს პირველ მეფედ „ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“. მისი გონივრული დიპლომატია, მისი ქმედებები სიმბოლური წინასწარხედვით არის დატვირთული. მემკვიდრის რწმუნებით, ფარნავაზმა შექმნა სახელმწიფო იმ საზღვრებში, რომელმაც მიიღო საქართველოს სახელწოდება. მანვე განსაზღვრა მტრები და მოკეთებები. მის უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე, რომელსაც წინდახედული დიპლომატიური ნაბიჯი უძღოდა. სელევკიდების ტახტის ნომინალური ქვეშევრდომობა იყო შეუვალი ფარი წვრილ ურდოებთან დაპირისპირებისას. ნებაყოფლობითი „მორჩილების“ შედეგი იყო „განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: „ვკჰადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიქუელითა“. ლეონტი მროველის დახატული ფარნავაზი ზეადამიანური ღირსებებით შეიმკო და მისი დიპლომატიური „მორჩილება“ ოდნავადაც არ ამცირებს პირველი მეფის სახელსა და ღირსებას.

ეროვნული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ფარნავაზით იწყება საქართველოს ხელშესახები რეალობა (მითური გმირი ფანტასტიკური წარმოდგენებიდან გამოდის და იკავებს უპირველეს ადგილს ეროვნული ისტორიის შესაძირკვლელთა შორის. (თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის სულისკვეთება რომ გავითვალისწინოთ, მეფე ფარნავაზი და მისი მემკვიდრეები, რომლებიც სელევკიდებს „მონებდნენ“, სამშობლოს მოღალატეებად უნდა გამოვაცხადოთ, რადგან უბრძოლველად უხრიდნენ ქედს აზიის მკერობლებს. სინამდვილეში ეს მორჩილება

იყო მეზობლებთან უპირატესობის სიგელი და თავდაცვის საუკეთესო საშუალება. აღნიშნული დიპლომატიური წინდახედულება წარმოადგენდა ერის გადარჩენის საშუალებას, რომლის დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა).

* * *

ჩვენი ერის ძველი ისტორიიდან სამწუხაროდ ბევრი ისეთი ფაქტიც არის შემორჩენილი, რომელიც წყველასავით მოჰყვება კოლხ-იბერთა საკმაოდ შეუთანხმებელ და ერთიანობის დამანგრეველ იდეას.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზის მეფობის შესახებ ქართველები ლოცულობდნენ, მაგრამ მდგომარეობა ელვის უსწრაფესად შეიცვალა. „მოკუდა ფარნავაზ... და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“. და მოხდა ამბავი, რამაც ფარნავაზისადმი აღვლენილი ხოტბა არარაობად აქცია. ლეონტი მროველი წერს, „მას ყამსა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვნით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“.

მემკვიდრის უწყებით, „ქართლის ერისთავთა ზრახვამ“ სრული ფიასკო განიცადა (საურმაგმა დაუნდობლად ამოძრკვა განდგომის მსურველთა დასაყრდენი და „დაამდაბლნა“ ორპირი „ქართლოსიანი“), მაგრამ ავის მზრახველმა ერისთავებმა შთამომავლობას დაუტოვეს ორგულობის მაგალითი, რომელიც

მეფე ფარნავაზ I-ის დროინდელი საერისთავოების საფარაულო საზღვრები





ანტონინუს პიუსს რომში, მარსის ველზე მარკუს ავრელიუსმა და ლუციუს ვერუსმა 161 წელს სვეტი დაუდგეს, როგორც მამობილსა და წინამორბედს. ჩვენამდე მხოლოდ კვარცხლბეკმა მოაღწია, რომელზეც სვეტი იდგა (XVII საუკუნეში შეცდომით დაასვენეს, რომ სვეტი მარკუსს ავრელიუსის სახელზე იყო აღმართული)

ძვ.წ. III საუკუნიდან მოკიდებული, წყველასავით ჰკიდა საქართველოს თავზე. ერისთავთა ბოროტი სიტყვები „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა“, მოგვეყვება და გვაცლის ერთიანობის სულთქმას. ეს იყო ქართველ დიდებულთა ერთი დიდი ნაწილის განუყრელი თანამგზავრი ჩუენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნარეკლიან გზაზე.

ფარნავაზის ბრძნული ნაბიჯი წარმოადგენდა ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის განხგრძობების უმეცდომო ქმედებას. როცა

ამგვარ შორსმჭვრეტელობას იგიწყებდნენ, კოლხ-იბერია გადამთიელთა უმოწყალო თარეშის არენად იქცეოდა. ამგვარი ფაქტები მრავლად არის დაცული ქართულ მატთანებში თუ უცხოურ წერილობით წყაროებში. ძველი ქართველი ერისკაცების ერთი ნაწილი გონებას ანიჭებდა უპირატესობას და თვისტომებს თვითლიკვიდაციისგან იცავდა (ეს არ ნიშნავდა, რომ მტერთან შებმას გაურბოდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, ნაკლები სისხლი დაედვართ). ასეთი გამონათებები რომ არა, ქართველებს იგივე ელოდა, რაც თავს დაატყდა ჩვენს მრავალ მეზობელს, რომლებიც საუკუნეების წინ ამოიშალნენ მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. რადგან ვარსებობთ, ხმალოთ ერთად, გონებრივმა სიმწიფემ (შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც) გადაგვარჩინა. ეს სიმწიფე მოეთხოვება XXI საუკუნის წინამძღოლებსაც.

* * *

ქართველი მეფეების ღირსეული ქმედებები თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ახ.წ. I-II საუკუნეებში. ამ კუთხით საყურადღებოა ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის შესახებ შემორჩენილი ანტიკური ავტორების (კორნელიუს ტაციტუსის, დიონ კასიუსის) ფრაგმენტები. ორივე მოხერხებულობით აღწევდა სადავო საკითხების მოგვარებას რომის იმპერიასა და პართიასთან (ამ მეფეთა დიპლომატია ცალკე განხილვასაც იმსახურებს). წყაროებში ხაზგასმულია ქართლის მეფეთა სიახლოვე რომთან, რომლის შედეგიც იყო იბერი უფლისწულის, ფარსმან I-ის ძმის, მითრიდატეს გამეფება სომხეთში. ეს ფაქტი, რომელიც დადასტურებული აქვს კორნელიუს ტაციტუსს, მეტყველებს, რომ იმპერატორი ტიბერიუსი სრულფასოვან მოკავშირედ განიხილავდა. ქართული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ფარსმან II-ის წარმატებული ელჩობა რომში, იმპერატორ ანტონინუს პიუსის კარზე იმპერატორის კეთილგანწყობის დადასტურებას წარმოადგენდა იბერიის მეფის ძველის აღმართვა ომის ღმერთის, მარსის მოედანზე. ფარსმანის მეფური პატავით მიღება რომში ძველი ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმატება იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვიზიტი იძულებითი იყო, მაგრამ სასურველი შედეგებით დამთავრდა. ჩვენს წინაპრებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ძლიერ ძალასთან ომის ნაცვლად მოლაპარაკება გაცილებით

მეტი შედეგის მომტანი იყო (თუმცა, ეს ნაბიჯი ყოველთვის არ ამართლებდა).

ეროვნული მატრიანე „ქართლის ცხოვრება“ სახელმძღვანელოდაც გამოდგება. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება გარე სამყაროსთან ურთიერთობას. ჩვენი წინაპრები გაცილებით უფრო გონივრულად განიხილავდნენ მტერ-მოყვარესთან მისვლა-მოსვლას, ვიდრე თანამედროვე პოლიტიკოსები. ძველი საქართველოს ბედის მჭველლები ფიქრობდნენ მომავალზე, მათი ქმედება ზოგჯერ აღწევდა მიზანს, ზოგჯერ ისტორიის ჩარხი მაინც უკულმა დატრიალდებოდა. ამის მიუხედავად, ერმა ყოფნა-არყოფნის მრავალი ბეწვის ხიდი და ლაბირინთი გამოიარა. აღმოჩნდა, რომ XXI საუკუნემდე მოღწევა ბევრს არაფერს ნიშნავს. ადამიანი ისეთივე მოვლენებისა და ინტერესების ტყვეობაში იმყოფება დღესაც, რომელშიც იმყოფებოდა ქრისტეს შობამდე.

თუ სტრაბონის გადმოცემას სარწმუნოდ მივიჩნევთ, იბერიაში არსებობდა გაბატონებული ფენის უმაღლესი კატეგორია ქურუმთა სახით, რომლის ფუნქციებში, კულტის მსახურებასთან ერთად, მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარება შედიოდა. ცხადია, ქურუმები რიგითი ადამიანებისგან განსხვავდებოდნენ ცოდნითა და განათლებით. სტრაბონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ იბერები საგარეო ურთიერთობის მოგვარებას გამორჩეული მონაცემების პირებს ანდობდნენ, რაც მოწესრიგებულ სახელმწიფო წყობაზე მეტყველებს. ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის მსჯელობიდან ჩანს, რომ ფარნავაზიანები „მოციქულებად“ შემთხვევით პირებს არ ამწესებდნენ, რაც წარმატების მიღწევის მეტ შანსს ქმნიდა. „მოციქულთა“ საქმიანობა შედეგით ფასდებოდა. ფარნავაზის ქვეყანას დიპლომატიის შორსმხედველობის მეტი უნარი მოეთხოვება. ჩვენი წინაპრები, როცა ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, მართალია იძულებით, მაგრამ მაინც, ქედს იხრიდნენ დამპყრობლების წინაშე და ქვეყანა კატასტროფიდან გამოჰყავდათ. ეს იყო გადარჩენის გზა და ამ გზამ გამოადწვევინა ქართველობას უსასტიკესი აგრესორების კლანჭებიდან. ქება-დიდების ღირსნი არიან ადამიანები, რომლებიც ერს უძღოდნენ ხმლითა და გონებით.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)


ბრანდი ძავთარია

პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ფარსმან II

ფარსმან I იხსენიება ბერძნულ წარწერაში სტელაზე, რომელიც 1867 წელს აღმოაჩინეს არმაზციხეში. და შეიცავს ცნობას იმპერატორ ვესპასიანეს მიერ არმაზციხის კედლების გამაგრების შესახებ



„ბოლშევიკური დიდმოურავიანი“

შალვა ამირეჯიბი (1887-1943) გახლდათ პოეტი, პუბლიცისტი და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. სამი წლის განმავლობაში ისმენდა ლექციებს ვენის უნივერსიტეტში. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ აქტიურად ედგა მხარში კოტე აფხაზსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ცხოვრობდა უცხოეთში, უმეტესწილად საფრანგეთსა და გერმანიაში.

წინამდებარე სტატია „ბოლშევიკური დიდმოურავიანი“ დაიბეჭდა გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1927 წლის ნოემბრის (№23) ნომერში. იგი წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანოს. როგორც ვხედავთ, ავტორის წინასწარმეტყველება ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებში გიორგი სააკაძის კულტის დანერგვის პერსპექტივაზე მომავალში გამართლდა.

სტატია იბეჭდება რამე შესწორების გარეშე.

გურამ ყორანაშვილი



შალვა ამირეჯიბი

ჩვენს უდიერად გაიძვერა დროში ისტორია დიდ პატივშია. იგონებენ გრაკხებს, სპარტაკს, მარატსა და სხვებს. ბოლშევიკებმა განსაკუთრებული კალენდარიც კი შემოიღეს. ყველა ყაჩაღს პირი დაბანეს, თმა დავარცხნეს და გუტენბერგი და სტენკა რაზინი, სპინოზა და ემელკა პუგაჩოვი ისტორიაში ერთად შეყარეს. ბედი არა ჰქონდათ მხოლოდ ქართველ ყაჩაღებს. ჩვენს თანამემამულეთა ამ სახელოვანი გუნდიდან, რამდენადაც მახსოვს, ბოლშევიკური ისტორიაში, ერთი არსენა ოძელაშვილი მოჰყვა. მაგრამ ჩვენს რუსიყვარია ბოლშევიკებს აქაც კოვზი ნაცარში ჩუვარდათ. არსენა ოძელაშვილი რუსოფობი იყო. თორმეტ ყაზახ-რუსს თოფები მიწით დაუტენა და კუდით ქვა ასროლინა. ასე ამბობს თუ „ქართლის ცხოვრება“ არა, ლეგენდა მაინც...

ბედი არა ჰქონდათ ქართველ ყაჩაღებს, მაგრამ ბედი ჰქონდა ზოგ ქართულ ისტორიულ ფიგურას. დდიდან ბოლშევიკების ჩვენში შემოსვლისა, დიდ პატივში გახდა გიორგი სააკაძის სახელი. რა თქმა უნდა, ამასე დიდ ბოლშევიკები არც თავის სიტყვებში ლაპარაკობენ, არც წერილებში. გიორგი სააკაძე რომ „პროლეტარული რევოლუციის“ ბელა-

დათ არ გამოდგება, ეს ბოლშევიკებმაც იციან. მაგრამ ქართველ ბოლშევიკებს, საერთო ბოლშევიკური სენის გარდა ერთი „ქართული“ სენიცა სჭირთ — თავი დიდ პატრიოტებათ მოაქეთ და ამიტომაც უკან, ისტორიაში იხედებიან. ყველა მოღალატეს და ვიგნიდარას ან ვისაც ჩეკაში ხელი მოუწერია, თავი სააკაძედ მოაქეს. „პატარა“ წაღალატება ქვეყნისა, იმ იმედით, რომ ასე იქცეოდა „თვით“ დიდი მოურავი, პოლიტიკური ზნეობად იქცა და ყველა გამცემი და ჯალათი პატრიოტულ შეღავათს ამაში ხედავს.

ეს გამოჩენილი ისტორიული გვამი, რომლის ბადალსაც ქართული დიდების გამაზვიადებელი პატრიოტები, სხვა ერთა ისტორიაშიც ვერა ხედავენ, მაგრამ, რომელსაც უკვე ჩვენსავე ისტორიაში ჰყავს არანაკლებ სახელოვანი წყება პატივცემული წინაპრებისა — ქართული პატრიოტიზმის მაგალითად არის მიჩნეული. იგონებენ სააკაძეს და, იმავე ბოლშევიკური დეკრეტით, დავით მეფე „აღმაშენებლობითგან“ გადაყენებულია, გუნდრუკს უკმევენ პოლიტიკურ წაჯე-უკუჯექობას და მივიწყებულია ნამდვილი ქართული სათნოება, რომელიც ერთი ჰქმნიდა ჩვენს ისტორიას.


ასეთი ისტორიული შედარება ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელია. პიროვნულად ფილიპე მახარაძე ისე ჰგავს სააკაძეს, როგორც ხარი იუპიტერს. შულავერის პროკლამაცია, რომელზედაც მას ხელი უწერია, არც ტაშისკარის გამარჯვებაა, არც მარაბდის ომი. უფრო ნაკლებ წარმოსადგენია, რომ მახარაძემაც ისე ამოუღიბოს რუსის ჯარი, როგორც სააკაძემ სპარსული. როგორცა ხედავთ, შესადარებელი არაფერია. განსხვავება პიროვნებათა შორის დიდია, არც ჩვენი საუკუნე ჰგავს სააკაძის საუკუნეს. მაგრამ არსებობს მსგავსება ფაქტებს შორის. ბოლშევიკებმაც ისე მოიყვანეს რუსის ჯარი საქართველოში, როგორც, ამ სამი საუკუნის წინეთ, სააკაძემ სპარსული. აი, რატომ სჭირათ ისტორია, რაში ხედავენ „შედავით“ და რატომ არ გადააბან ამ კაცთან თავისი სახელიც, მით უმეტეს, რომ სააკაძის შესახებ საქართველო აგერ სამი საუკუნეა სცდება და ზოგი რომ მოღალატეს უძახის, ზოგს უებრო პატრიოტი ჰგონია. ამას გარდა, ამქვეყნად საბოლოო არაფერია და ერთ დღეს „პროლეტარულმა რევოლუციამაც“ თქვენი ჭირი უნდა წაიღოს. ბოლშევიკურ სამეფოში როგორღაც ყველაფერი აირია და ძალი პატრონს ვეღარა სცნობს. ტროცკი სტალინს ეომება, მახარაძე — ცინცაძეს, უკრაინა მოსკოვს, ევროპა — ბოლშევიზმს. მსოფლიო შარაზედ გადმორეულმა ხარის ფაშემ, ერთი დღეც არის, უნდა დაიბახოს და ნაწლავები გარეთ გამოგლენ. ვინ დაუშლის ქართველ დარდიმანდებს ღონიჯი შემოირტყან, ამ დიდ ქართულ აზნაურს გვერდში ამოუდგენ და

თანაც გვითხრან: სამი საუკუნეა სააკაძის პატრიოტიზმზედ კამათობთ, არა გნებავთ, ახლა ჩვენ პატრიოტიზმზედ იკამათოთ. თუ საქმე აზნაურობაშია, აზნაურები ჩვენც ბევრი გვირევიან?! განა რომ ნაცნობი სურათია! საქართველო არა ერთხელ მდგარა ასეთი ამოცანის წინაშე და რამდენი უბრიყვებით ხალხი ამ პატრიოტიზმის სახელით!

ყოველივე ამას აშკარა შანტაჟის სუნის და ზოგიერთი პრინციპი ზნეობისა და მამულიშვილობისა გადასინჯული უნდა იქნას. საჭიროა ისტორიაში ჩახედვა. საჭიროა სააკაძის დანახვაც. სფინქსად არ მოსულა ეს კაცი ჩვენს წარსულში. და სიკვდილითაც იმნაირად მოკვდა, რომ საიდუმლო თან არაფერი წაუღია. მისი საქციელი ორ აზრს არ უნდა იწვევდეს და გაუგებრობა, მის სახელთან გადაბმული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი დაუდევრობის ბრალი იქნება. ვინ იყო გიორგი სააკაძე?

სააკაძე იყო უტყუარი სამხედრო ნიჭი, აზოვანი და იმ მდელვარე დროის ყველა წარმტაცი ფერებით აყვავილებული დიდი ფიგურა, ჭკვიანი, მაგრამ უფრო ხშირად შემცდარი, რომელმაც საქართველოს გამარჯვების სიტკბოც აგემა, მაგრამ უფრო ბევრი შავი დღე გაუთუნა. თუ მაშინდელ ქართველობას, ზოგჯერაც არის, მოსწონდა იგი, იმიტომ რომ ეს კაცი მართლა გამბედავი პიროვნება იყო. თავის პოლიტიკურ კომბინაციებში შაჰაბასს ეყრდნობოდა, მაგრამ ზოგჯერ მის წინააღმდეგაც მიდიოდა და მიჰყავდა ქართველობაც. ამ გამბედაობას არაფერი აქვს

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო პარიზში გამოიცემოდა (1926 წლის 26 მაისის ნომერი. ფრაგმენტი)





გიორგი სააკაძის ძეგლი თბილისში

საერთო იმ ქართულ ბოლშევიკურ ლაჩრობასთან, რომელსაც საქართველოში ზეირიანი ბოლშევიკური ოპოზიციაც ვერ მოუწევია. ასეთი თავმოყვარეობის ხალხს, სააკაძე ფეხსაც არ გაუშვერდა, რომ მისთვის ქალამანი შეეხსნათ. ამ მხრივ სააკაძე მათი ფარდი არ არის, და მიუხედავად ამისა, სააკაძის ფასი პატრიოტიზა დიდი არ არის. სააკაძე, პირიქით, საყურადღებოა, როგორც პიროვნება, ვისთვისაც ერი, სამშობლო დაჩრდილული იყო საკუთარი სულის გააფთრებული მეობით. ასეთები იყვნენ ალკიბიადესი ძველ საბერძნეთში და კორიოლანუსი — რომში. მაგრამ არც საბერძნეთში და არც რომში ისინი პატრიოტებათ არ ითვლებოდნენ. როგორ უცქერის ქართველი ხალხი სააკაძეს? არის ერთი გარემოება, ფრიად საყურადღებო და მაჩვენებელი იმისა, თუ რა აზრისა არის მათედ ქართველი ერი. ქართველობა სდუმს სააკაძეზედ. ის არ მოჰყვა ხალხურ თქმულე-ბაში. მე არ გამიგონია არც ერთი ხალხური

ლექსი მათედ. ნამდვილ ეროვნულ გმირებს და წასაბამ მაგალითებს ხალხის მენსიერება და მეტადრე ქართული, ასე არ ექცევა. ან არა და, უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხური თქმულე-ბა რომელიმე ისტორიულ პირზედ გვიანა ჩნდება და საყურადღებოა, რომ სააკაძეზე იგი ბოლშევიკურ დროს ჩნდება.

საკაძე არ მოჰყვა არც ჩვენ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. მე სახეში მაქვს წმინდა ლიტერატურა და არა ის ქართული თხზულებები, რომლებიც სააკაძის ახლო დროს დაიწერენ და უფრო ისტორიულ ამბებს წარმოადგენენ, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებთ. ილია ჭავჭავაძემ შეაქო დიმიტრი თავდადებული, აკაკი წერეთელმა თორნიკე ერისთავი, ბაგრატი დიდი და ცოტნე დადიანი. სააკაძე ვერ მოჰყვა გრიგოლ ორბელიანის პოემაშიც, სადაც ამ უბადლო ქართველმა თამადამ ყველა დიდი ქართველის სადღეგრძელო დასცალა. და პირიქით, ან. ფურცელაძის და ალ. შანიშიაშვილის დრამები, სააკაძის ცხოვრებაზედ დაწერილნი, ყველა ქართულ ნაწარმოებზედ სუსტნი იმიტომ გამოდგნენ, რომ სააკაძის პიროვნებას პატრიოტულის საზომით მიუდგნენ. ეჭვიც არ არის, რომ ბერძენი ტრადიკონსი, ასე მიუდგომელნი ადამიანის ხასიათის ასახვაში, ან ინგლისელი შექსპირი, სააკაძეზედ ჩინებულ ტრადედიას დასწერდა, მაგრამ პატრიოტული ღირიკისათვის ან დრამისათვის არ გამოადგება.

ძველის სუნი უდის ამ შედარებას. ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის, სამი საუკუნე გავიდა! — და როგორა ჰგავს ჩვენი დღეების ამბავს! ოცდა ექვსი მაისი ის უდიდესი ისტორიული დღე იყო, რომელსაც ქართული სული და ხორცი მთლად უნდა გადაეხალი-სებინა. მაგრამ ძველმა რეციდივმა ისევ იჩინა თავი. ვიდაცები ისევ გაიქცნენ — ამ ხელად რუსეთში — და უცხო ჯარები მოიყვანეს. ვინ არიან ისინი — მართლა სააკაძენი და კიდევ სხვანი, რომელთა სახელები მრავლობისა გამო, სჯობიან დავიდუმით? ადამიანები ერთმანეთს არასოდეს სავსებით არა ჰგვანან და დღევანდელი სააკაძენი გაცილებით უგულო, უჭკუო და ოხერი ხალხია! ქართველმა ერმა არ მიიღო დიდი მოურავის ღალატი, ის ვერ მიიღებს ვერც იმ რუსის მოურავების ღალატს. რაკი ისტორია განმეორდა, მისი მსჯავრიც უნდა განმეორდეს!

შალვა ამირეჯიბი, 1927 წ.

იერუსალიმის ქალაქისთვის წერილების საბეჭდავი 27 საუკუნისაა



(მარცხნივ) იერუსალიმის ქალაქისთვის საბეჭდავის ანაბეჭდიანი წრიული ფორმის კეცი, (მარჯვნივ) საბეჭდავის ანაბეჭდი მფლობელის სახელის მითითებით.

„არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ბიბლიაში მოყვანილი ორი ცნობა დაადასტურა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იერუსალიმის ისტორიისთვის, ასევე, ბიბლიაში დაცული ცნობების საისტორიო კვლევებში გამოყენების სანდოობის თვალსაზრისითაც“, — ისტორიკოსი **ლადო მირიანაშვილი** უმნიშვნელოვანეს აღმოჩენაზე გვესაუბრა.

„იერუსალიმის ძველი ქალაქის ტერიტორიაზე, 2017 წელს ისრაელელმა არქეოლოგებმა საბეჭდავებისა და კეცზე დატოვებული მათი ანაბეჭდების იშვიათი კოლექცია იპოვეს. ისინი იუდეველთა სამეფოს დროინდელი, დიდი ისტორიული ღირებულების მქონე არტეფაქტებია. ეს საბეჭდავები გამოიყენებოდა წერილების დასალუქად. ყველაზე ადრეული პერიოდის საბეჭდავებზე მხოლოდ გამოსახულებებია დატანილი, ხოლო საბეჭდავების იმ ნაწილს, რომელიც ძ.წ. 700-დან ა.წ. 586 წლამდე პერიოდით თარიღდება, ახლავს საბეჭდავის მფლობელთა სახელები, ძველებრადული დამწერლობით შესრულებული.“

საბეჭდავების პოვნა ადასტურებს, რომ იერუსალიმი, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი. ეს მოსაზრება 2018 წლის I-ელ იანვარს აღმოჩენილმა თიხის კეცის მიერ შემონახულმა ანაბეჭდმაც დაადასტურა: კვლავ იერუსალიმის ძველ ქალაქში, დასავლეთი კედლის მახლობლად, არქეოლოგებმა 2700 წლის წინანდელი, მცირე ზომის წრიული ფორმის კეცი აღმოაჩინეს, რომელზეც საბეჭდავის ანაბეჭდია. კეცზე გამოსახულების მისაღებად, სველი თიხის ფირფიტას ბეჭედი დაარტყეს და შემდეგ გამოწვეს. ფიქრობენ, რომ კეცი გზაზე იყო მიმაგრებული ან სულაც სუვენირს წარმოადგენდა. მასზე გამოსახულია

პირისპირ მდგომი ორი მამაკაცი, რომელთაც მუხლებამდე დაშვებული ზოლიანი სამოსი აცვიათ. გამოსახულებას ახლავს წარწერა: „[ეკუთვნის] ქალაქისთვის“. აქამდე მხოლოდ ბიბლიიდან ვიცოდით, რომ 2700 წლის წინ იერუსალიმს ქალაქისთვის ჰყავდა. ეს ცნობა მეოთხე მეფეთას 23:8-სა და ნეშტას 34:8-შია დაცული: ა) „და დაანგრია [მეფე იოშიამ] კარიბჭის გორაკები, ერთი ქალაქის მთავრის, იესოს, კარიბჭის შესასვლელთან რომ იყო, და მეორე — ქალაქის კარიბჭის ხელმარცხნივ“. ბ) „თავისი ღმერთის სახლის შესაკეთებლად გაგზავნა შაფან აცალიაჰუს ძე, ქალაქისთვის მაცასიაჰუ და მწერალი იოახ იოახაზის ძე“.

არქეოლოგიურმა მონაპოვარმა დაადასტურა ბიბლიის ზემოთ მოყვანილი ორი ცნობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იერუსალიმის ისტორიისთვის, ისე ბიბლიაში დაცული ცნობების საისტორიო კვლევებში გამოყენების სანდოობის თვალსაზრისითაც. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ შლომიტ ვეკსლერ-ბლოლას აზრით, ძველი იერუსალიმის დასავლეთი გორაკის ფერდობზე იერუსალიმის თავისა და სხვა მოხელეების საბეჭდავების აღმოჩენა მიუთითებს, რომ ეს ტერიტორია პირველი ტაძრის პერიოდში მაღალი რანგის მოხელეებით იყო დასახლებული.

მანანა გაბრიჭიძე



აბრეშუმის ჭიის გამოყენება საუკუნეების წინ და დღეს

ქსოვილების დამზადებიდან – მედიცინამდე

აბრეშუმის წარმოების ისტორია ჩინეთს უკავშირდება, რომელსაც პროდუქციის დამზადების საიდუმლო საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ ჰქონდა შენახული. ჩინელების გარდა, თუთის აბრეშუმხვევიას შესახებ არაფერი იცოდა. საიდუმლოს გამცემი კი მოღალატედ ითვლებოდა და სიკვდილით სჯიდნენ. შესაბამისად, აბრეშუმი ძალიან ძვირი ღირდა და მისი წარმოება მონოპოლისტურად მხოლოდ ქვეყნის საზღვრებში ხდებოდა. აბრეშუმის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ უდიდეს საქარაუნო გზას ძველი ჩინეთიდან შუა აზიისა და ევროპისკენ აბრეშუმის დიდი გზა ქწოდებოდა, საუკუნეთა განმავლობაში სპარსელები, არაბები, მონღოლები და ოსმალები ამ გზის კონტროლისთვისაც ექიმპებოდნენ ერთმანეთს.

საქართველოში მეაბრეშუმეობას საფუძველი ვახტანგ გორგასლის პერიოდში ჩაეყარა. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით ვახტანგ გორგასალი V საუკუნეში ინდოეთის დალაშქრისთვის შაჰ პეროზს ახლდა. მეფეს მოსწონებია აბრეშუმის ძაფის ამოხვევის ტექნოლოგია და ქვეყნის მასშტაბით გაუვრცელებია. სიტყვა აბრეშუმი სპარსული წარმომავლობისაა, თუმცა ითვლება, რომ მანამდე ქართველებსაც ჰქონდათ მისი შესატყვისი — ჭიჭნაუხტი. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში მაღალხარისხიანი აბრეშუმის ქსოვილი ე.წ. დარაია მზადდებოდა და მას ვალუტის დანიშნულებაც ჰქონდა. იყენებდნენ საეაჭროდ ოქროსა და ვერცხლთან ერთად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა საქართველოში მეაბრეშუმეობამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა, როცა კარგ საქესპორტო პროდუქტად ითვლებოდა. აღ-

სანიშნავია, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში მეაბრეშუმეობაში 200 ათასამდე ოჯახი იყო დასაქმებული, რაც საშუალოდ 6-6,5 ტონა პარკის წარმოებას ნიშნავს და რეკორდული მაჩვენებელია. სამწუხაროდ, ამ პერიოდში კავკასიაში აბრეშუმხვევია ჭიის დაავადება — პებრინა გაჩნდა და დარგი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აბრეშუმის წარმოება, ფაქტობრივად, ჩაკვდა და სერიოზული პოტენციალის მიუხედავად, მისი აღდგენა დღემდე ვერ ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ აბრეშუმის ჭიის, ქსოვილების დამზადების გარდა, მედიცინაშიც ფართოდ იყენებენ. მას ჯერ კიდევ საუკუნეების წინ დანამატების სახით კოსმეტიკური და სამედიცინო დანიშნულებით მოიხმარდნენ.

ბოლო პერიოდში მეცნიერებმა კარგად შეისწავლეს ჭიის ფუნქციები და მას სამედიცინო პროტეინის — კოლაგენის დასამზადე-

ბლად იყენებენ. ის ასევე გამოიყენება პლასტიკური ქირურგიისა და რეკონსტრუქციისას.

სამხრეთ კორეაში აბრეშუმის ჭკის პროტეინს გამოიყენებენ ალცჰაიმერის დაავადების, დიაბეტისა და ჭარბი წონის წინააღმდეგ. საუკუნეების განმავლობაში დაკვირვებების შედეგად ჩამოყალიბდა აზრი, რომ აბრეშუმის პროტეინი ატარებს მაღალ გამძლეობასა და მოქნილობას, არის ადვილად დასამუშავებელი, მანიპულირებადი და სტერილიზებადი. აბრეშუმში გამოიყენება ისეთი ქირურგიული ჩარევების შემთხვევებშიც, როგორცაა ძვლის გაზრდა ან ნერვული დაბოლოებისა და ახალი სისხლძარღვის შექმნა.

თუთის აბრეშუმხვევიას ნაწლავებში აღმოაჩინეს ნივთიერება, მედიცინის ენაზე პროტეოლიზური ფერმენტი, რომელსაც ძლიერი ბუნებრივი ანთების საწინააღმდეგო ეფექტი გააჩნია. ამ ფერმენტის დანხარებით პეპლად გადაქცევისას აბრეშუმის პარკი იხსნება. 25 წელზე მეტია ის ევროპისა და აზიის ქვეყნებში კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენება.

საქართველოში ამ ფერმენტის შემცველი მედიკამენტი გაყიდვაშია და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ეს არის „სერაპეპტაზა“, რომელიც პროტეოლიზური ფერმენტია და მას ძლიერი ბუნებრივი ანთების საწინააღმდეგო ეფექტი გააჩნია. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტკივილის შეგრძობის შემცირებისთვის. „სერაპეპტაზა“ ეფექტურ ბუნებრივ ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს ტრავმებით და ანთებით გამოწვეული შეშუპების დროს. მისი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი ანთებითი ქსოვილიდან ტკივილის გამომწვევი ამინების გამოყოფის დაბლოკვის უნარს ეფუძნება. HealthAid-ის „სერაპეპტაზას“ არ გააჩნია რამე გვერდითი ეფექტი. კარგია სახსრების ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და იმუნური სისტემის მხარდაჭერისთვის.

მედიკამენტი გამოიყენება: სხვადასხვა ანთების დროს ტკივილის შესამცირებლად, სხვადასხვა ტრავმით გამოწვეული ანთების შესამცირებლად, ანთებით გამოწვეული შეშუპების შესამცირებლად, სინუსიტების დროს ანთების შესამცირებლად, ბაქტერიული ინფექციის დროს ანტიბიოტიკების ეფექტურობის გასაზრდელად, ჯანმრთელი იმუნური სისტემის შენარჩუნებისთვის.

ტრავმისა და ანთების დროს ტკივილისა და შეშუპებისას გამოყენების პარალელურად, „სერაპეპტაზას“ მიღება განსაკუთრებული შედეგაა მათთვის, ვინც სახსრების ტკივილის გამო ხშირად იღებს ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებს. მათი ხანგრძლივი მიღებისას ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი მცირდება, სამაგიეროდ იზრდება არასასურველი გვერდითი მოვლენები.

„სერაპეპტაზა“ ამცირებს სახსრების ანთებით პროცესს, მის თანხლებ ტკივილს და ქიმიური ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღების სიხშირეც ბუნებრივად იკლებს.

„სერაპეპტაზა“ ბრიტანული კომპანია „ჰელსეიდის“ პროდუქტია, ეს არის 30-წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია, რომელსაც საუკეთესო და ძალიან ეფექტური ბუნებრივი საშუალებები აქვს შექმნილი.

მიღება რეკომენდებულია სპორტსმენებისთვის, განსაკუთრებით, ტრავმებისკენ მიდრეკილების შემთხვევაში და ასაკოვანი პირებისთვის სახსრების ანთებითი პროცესების დროს.

აბრეშუმის ჭკის მეტამორფოზა ასეთია: პეპელა დებს კვერცხს, მისგან იჩეკება მატლი, რომელიც პარკში ეხვევა, შემდეგ პატარა ნახვრეტს აკეთებს, რათა პარკიდან პეპელა გამოფრინდეს. აბრეშუმის ჭკია სერატიოპეპტიდაზას საშუალებით შლის პარკის ნაწილს — უბრალოდ აქრობს მას. ასე აქრობს ანთებისა და ტკივილის გამომწვევ მიზეზსაც „სერაპეპტაზა“ ადამიანის ორგანიზმში.



R



სივილიზაციათა შეჯახება იერუსალიმსა და პალესტინაში

იერუსალიმის აღება ანტიოქე IV-ის მიერ. გაუქმდა თორას კანონები და ებრაული წეს-ჩვეულებები, იერუსალიმის წმინდა ადგილი ზევისს ტაძრად გადააქციეს

იერუსალიმის კოლიტიკური სტატუსის ისტორია. ნაწილი II

იუდეის ელინიზაცია თავდაპირველად ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ძვ.წ. II-I საუკუნეებში კი აქტიურ ფაზაში შევიდა. იუდეაში შეაღწია ბერძნულმა ენამ, ბერძნულმა სახელებმა, კულტურამ და სხვ. ეს პროცესი განსაკუთრებით მდიდარ ფენას შეეხო. მან ბერძნული კულტურის მრავალი ელემენტი შეითვისა და თანამემამულეთა თვალში „ცოდვილის“ მანტიაც მოიგო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძვ.წ. 170-იან წლებში ელინიზმის მომხრე ძალებმა იერუსალიმში გადატრიალება მოაწყვეს და მღვდელმთავრის პოსტზე საკუთარი წარმომადგენელი დასვეს. ახალ კანდიდატურას ანტიოქე IV-მაც მხარი დაუჭირა.

„იერუსალიმისთვის მოიცალა“

ახალმა ხელისუფლებამ იერუსალიმის ბერძნული ქალაქების სტილში მოწყობა დაიწყო. შეიქმნა „პოლისი“, რომლის სრულუფლებიანი წევრები („დემოსი“) ძირითადად არისტოკრატიისა და ოლიგარქიის წარმომადგენლები გახდნენ. თორაზე დაფუძნებული ძველი საქალაქო წესები გაუქმდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იერუსალიმის ტაძარში არსებული ძვირფასეულობა გაიძარცვა. ამ ფაქტმა ელინიზებულ არისტოკრატიასა და ღარიბ მოსახლეობას შორის ნამდვილი

სამოქალაქო ომი გამოიწვია. იმ ეტაპზე კონფლიქტი მეფე ანტიოქემ შეაჩერა.

ძვ.წ. 169 წელს, ეგვიპტეში განცდილი მარცხის შემდეგ, ანტიოქე იერუსალიმში შევიდა და ტაძარი პირწმინდად გაძარცვა. ამას არ ჰქონია ებრაელების სადამსჯელო ღონისძიების სახე. სელევკიდების მეფეს ფინანსური სახსრები ესაჭიროებოდა და მსგავს საქციელს არ ერიდებოდა. მეფის მოქმედებამ ებრაელებში უკმაყოფილება გამოიწვია, გაიზარდა პროევგვიპტური განწყობა.

მომდევნო წელს ანტიოქემ ეგვიპტის წინააღმდეგ მორიგი კამპანია დაიწყო. ამით ისარგებლეს ებრაელებმა და მისი მომხრე მოხელეები ქალაქიდან გააძევეს. ეგვიპტელებთან მორიგი მარცხის შემდეგ ანტიოქემ იერუსალიმისთვის მოიცალა და ქალაქი ალყაში მოაქცია. ბრძოლის შედეგად მრავალი ადამიანი დაიღუპა, იერუსალიმი და მისი კედლები დაზიანდა. ანტიოქემ ქალაქი აიღო და აჯანყებულები მკაცრად დასაჯა. გაუქმდა თორას კანონები და ებრაული წეს-ჩვეულებები, მათ ნაცვლად ბერძნული პანთეონის თავანისცემა დაკანონდა. ანტიოქეს რელიგიურმა რეფორმებმა უკიდურესი ხასიათი მიიღო: ებრაელთა ტაძარში ღვთისმსახურება, წინადაცვეთის ტრადიცია და შაბათის დღეს დასვენება ოფიციალურად აიკრძალა. იერუს-

სალიმის წმინდა ადგილი ზევის ტაძრად გადააქციეს.


საშომონიანთა სახელმწიფო

ძვ.წ. 167 წელს, საშომონიანთა კლანის ხელმძღვანელობით, სელევკიდების წინააღმდეგ ებრაელთა ამბოხება დაიწყო. ამბოხს სათავეში იუდა მაკაბელი ჩაუდგა. მან რამდენჯერმე დამარცხა სელევკიდების ჯარი, ძვ.წ. 164 წელს ანტიოქეს გარდაცვალება ჯეროვნად გამოიყენა — იერუსალიმი აიღო, ტაძარი ბერძნული კულტისგან გაწმინდა, მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღადგინა და ახალი მღვდელმთავარი დანიშნა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ებრაელები დღემდე ზეიმობენ ხანუქას დღესასწაულს.

იუდა მაკაბელი ოთხ წელიწადში გარდაიცვალა და სელევკიდებმა იერუსალიმის დაბრუნება მოახერხეს. საშომონიანებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. იუდას საქმე მისმა ძმებმა — იონათანმა და სიმონმა განაგრძეს. იონათანმა სათავესოდ გამოიყენა ძვ.წ. 150-იანებში სელევკიდების სამეფოს შიგნით მიმდინარე არეულობა და მეფე ალექსანდრე I ბალასის (150-146) ნებით ებრაელთა მღვდელმთავრობას მიაღწია. მანვე თანამემამულეებს გადასახადები მნიშვნელოვნად შეუმცირა. ძვ.წ. 142 წელს იონათანი სელევკიდების ახალმა მეფემ, დიოდოტე ტრიფონმა (142-138), სიკვდილით დასაჯა. ებრაელთა ახალი წინამძღოლი გახდა სიმონი, რომელმაც მხარი დაუჭირა დიოდოტეს მოწინააღმდეგე დემეტრიოს II-ს და მისი მოკავშირეობის წყალობით, იუდეას ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოუპოვა.

ძვ.წ. 140 წელს იერუსალიმში სახალხო კრება გაიმართა. სიმონი ებრაელთა სასულიერო და სამხედრო წინამძღოლად (ეთნარქად) აირჩიეს. წარმოიქმნა დამოუკიდებელი ებრაული (საშომონების) სახელმწიფო, რომლის ცენტრი გახდა იერუსალიმი. სიმონმა აიღო იერუსალიმში სელევკიდების უკანასკნელი ციტადელი — აკრა და ქალაქში ელინისტური ხანა დაასრულა.

საშომონების სახელმწიფო რომაელების მიერ იუდეის დაპყრობამდე არსებობდა. ის განსაკუთრებით გაძლიერდა ალექსანდრე იანაის (103-76) დროს, რომელმაც საზღვრები საგრძნობლად გააფართოვა და თითქმის მთელ პალესტინაზე საკუთარი ბატონობა დაამყარა. საშომონების მმართველობის პერიოდში გაიზარდა იერუსალიმიც.



„იუდა მაკაბელის ტრიუმფი“. პიტერ პაულ რუბენსი, 1635 წ.



რომი იუდას იმორჩილებს

ძვ.წ. I საუკუნეში რომის რესპუბლიკა აღმოსავლეთში განსაკუთრებით გააქტიურდა. ძვ.წ. 60-იან წლებში რომაელმა სარდალმა გენეუს პომპეუსმა პონტოს სამეფო გაანადგურა და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებსაც შეუტია.



რომის საზღვარი სწრაფად მიუახლოვდა ხაშმონების სამეფოს. ამ პერიოდში ებრაულ სახელმწიფოში სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული ალექსანდრე იანაის ორ შვილს — ჰირკანსა და არისტობულს შორის. ძვ.წ. 65 წელს ჰირკანის ძალებმა არისტობული დაამარცხეს და იერუსალიმი ალყაში მოაქციეს. პომპეუსი სირიაში იმყოფებოდა, როცა იუდეაში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ შეიტყო. მან ტახტის ორივე პრეტენდენტი თავისთან დაიბარა და შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ომის შეწყვეტა უბრძანა. არისტობული არ დაემორჩილა პომპეუსის ბრძანებას, რომელთა ბანაკი დატოვა და ომი განაახლა. არისტობულის ურჩობას მოჰყვა პომპეუსის მიერ იერუსალიმის აღება (ძვ.წ. 63), ქალაქის კედლების დანგრევა და რომაელთა ბატონობის დამყარება. ხაშმონების სახელმწიფოს ფორმალურ მმართველად რომაელებმა დატოვეს ჰირკან II — „რომის მეგობარი და მოკავშირე“. იუდეის სახელისუფლებო წრეში პირველობდა ჰირკანის მრჩეველი ანტიპატრე, რომელიც რომაელთა ერთგული მოხელე იყო.

ძვ.წ. 37 წლამდე, ანუ იუდეის ხელისუფლებაში პეროდეს მოსვლამდე, იერუსალიმში მუდმივი დაძაბულობა სუფევდა. არისტობულის ოჯახი აქტიურად იბრძოდა პრორომაული ხელისუფლების დასამხობად. იერუსა-

ლიმის სტატუსი შეიცვალა — დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქიდან რომზე დამოკიდებულ ქალაქად გადაიქცა, რომლის მოსახლეობას ახალი ბატონებისთვის დიდძალი გადასახადი უნდა მიეცა. ჰირკანის მიერ მიღებული „რომის მოკავშირის“ სტატუსი მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა. იუდეის შიდა საქმეებისთვის თვალყურის დევნება სირიაში რომის ნაცვალს დაევა. ძვ.წ. 57 წელს იერუსალიმის სტატუსი კიდევ უფრო დაკნინდა — რომაელებმა იუდეა რამდენიმე ოლქად დაყვეს და იერუსალიმი კი ერთ-ერთი მათგანის ცენტრად იქცა.

ძვ.წ. 54 წელს მარკუს კრასუსმა გაძარცვა იერუსალიმის ტაძარი. ის პართიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას იწყებდა, რისთვისაც დიდძალი ფინანსები ესაჭიროებოდა. საბოლოო ჯამში რომაელები დამარცხდნენ. ებრაელები კი აჯანყდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ამ აჯანყების ჩახშობა მალევე მოხერხდა.

ძვ.წ. 48 წელს რომში უზენაესი ძალაუფლების მოსაპოვებლად მიმდინარე ბრძოლაში იულიუს კეისარმა გნეუს პომპეუსი დაამარცხა. ჰირკანი და ანტიპატრე გამარჯვებულის მხარეს გადავიდნენ. სანაცვლოდ კეისარმა იუდეის ერთიანობა აღადგინა, მისი საზღვრები გააფართოვა და ავტონომია მიანიჭა. ამ პერიოდში ანტიპატრე უკვე იუდეის ფაქტობრივი მმართვე-



მეფე ჰეროდემ იერუსალიმის მეორე ტაძარს დასრულებული სახე მისცა. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, იესო ქრისტე სწორედ ამ ტაძარში შედიოდა (მაკუტი ისრაელის მუზეუმში)

წელს ჰეროდემ იერუსალიმი აიღო. ანტიგონე რომაელებს დანებდა (ანტონიუსმა ის სიკვდილით დასაჯა). ხაშმონების დინასტიამ და სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. იერუსალიმის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ჰეროდეს ხანა

ჰეროდე იუდეას ერთპიროვნულად ძვ.წ. 37-ახ.წ. 1-ელ წლებში განაგებდა. ძვ.წ. 31 წელს რომის აღმოსავლეთი ნაწილის მფლობელი მარკუს ანტონიუსი რომში გაბატონებულ ოქტავიანე ავგუსტუსთან ბრძოლაში დამარცხდა. ჰეროდეს არც ამჯერად გასძნელება ახალი ხელისუფლისთვის ერთგულების დამტკიცება, რისი წყალობითაც ტახტი შეინარჩუნა.

ჰეროდეს მმართველობისთვის დამახასიათებელი იყო ტერორი, რომელსაც მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად იყენებდა. მაგალითად, მან სიკვდილით დასაჯა ჰირკან II. ის მთლიანად რომზე იყო დამოკიდებული და აქტიურად ატარებდა ელინიზაციის პოლიტიკას: დააარსა ელინური ქალაქები, შემოიტანა იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის კულტი, გაადღიერა ბერძნული ენის სტატუსი, სამეფო ელიტა ძირითადად ბერძნებისგან დააკომპლექტა და სხვ. ეს ყველაფერი ებრაელთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა.

ამავე დროს, ჰეროდეს უკავშირდება იერუსალიმის აღმშენებლობა. მან ქალაქში რამდენიმე ღირსშესანიშნავი შენობა ააგო, მათ შორის, სიონის მთაზე; გააფართოვა და რესტავრაცია გაუკეთა იერუსალიმის ტაძარს. ჰეროდემ მეორე ტაძარს დასრულებული სახე მისცა (ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, იესო ქრისტე სწორედ ამ ტაძარში შედიოდა). ამ პერიოდისთვის იერუსალიმი ათასობით პილიგრიმის მოლოცვის ადგილი იყო. ამის მიუხედავად, ჰეროდემ მაინც ვერ მოიპოვა კონსერვატიულად განწყობილი ებრაელების სიმპათია.

სიკვდილის წინ ჰეროდემ სამეფო საკუთარ შვილებს: არქელაოსს, ჰეროდე ანტიპასსა და ფილიპეს გაუნაწილა. ახალ მმართველებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო. იმპერატორმა ავგუსტუსმა იუდეის დანაწე-

ლი იყო, ჰირკანი კი მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა წინამძღოლის სტატუსს. ანტიპატრემ საკუთარი შვილი — ჰეროდე დააწინაურა და გალილეის მმართველად დანიშნა. კეისრის დროს იერუსალიმის სტატუსი გაიზარდა.

ძვ.წ. 44 წელს კეისარი მოკლეს. შეთქმულების ხელმძღვანელი გაიუს კასიუს ლონგინუსი რომიდან გაიქცა და სირიაში არმიის შესაგროვებლად ჩამოვიდა. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ჰეროდე, რომელსაც დახმარების სანაცვლოდ იუდეის მეფობასაც კი დაჰპირდა. ძვ.წ. 42 წელს გაიუს კასიუსი და მარკუს იუნიუს ბრუტუსი დამარცხნენ მარკუს ანტონიუსისა და ოქტავიანე ავგუსტუსის ძალებთან ბრძოლაში. ჰეროდემ ამჯერადაც გამარჯვებულების მხარე დაიჭირა და მათგანაც მფარველობა მიიღო.

ძვ.წ. 40 წელს სირიაში პართიელები შეიჭრნენ. არისტობულის ვაჟმა ანტიგონემ ამ მოვლენის სათავესოდ გამოყენება სცადა და პართიელებს იერუსალიმის აღება შესთავაზა. იმავე წელს ანტიგონემ, ძლიერი მოკავშირეების დახმარებით, იერუსალიმის აღება შეძლო, ტახტიდან ჩამოაგდო ჰირკანი, ხოლო ჰეროდემ რომში გაქცევა მოახერხა. რომის ხელმძღვანელობამ ჰეროდე იუდეის მეფედ დანიშნა და დამხმარე ძალებით იერუსალიმის დასაბრუნებლად გამოაგზავნა. პართიელების დამარცხების შემდეგ რომაელებმა ჰეროდეს უფრო დიდი დახმარება აღმოუჩინეს. ძვ.წ. 37



პომპეუსი იერუსალიმის ტაძარში. იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველეების“ 1470 წლის გამოცემა, ჟან ფუკეს ილუსტრაცია

ერება ძალაში დატოვა, ხოლო არქელაოსს მეფის ტიტულუს ნაცვლად ეთნარქის წოდება მიანიჭა. ამ უკანასკნელის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა — ძვ.წ. 6 წელს აგუსტუსმა არქელაოსი გაიწვია და მისი სამფლობელო „იუდეის პროვინციად“ აქცია.

რომის მოხელეთა მმართველობა

იუდეის პროვინციის მმართველი გახდა იმპერატორის პრეფექტი, რომლის რეზიდენცია კესარიაში განთავსდა. იერუსალიმმა დაკარგა პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია, ქალაქში ჩადგა რომაელთა გარნიზონი. პრეფექტის უფლებამოსილებაში შედიოდა მოსახლეობის აღწერა, გადასახადების აკრეფა, უმაღლესი მოსამართლის უფლებამოსილების აღსრულება. ასევე, მას შეეძლო ებრაელთა მღვდელმთავრების დანიშვნა-გადაყენებაც. მიუხედავად ამისა, იერუსალიმი ებრაელების რელიგიურ ცენტრად რჩებოდა.

რომის პრეფექტებს შორის ყველაზე ცნობილი პონტიუს პილატე, იგივე პილატე პონტოელია (26-36 წწ.), რომელმაც სახელი

გაითქვა მკაცრი რეჟიმის დამყარებითა და მრავალი ადამიანის სიკვდილით დასჯით. პილატეს მმართველობის დროს მოხდა იესო ქრისტეს ჯვარცმა. პილატე ამ მოვლენაში უშუალოდ მონაწილეობდა. ქრისტე თავისი მიწიერი ცხოვრების ბოლო პერიოდს სწორედ იერუსალიმში ატარებდა, რომელიც მოგვიანებით ქრისტიანების მთავარ წმინდა ადგილად იქცა.

41-44 წლები იერუსალიმი იუდეის მეფე აგრიპა I-ის რეზიდენციას წარმოადგენდა. აგრიპა იუდეის მეფედ დანიშნა იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54 წწ.) და ამ უკანასკნელის დიდი ნდობით სარგებლობდა. აგრიპა ჰეროდეს შვილიშვილი იყო, თუმცა ბაბუამისისგან განსხვავებით, თანამემამულეთა ინტერესებს იცავდა. მან სცადა იერუსალიმის უფრო დაცულ ქალაქად გადაქცევა, მაგრამ რომის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა. აგრიპას უეცარი გარდაცვალების შემდეგ კლავდიუსმა იუდეაში უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლად პროკურატორი დანიშნა. პროკურატორების პერიოდი 66 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა უკმაყოფილება ადგილობრივ მოსახლეობასა და რომაული ადმინისტრაციის მესვეურებს შორის. დანიშნულ მოხელეთა უმსგავსო საქციელმა, რომელიც იმპერატორებისა და ღმერთების კულტის დამკვიდრებამ და პალესტინაში რომაული კულტურის მომძლავრებამ დიდი ებრაული აჯანყება გამოიწვია.

ანტირომაული აჯანყებები და იერუსალიმის დანგრევა

აჯანყების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო რომაელი პროკურატორი გესიუს ფლორუსი (64-66 წწ.), რომელიც ებრაელთა ტაძრის ხაზინას შეეხო, რამდენჯერმე უსასტიკესად მოექცა იერუსალიმის მცხოვრებლებს, და კიდევ სხვა ბევრი მიზეზის გამო ებრაელებს ამბოხებისკენ უბიძგა (66 წ.). ამბოხებულებმა იერუსალიმზე კონტროლი დაამყარეს და რომის იმპერატორის კეთილდღეობისთვის მსხვერპლმწირავა შეწყვიტეს, რაც მკაფიო განაცხადი იყო აჯანყებულთა მხრიდან. მათ გაანადგურეს პრორომაულად განწყობილი მღვდელმთავრის სახლი, ხაზინა და რომაელთა ბატონობასთან დაკავშირებული შენობები. აჯანყებულთა ბოლო სამიზნე იყო ჰეროდეს სასახლე, რომელსაც რომაული



იერუსალიმის დაქცევა რომაელთა მიერ 70 წელს, ტიტუსის სარდლობით (დევიდ რობერტსი, 1850 წ.)

გარნიზონი და მათი მომხრე ძალები აფარებდნენ თავს. საბოლოოდ, რომაელებმა დანებება არჩიეს. ამბოხებულებმა მათ ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს და ისინი სასტიკად ამოხოცეს. სირიის რომაელმა მმართველმა გაიუს ცესტიუს გალუსმა აჯანყებულებზე შეტევა მიიტანა, მაგრამ იერუსალიმის აღება ვერ შეძლო და უკან დაიხია. აჯანყება მთელ პალესტინას მოედო.

იერუსალიმი ამბოხებულებმა იგდეს ხელთ, თუმცა, ერთიანობის შენარჩუნების ნაცვლად, სამოქალაქო ომი გააჩაღეს. ქალაქში ერთმანეთს ზომიერი და რადიკალური ფრთების წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. კონფლიქტი ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა, შემდეგ კი თავად რადიკალთა ბანაკი დაიშალა. რამდენიმე ბანაკად დაყოფილმა ამბოხებულებმა ქალაქის ტერიტორია გაინაწილეს და თანამემამულეებთან ბრძოლა განაგრძეს.

ამასობაში იმპერატორმა ნერონმა (54-68

ბარ კობზას მიერ მოჭრილი მონეტა წარწერით — იერუსალიმის თავისუფლებისთვის



წწ.) აჯანყების ჩახშობა ვესპასიანეს დაავალა. ვესპასიანე 67 წელს ენერგიულად ამოქმედდა და უკვე 69 წლისთვის მთელი პალესტინის დაშოშმინება შეძლო. წინააღმდეგობას მხოლოდ იერუსალიმი განაგრძობდა.

70 წელს ვესპასიანე რომის იმპერატორი გახდა, იუდეაში რომაელების არმიას კი მისი შვილი — ტიტუსი ჩაუდგა სათავეში; სწორედ მან შეუტია იერუსალიმს. რომაელთა მხარეს ოთხი ლეგიონი და მოკავშირეთა შენაერთები იბრძოდნენ, იერუსალიმს დაახლოებით 25 ათასი მეომარი იცავდა. რომაელთა გამოჩენის შემდეგ ქალაქში სამოქალაქო ომი დასრულდა და მოქიშპე მხარეები საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ხუთთვიანი ალყის შემდეგ იერუსალიმი დაეცა. რომაელებმა ის გაანადგურეს, რაც ყველაზე მთავარია — დაანგრეს იერუსალიმის ტაძარი. ეს იყო ებრაელებისთვის მიყენებული ყველაზე დიდი ზიანი. ამან ებრაელობის მორალური კრიზისი გამოიწვია, შემდგომში კი დაიბადა მესიანისტური იდეა ტაძრის აღდგენის შესახებ. მართალია, არის ცნობები, რომ ებრაელები ტაძრის ნანგრევებთან მაინც მიდიოდნენ და მსხვერპლშეწირვის რიტუალს აღასრულებდნენ, თუმცა ამას მასობრივი ხასიათი აღარ ჰქონდა. ქალაქში რომაული ლეგიონი ჩადგა. ებრაელები რომის იმპერიის ტერიტორიაზე გაიფანტნენ.

ებრაელები ოცნებობდნენ ტაძრის აღდგენაზე. განსაკუთრებული იმედი მათ იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წწ.) ჩაუსახა, რომელიც ცნობილი იყო სხვადასხვა ერების



იმპერატორი კონსტანტინე I დიდი (ფრაგმენტი XVI საუკუნის ნახატიდან — რაფაელის ასისტენტები)

მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკით. ებრაელებთანაც მან საერთო ენა გამოიხატა და მართლაც აპირებდა დანგრეული იერუსალიმის ადგილას მშენებლობის დაწყებას, თუმცა, მისი სურვილი იუდეველთა იმედებს არ შეესაბამებოდა. იმპერატორმა იერუსალიმის ადგილას ახალი რომაული ქალაქის — „ელია კაპიტოლინას“ მშენებლობა და მასში იუპიტერის საკულტო ნაგებობის აგება დაიწყო. ამ მიზნის განსახორციელებლად 130 წელს ადრიანე იერუსალიმშიც იმყოფებოდა. თუ „რომის ისტორიის“ ავტორ დიონ კასიუსს დავუჯერებთ, სწორედ ეს იქცა ებრაელთა ახალი აჯანყების გამომწვევ მიზეზად.

აჯანყება 132 წელს, სიმონ ბარ კოხბას მეთაურობით დაიწყო და ოთხ წელიწადს გაგრძელდა. აჯანყებულებმა ისრაელის დიდ ნაწილზე დაამყარეს კონტროლი, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. არის მოსაზრება, რომ

ბარ კოხბამ იერუსალიმის ადგილაც მოახერხა, მაგრამ მკვლევართა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. აჯანყების ლოზუნგი იყო „იერუსალიმის თავისუფლებისთვის“, რაც ბარ კოხბას მიერ მოჭრილ მონეტაზეც აღიბეჭდა.

აჯანყებამ ებრაელებს კიდევ უფრო კატასტროფული შედეგები მოუტანა: ადრიანემ იერუსალიმი გადააქცია რომაულ კოლონია „ელია კაპიტოლინად“, ებრაელთა დანგრეული ტაძრის ადგილას იუპიტერის ტაძარი ააგო, ხოლო ებრაელებს იერუსალიმში დასახლება აუკრძალა. მიუხედავად ამისა, ქალაქში ებრაული თემი მაინც არსებობდა და იქ პილიგრიმები ჩადიოდნენ.

ქრისტიანობის მთავარი ძალაში

ბარ კოხბას აჯანყების შემდეგ, იერუსალიმში ქრისტიანების რაოდენობამ ზრდა დაიწყო. ქრისტიანობის პირველივე წლებში იერუსალიმში ეპისკოპოსის თანამდებობა არსებობდა, პირველი ეპისკოპოსი იყო იაკობი — იესო ქრისტეს მიწიერი მამის, იოსების შვილი. იერუსალიმის ეპისკოპოსები კესარიის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდნენ (კესარია იყო პროვინციის დედაქალაქი). მართალია, იმპერატორ კონსტანტინე I დიდის (306-336) ზეობამდე ქრისტიანები რომის იმპერიაში სასტიკად იდევნებოდნენ, თუმცა მათი რელიგიური დოქტრინა მთელ იმპერიაში გავრცელდა, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში. 313 წელს გამოცემული მილანის ედიქტით, ქრისტიანობა ლეგალური გახდა.

ნიკეის პირველმა საეკლესიო კრებამ (325 წ.) ხაზი გაუსვა იერუსალიმის განსაკუთრებულ სტატუსს ქრისტიანობისთვის. სწორედ ამ კრების შემდეგ შეუდგა იმპერატორი კონსტანტინე იერუსალიმში, გოლგოთას მთაზე, ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას. იერუსალიმი გახდა ქრისტიან პილიგრიმთა მომლოცველობის მთავარი ცენტრი, სადაც მათი სიწმინდეები იყო განთავსებული (უპირველესად ის ჯვარი, რომელზეც ქრისტე ეწამა). IV საუკუნეში იერუსალიმი ქრისტიანულ ქალაქად იქცა. „ელია კაპიტოლინაზე“ აღმართული იუპიტერის ტაძარი დაანგრევს.

მომდევნო პერიოდში იერუსალიმის სტატუსი სულ უფრო მაღლდებოდა. ქალაქში აღმოაჩინეს მრავალი ქრისტიანული სიწმინდე, აიგო ქრისტიანული ტაძრები. ამან იერუსალიმის ეპისკოპოსებს საკუთარი სტატუსის

გაზრდისთვის ბრძოლისკენ უბიძგა. 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა საეკლესიო კრებამ იერუსალიმი „ყველა ეკლესიის დედად“ მონათლა. ქალკედონის საეკლესიო კრებამ (451 წ.) ეპისკოპოსი იუბენალი იერუსალიმის პირველ პატრიარქად დაამტკიცა და პალესტინის სამი პროვინცია დაუქვემდებარა.

საზრთის აღმოსავლეთიდან

ბიზანტიურ ეპოქაში (395-638) იერუსალიმი უფრო გამდიდრდა და კეთილმოეწყო. მაგალითად, იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) ძვ.წ. 543 წელს ქალაქში ღვთისმშობლის ახალი ტაძარი ააგო. ბერძენთა გავლენას იერუსალიმზე არანაირი საფრთხე არ შექმნია VII საუკუნის დასაწყისამდე, როცა სპარსეთის შაჰმა ხოსრო II-მ (591-628) ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია დაიწყო. 613 წელს სპარსელებმა აიღეს ანტიოქია, ედესა, დამასკო და იერუსალიმს მიუახლოვდნენ.

სპარსეთის მეფეს იერუსალიმთან დაკავშირებით განსაკუთრებული გეგმები ჰქონდა. პირველ რიგში, ამ ქალაქის აღება ბიზანტიას მორალურად გასტეხდა, რაც იმპერიის პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებასაც უდიდეს ზიანს მიაყენებდა. გარდა ამისა, ხოსროს ომის გასაგრძელებლად ფინანსები სჭირდებოდა, იერუსალიმში კი მას დიდძალი სიმდიდრე ეგულებოდა. სპარსელებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და ოცი დღის შემდეგ აიღეს. იერუსალიმი საგრძნობლად დაზიანდა, სპარსელებმა დახოცეს ათასობით ქრისტიანი, ქალაქი გაძარცვეს, ხოლო ქრისტეს ჯვარი იერუსალიმიდან გაიტანეს. უნდა აღინიშნოს, რომ ებრაული საზოგადოება სიხარულით შეხვდა რეგიონში სპარსეთის გამოჩენას და დახმარებაც გაუწია მას. არის ცნობები, რომლის მიხედვითაც ებრაელებმა მონაწილეობა მიიღეს ქრისტიანების ფიზიკურ განადგურებაში. მათ სპარსეთის ეგვიპტე ებრაული ავტონომიის აღდგენის იმედი ჰქონდათ, თუმცა ეს იმედი არ გამართლდა. სპარსელების სიმპათიები მალევე გადაიხარა ადგილობრივი ქრისტიანებისკენ, რადგან ისინი ქალაქისა და მთლიანად რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

სპარსელთა ხელში იერუსალიმი 614-628 წლებში იყო. 628 წელს სპარსეთი ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641) დაამარცხა, 630 წელს იერუსალიმში ტრიუმფით


შევიდა და ქრისტეს ჯვარი ისევ ქალაქში დააბრძანა. ქალაქში ბიზანტიელთა დაბრუნებას ებრაელთა დევნა მოჰყვა.

იერუსალიმი ბიზანტიის შემადგენლობაში კიდევ რვა წლის განმავლობაში დარჩა. ამ დროს რეგიონის პოლიტიკურ სარბიელზე არაბთა სახალიფო გამოვიდა, რომელმაც ბიზანტიისა და სპარსეთის დაუძლურებით ისარგებლა და ახალი რელიგიის, ისლამის დროშის ქვეშ, ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიები წამოიწყო. 636 წელს მდინარე იარმუქთან (მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ შენაკადი) გამართულ ბრძოლაში არაბებმა ბიზანტიის ჯარი გაანადგურეს. იერუსალიმის აღება მხოლოდ დროის საკითხი იყო. 638 წელს არაბთა ხალიფა უმარი (634-644) პალესტინაში ჩავიდა და იერუსალიმის პატრიარქ სოფრონიუსისგან ქალაქი პირადად ჩაიბარა. იერუსალიმის ისტორიაში სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო.

(გაგრძელება იქნება)

ბიოგრაფიკული არქაონი

ებრაელთა განდევნა იერუსალიმიდან ბარ კოხბას აჯანყების შემდეგ (მინიატურა XV საუკუნის ხელნაწერიდან)



ორსონ უელსის ჯანყი ჰოლივუდი

პინოჩეისორთა მეფის „ქართული მოტივები“

ამერიკული ფილმის „მოქალაქე კეინის“ ფინალში მომაკვდავი ჩარლზ ფოსტერ კეინი წარმოთქვამს მხოლოდ ერთ სიტყვას Rosebud — ვარდის კოკორი, მომდევნო კადრში მას ხელიდან უვარდება მინის ბურთი, რომელიც იატაკზე დაცემისას იმსხვრევა. ეს ერთადერთი წარმოთქმული სიტყვა და თვით სცენა მიჩნეულია ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდად კინოს ისტორიაში, ხოლო ნაწარმოები — ყველაზე ცნობილ კინოფილმად. მიუხედავად ამისა, ფილმის რეჟისორმა, სცენარისტმა და მთავარი როლის შემსრულებელმა ორსონ უელსმა სიკვდილამდე ორი თვით ადრე, როცა ტელეფონით ესაუბრებოდა თავის მეგობარს, რეჟისორსა და სინეფილს (კინომანს) პიტერ ბოგდანოვიჩს, ასეთი სიტყვები უთხრა: „ღმერთო, როგორ ვეყვარები მათ, როცა მოკვდები“. და იგი მართალი აღმოჩნდა. ორსონ უელსის გარდაცვალების შემდეგ ინტერესი მისი შემოქმედებისადმი არნახულად გაიზარდა — კრიტიკოსებმა, თორეტიკოსებმა, რეჟისორებმა თუ დრამატურგებმა გულდასმით დაიწყეს მისი შემკვიდრობის შესწავლა.



ორსონ უელსი, 1941 წ.

დღეს ორსონ უელსის ფილმები კლასიკად, შედევრებად არის აღიარებული, მაგრამ ეს ვერდიქტი საზოგადოებამ — ანუ კინომცოდნეებმა, კრიტიკოსებმა და მაყურებელმა დაგვიანებით გამოიტანა. როგორც ხშირად ხდება, ნოვატორებსა და მეამბოხეებს შეიყვარებენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, აპატიებენ ყველა შეცდომას თუ მიუღებელ ქცევას, რადგან იციან, რომ ველარაფერს ჩაიდენენ.

ორსონ უელსი იმ ამერიკელ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მზად იყვნენ სტუდიებსა და პროდიუსერებთან საბრძოლველად, ვინც ბედავდა და მათ შემოქმედებას ეხებოდა (იმავს თქმა შეიძლება ერის ფონ შტროკჰეიმზე, ჯონ ფორდსა თუ სემ პეკინპაზე). უელსი პროდიუსერებს უწოდებდა „ოფისის ბიჭებს, რომელთაც ზედმეტად ბევრს უხდიან“. იგი არ თანხმდებოდა სტუდიების კაბალურ კონტრაქტებს და ღიად აკრიტიკებდა მათ. ჰოლივუდი კი ის მონსტრია, რო-

მელიც არასოდეს არავის აპატიებს აგდებულ მოპერობასა და ამბოხს. უელსი საბოლოოდ ჰოლივუდური სისტემის მსხვერპლი შეიქნა, თუმცა, სხვა ბევრი შემოქმედისგან განსხვავებით, რომლებიც ამ ბრძოლას გადაყვნენ, ძალები შეიმოინახა, რათა უბრალოდ, ეცხოვრა, რაკი ფილმებს თავის ნებაზე აღარ გადააღებინებდნენ.

ორსონ უელსი იმედგაცრუებული იყო საკუთარი შემოქმედებით: მისი ფილმებიდან მხოლოდ რამდენიმე თუ შეესაბამებოდა სრულად მისივე ნიჭის, მსოფლმხედველობისა და გამოხატვის უნარს. ერთადერთი ფილმი, რომელზეც სრული შემოქმედებითი თავისუფლება ჰქონდა, იყო „მოქალაქე კეინი“.

უელსმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა მომავალ კინემატოგრაფისტებზე, იმ თაობებზე, რომლებმაც კინოში „კეინის“ შემდეგ შემოდგეს ფეხი. მან თანამედროვე კინოენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში

უზარმაზარი წვლილი შეიტანა. კინომცოდნე დევიდ ტომპსონი წერდა, — უელსი და მისი ფილმები რომ არა, არ იქნებოდა არც ფედერიკო ფელინის „რვა-ნახევარი“, არც ინგმარ ბერგმანის „პერსონა“ და არც სხვა რომელიმე კინოშედეგები. ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, როგორც ეს ჩვენ ვიცითო. ის იყო ევროპული კინოტრადიციების შემომტანი ამერიკულ კულტურაში. თავად უელსი ადიდებდა დევიდ გრიფიტს, ჟან რენუარს, ვიტორიო დე სიკას, რობერტ ფლაერტის, ანჯეი ვაიდას, აკირო კუროსავას, მაგრამ როცა ჟურნალმა „პლეზიომი“ უელსს ჰკითხა, რომელმა რეჟისორმა მოახდინა მასზე გავლენა, მან უპასუხა: „ძველმა ხელოვნებმა... მე ვგულისხმობ ჯონ ფორდს, ჯონ ფორდსა და ჯონ ფორდს. „დილიჟანსი“ ჩემი „სამაგიდო“ ფილმი იყო. მე ის ორმოცჯერ ვნახე“.

ორსონ უელსი 1985 წლის 10 ოქტომბერს გარდაიცვალა. იმავე დღეს გარდაიცვალა იულ ბრინერიც. ეს უკანასკნელი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი „შესანიშნავი შეიდეულის“ წყალობით. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვნის შესახებ კი თითქმის არაფერი ვიცით. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე უზომოდ გასუქებული ორსონ უელსი ცნობილ Meriv Griffin Show-ში გამოჩნდა, სატელევიზიო ტოკშოუში, სადაც სულელური ანეკდოტების მოყოლით აუდიტორიას ართობდა.

მთელი კარიერის განმავლობაში რეჟისორი საკუთარი ფილმებისთვის სხვადასხვა გზებითა და მანქანებით ცდილობდა ფულის შოვნას. ამბობენ, რომ „ოტელიო“ ნაწილობრივ ვიღაც იდუმალმა მულტიმილიონერმა დააფინანსა, ნაწილობრივ კი თვით რეჟისორმა სხვა ფილმებიდან მიღებული ჰონორარით. ოპერატორი ჯეკ კარდიფი იხსენებდა, რომ „შავი ვარდის“ (რეჟისორი ჰენრი ჰატაუეი, 1950) გადაღებისას, სადაც უელსი მონღოლ მეომარს ასახიერებდა, მან მოითხოვა, სამოსის შიდა მხარე ბეწვით მოერთოთ. ყველა უარზე დადგა, რადგან, ჯერ ერთი, ძვირი დაჯდებოდა და მეორე, ფილმში ბეწვიანი შიდა მხარე საერთოდ არც გამოჩნდებოდა. საბოლოოდ, უელსმა მაინც თავისი გაიტანა, გადაღებისას კი ეს სამოსი გადააბრუნა და საკუთარ გმირს მხრებზე მშვენიერი ბეწვის ქურქი მოასხა... იყო კურიოზული სიტუაციებიც: ერთხელ ინგლისში, რესტორანში მორიგ სპონსორთან საუბრისას, იქ უინსტონ ჩერჩილი შევიდა.

უელსი ადგა და მიესალმა. ეს ქმედება საკმარისი აღმოჩნდა და მან დაფინანსება მიიღო. მომხდარის შესახებ უელსმა მოგვიანებით ჩერჩილს მოუთხრო. ამის შემდეგ, რესტორანში უელსთან ყოველი შეხვედრისას ჩერჩილი ფეხზე წამოდგარი ესალმებოდა — იქნებ ამგვარად პატივისცემის გამოხატვა კვლად დახმარებოდა სახელგანთქმულ რეჟისორს ფინანსების მოძიებაში.

თავისი რომ გაეტანა, ყველანაირ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს, იქნებოდა ეს ღვინის რეკლამა თუ ევროპულ-ამერიკული მდარე ფილმები. ამის გაკეთება უხდებოდა ადამიანს, მხატვარს, მუსიკოსს, სცენარისტს, დიზაინერს, რეჟისორსა და მსახიობს, „ოქროს ბიჭს“, როგორც მას ეძახდნენ, რომელმაც გადაიღო „მოქალაქე კინი“, „ლედი შანხაიდან“ (1948), „ბოროტების შეხება“ (1958), და „პროცესი“ (1962); რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა შექსპირის ტრაგედიებს, ხოლო იქამდე გადატრიალება მოახდინა ამერიკულ რადიოსივრცეში. ბევრს სმენია პერბერტ უელსის „სამყაროთა ომების“ რადიოდადგმის შესახებ, რომელიც ეთერში 1937 წლის ჰელოუინზე გავიდა. ორსონ უელსი ისე დამაჯერებლად კითხულობდა რომანს, რომ ლამის ნახევარი ამერიკის მოსახლეობა მოწყდა ადგილიდან და დიდი ქაოსი შეიქმნა — ყველამ დაიჯერა, რომ მარსელები დაესხნენ

სანამ კინორეჟისორი გახდებოდა, ორსონ უელსმა ამერიკულ რადიოსივრცეში გადატრიალება მოახდინა





კადრი ფილმიდან „მოქალაქე კეინი“

თავს. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ როცა იაპონელები პერლ-ჰარბორს სინამდვილეში დაესხნენ თავს და ეს ამბავი უელსმა რადიოთი გაახმაურა, მას არავინ დაუჯერა...

უელსი კინოში რადიოდან მივიდა, როგორც უკვე ცნობილი აღამიანი, მაგრამ კინოსამზარეულოსი ბევრი არაფერი გაეგებოდა, თუმცა ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი უკვე გადაღებული ჰქონდა. ის მუდმივად ნოვატორულ, მანამდე არნახულ იდეებს სთავაზობდა გადამღებ ჯგუფს, დგამდა ექსპერიმენტებს და როგორც წესი, ეს ამართლებდა. განთქმული ოპერატორი გრეგ ტოლანდი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა „მოქალაქე კეინზე“ მუშაობას, რომ სურდა, კლიშეებს გარიდებოდა და იმისგან ესწავლა, ვინც კინოს შესახებ არაფერი იცოდა.

ადრეული წარმატების მიუხედავად,

„უცხოს“ (1946) გამოკლებით, მისი ყოველი ფილმი გაქირავებაში ჩავარდა. ასეთივე ბედი ეწია „კეინსაც“, რომელსაც კრიტიკოსების ხოტბა-დიდება ვერ უშველა და სურათმა კომერციულად ვერ გაამართლა. ამის ერთ-ერთი მიზეზი თვით მთავარი გმირის პროტოტიპი, მედიამაგნატი უილიამ რენდოლფ ჰერსტი გახლდათ, რომელიც ფილმში თავისი სახის ნეგატიურად წარმოჩენის გამო განრისხებული იყო. თუმცა, მისი აღმფოთების მთავარი მიზეზი, როგორც ამბობენ, „ვარდის კოკორში“ იმალებოდა — ასე უწოდებდა ჰერსტი საკუთარი საყვარლისა და პროტეჟეს, მსახიობ მერიონ დეივისის სხეულის ინტიმურ ნაწილს. მაგნატი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ფილმი დაესამარებინა. პოლიუდეული პროდიუსერების მოსყიდვაც კი სცადა, რათა ფილმის ნეგატივი გაენადგურებინათ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ უელსს სასტუმროში არასრულწლოვანი შიშველი გოგონა და ფოტორეპორტიორი მიუგზავნეს, მაგრამ დროულად გააფრთხილეს და უეჭველ დაპატიმრებას გადაურჩა.

სტუდიები გაუბოღდნენ მასთან ხელშეკრულების გაფორმებას და 1947 წელს გულმოდკველი და ხელმოცარული უელსი თითქმის 10 წლით ვეროპაში გადასახლდა. ის კარგად იცნობდა ვეროპას: ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში მომავალი კინოხელოვანი ირლანდიაში ჩავიდა, თითქმის მთელი საკუთარი დანაზოგი — 200 დოლარი — ვირსა და ურემში დახარჯა და ქვეყანაში მოგზაურობა დაიწყო. დღისით ხატავდა, ღამით კი ურმის ქვეშ ეძინა. ფული რომ გამოეღია, ერთ პატარა თეატრში მოეწყო მსახიობად. 17 წლისა ესპანეთში გადავიდა, ერთხანს ტორეადორადაც კი მუშაობდა, მისი მეტსახელი იყო „ამერიკელი“. მოგვიანებით კვირაში 300 დოლარად დეტექტივებს წერდა. როგორც ჩანს, ეს მისი საყვარელი ჟანრი იყო, რადგან ბევრ მის ფილმში იგრძნობა დეტექტიური სიუჟეტი, რომლის „გრაამატიკა“ მან ზედმიწევნით შეისწავლა.

1949 წელს ორსონ უელსს დიდი წარმატება ხვდა წილად კეროლ რიდის დეტექტიურ თრილერში „მესამე ადამიანი“, სადაც მან განასახიერა ავანტიურისტი ჰარი ლაიმი. ფილმი ნამდვილ სენსაციად იქცა და BBC-ზე დადგეს რადიოსერიალი „ჰარი ლაიმის თავგადასავალი“.

უელსის შემდგომი სურათი „ბატონი არკადინი“ (1955) დაიბადა ჰარი ლაიმის ამ რადიოდადგმის სამი ეპიზოდისაგან. ის მოგვითხრობდა იღუმალ მილიარდერ გრეგორი არკადინზე, რომელსაც ამნეზია სჭირდა. იგი

იქირავებს ერთ ავანტიურისტ ამერიკელს, რათა მან არკადინის წარსული გამოიძიოს. სინამდვილეში მილიარდერს არანაირი ამნეზია არ სჭირდა, ის გეგმავედა ყველა იმ მოწმის თავიდან მოშორებას, ვისაც დაქირავებული ამერიკელი მიაგნებდა, რათა კრიმინალური წარსულისა და ცოდვების შესახებ ერთადერთ ქალიშვილს არაფერი შეეცყო. ცოდვები კი მრავლად ჰქონდა ჩადენილი: იყო აფერისტი, ადამიანთა გამტაცებელი, მკვლელი, იარაღით მოვაჭრე, მეორე მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა იტალიელ და გერმანელ ფაშისტებთან, რისი შემდეგობითაც უზარმაზარი ქონება დააგროვა.

„არკადინზე“ ორსონ უელსი დიდ იმედებს ამყარებდა, რადგან სჯეროდა, რომ ეს საინტერესო და ჩამთრევი სიუჟეტი ზედგამოჭრილი იყო ფილმისთვის. ეს რიგით მეორე სურათი იყო, რომელიც მან ვეროპაში გადაიღო. პირველად „ოტელო“ (1952) დადგა, რომელმაც კანის ფესტივალზე მთავარი პრიზი მოიპოვა. ამის მიუხედავად, შექსპირის ტრაგედიაში პოლიფუნქციური ბოსების ინტერესი მაინც ვერ აღძრა, ფილმი აშშ-ში მხოლოდ სამი წლის შემდეგ გამოვიდა ეკრანებზე. უელსი იმედოვნებდა, რომ „ბატონი არკადინი“ ნაღდი პიტი იქნებოდა და ამერიკაში დაბრუნდებოდა, როგორც გმირი.

ბოლო დრომდე ყველას ეგონა, რომ „არკადინი“ დაფუძნებულია მორის ბესის რომანზე, რომელიც საფრანგეთში 1955 წელს გამოიცა. სინამდვილეში კი ფილმს უკვე 1954 წელს იღებდნენ იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში. უელსის სიტყვებით, რომანი ფილმის გამოსვლის შემდეგ დაიწერა და მას წაკითხულიც არ ჰქონდა.

ჩარლზ ფოსტერ კეინის მინის ბურთი („მოქალაქე კეინი“)





ორსონ უელსი „შესანიშნავი ამბერსონების“ გადაღებისას (1942)

თავის ფილმში „ოტელი“ ორსონ უელსმა მთავარი როლი შეასრულა



ფინანსებისთვის უელსმა თავის ძველ მეგობარ პოლიტიკოსს, სოციალისტ ლუი დოლივეს მიმართა, რომელსაც ფილმების შექმნის ამბიცია ჰქონდა (1958 წელს სწორედ ის დააფინანსებს ჟაკ ტატის — იგივე ტატიშჩევის Mon Oncle-ს). მართლაც, დოლივემ იშოვა ფული და 1954 წლის დასაწყისში ფილმის გადაღება დაიწყო. მისი შექმნისა და ეკრანზე გამოსვლის პერიოდში უელსმა მოასწრო სამ ვეროპულ ფილმსა და რეჟისორ ჯონ ჰიუსტონის „მობი დიკში“ მონაწილეობა.

დოლივეს სურდა, ფილმის მონტაჟი 1954 წლის შობამდე დასრულებულიყო. იგი გამოუცდელი პროდიუსერი გახლდათ და შვეიცარიელ ფინანსისტებს ფილმის დასრულების არარეალურ გრაფიკს შეპირდა. როცა უელსმა დათქმულ ვადებს გადააცილა, პროდიუსერმა მას პირდაპირ ხელიდან გამოგლიჯა დაუსრულებელი ფილმი და სხვას გადასცა დასამონტაჟებლად. ამავე დროს, დოლივემ არაპროფესიონალიზმში დასდო ბრალი და ისიც განაცხადა, რომ უზომოდ ბევრს სვამდა გადაღებისას. ეს სიმართლეს შეეფერებოდა, უელსი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბევრს სვამდა, შესაძლებელია მექვიდრეობითობამაც იჩინა თავი — როგორც ამბობენ, უელსის მამა ალკოჰოლიკი იყო. დოლივემ ესეც არ აკმარა და სასამართლოში უჩივლა, თუმცა ვერაფერი გააწყო. რეჟისორი ცდილობდა, მონტაჟის პროცესი რამენაირად მისეული ხედვით წარმართულიყო. საკუთარ მოსაზრებებს უგზავნიდა პროდიუსერსა და შემონტაჟეს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ. უელსს სურდა „არკადინის“ სიუჟეტი, ისევე როგორც „მოქალაქე კეინში“, ფლემშეკების (თხრობისას წარსულიდან ამბების ჩართვა) საშუალებით აეწყო. ხოლო დოლივემ გადმოცემის უფრო სწორხაზოვანი გზა აირჩია. მათ ასევე ამოჭრეს ზოგიერთი სცენა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა გრეგორი არკადინის პერსონაჟის განვითარებისთვის.

უელსი თავის ბიოგრაფ ბარბარა ლიმინგს ეუბნებოდა: „ეს ფილმი... ყველაზე უფრო დაზარალდა, ვიდრე სხვა რომელიმე ჩემი ნამუშევარი. „არკადინი“ გაანადგურეს, მთლიანად შეცვალეს მისი ფორმა; თანამიმდევრობა; მთელი მისი თვალთახედვა“. „ბატონ არკადინს“ აღარებდა მის მიერ გადაღებულ ფილმს „შესანიშნავი ამბერსონები“ (1942),


რომელიც პროდიუსერებმა ასევე არ დაასრულებინეს და როგორც ყასბებმა ხორცი, ისე დაჩქეს, მაგრამ „...ამბერსონების ბელს ვერასოდეს შევადარებ არკადინისას“, — წერდა იგი.

თავდაპირველად მთავარი გმირის გვარი იყო არკადინი, უელსმა ის გადააკეთა და ასო „ა“ ამოაგდო. ერთ ინტერვიუში ის ამბობდა: „არკადინი — ევროპული სამყაროს წარმომადგენელია, ის შეიძლება ყოფილიყო ბერძენი, რუსი, ქართველი“. ბოგდანოვიჩს კი უმტკიცებდა, რომ არკადინი ქართველია: „მისი სახელიც კი ამას გუბუნება“. ფილმის სიუჟეტის მიხედვით ჩვენ ვიგებთ, რომ არკადინის ნამდვილი სახელი და გვარია ვასო ათაბაძე. ერთ ეპიზოდში მასკარადის დროს ის იძახის: „ახლა მინდა წარმოვთქვა ქართული სადღეგრძელო. ყოველ ქართულ სადღეგრძელოს კი წინ ისტორია უძღვის... მე მსურს შევსვა მეგობრობის სადღეგრძელო“. მასკარადზე თუ სხვა წვეულებაზე ყოველ სტუმარს წინ ჩოხებში გამოწყობილი, ხმლებით შემართული მამაკაცები ზედებან. შესვლისას ყველა სტუმარი ვალდებულია, დიდი „სტაქნით“ არაყი შესვას. „ეს ველური ჩვეულება“, — იცინის არკადინის ქალიშვილი რაინა. საინტერესოა, რომ „ქართულ გარემოსთან“ ეს უელსის პირველი შეხვედრა არ ყოფილა: 1943 წელს გადაღებულ ჯაშუშურ თრილერში „სამიში მოგზაურობა“, რომელსაც ბევრი უელსის ფილმად მიიჩნევს და სადაც ის თურქეთის საიდუმლო პოლიციის შეფს თამაშობს, მოქმედება იწყება მეორე მსოფლიო ომისდროინდელ თურქეთსა და ბათუმში ვითარდება.

გასაკვირი არ არის, რომ „არკადინში“ მთავარი უარყოფითი გმირი ქართველია, ანუ დასავლელებისთვის იგივე რუსი. მაშინ, ცივი ომის პერიოდში ჰოლივუდურ ფილმებში „ცუდი ბიჭები“ ერთთავად რუსები (საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე რუსად მოისაზრებოდა) ან აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ. ჰოლივუდელებს ყოველთვის სჭირდებოდათ მტრის ხატი: კაზაკი, იაპონელი, ჩინელი, სერბი, ჩრდილოეთ კორეელი... ეს ხდებოდა პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაზე მეტად „ცუდი ბიჭების“ როლი რუსებს ერგებოდათ. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება, გავიხსენოთ თუნდაც ვიკტორ როსტავილი (Viktor Rostavili) ბოვეიკიდან



„ბატონი არკადინის“ („საიდუმლო დოზიე“) პოსტერი



ორსონ უელსი გრეგორი არკადინის როლში



კარი ფილმიდან „მისტერ არკადინი“. ფილმის სიუჟეტით, არკადინის ნამდვილი სახელი და გვარია ვასო ათაბაძე

„წითელი სიცხე“ (რეჟისორი უოლტერ ჰილი, 1988). ეს ჟღერადი სახელი ნარკოტიკებით მოვაჭრე ქართველ კრიმინალს თბილისში 1916 წელს დაბადებულმა ფილმის სცენარისტმა, ჰარი კლაინერმა შეურჩია. მიუხედავად იმისა, რომ ტიტრებში გვარი აღნიშნულია, როგორც Rostavili, მაგრამ მას წარმოთქვამენ, განსაკუთრებით რუსი მსახიობები, როგორც რუსთაველს.

ორსონ უელსი აცხადებდა, რომ „ბატონი არკადინის“ შექმნისას ის სტალინის ფიგურამ შთააგონა: „ციფმა, პრაგმატულმა, დაუნდობელმა, მაგრამ ამავე დროს რაღაც შემაშინებლად სლავური სიმძლავრის მატარებელმა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად ლმობიერებისა და თვითგანადგურებისკენ ჟინის გაღვივება“. ასევე ნაწილობრივ შთააგონეს იმ იარაღით მოვაჭრეებმა, ფინანსისტებმა და სპეკულანტებმა, მათ შორის „სიკვდილით მოვაჭრე“ ბეზილ (ვასილი) ზახაროფმა, საქმოსანმა, ვინც უზარმაზარი ქონება დააგროვა და ხელი მოითხოო ომისდროინდელ და ომისშემდგომ გაჭირვებულ და განადგურებულ ევროპაში... „იგი ბარბაროსია, — განაგრძობდა უელსი, — რომელმაც რომის დაპყრობა შეძლო. ის ევროპული ცივილიზაციის დამპყრობი ბარბაროსია. ის გასაოცარია; აღმაშფოთებელია მხოლოდ მისი მორალი. ის გამბედავი

და ვნებიანი ადამიანია, მე კი ვფიქრობ, რომ ვნებიანი ადამიანის შეძლება არ შეიძლება“. პერსონაჟის დასახასიათებლად უელსი-არკადინი ბაყაყისა და მორიელის ამბავს ყვება: მორიელს მდინარის გადაცურვა უნდოდა, ის შესკუპდა ბაყაყზე, რომელმაც გააფრთხილა, მისთვის არ ეკბინა, რადგან მაშინ ორივე დაიღუპებოდა. შუა მდინარეში მორიელმა მას შხამიანი ნესტარი ჩაასო. მომაკვდავმა ბაყაყმა ჩაძირვა დაიწყო: „ეს რა ჰქენი! ეს ხომ ალოგიკურია! — ვიცი, — უპასუხა მორიელმა, მაგრამ რა ვქნა, ეს ჩემი ბუნებაა“. პერსონაჟის ამგვარი დახასიათება დიდ ინტრიგას შეიცავს, ამბობდა ზოგიერთი კინოკრიტიკოსი, მაგრამ სინამდვილეში არკადინი, რომელსაც უელსი თავად განასახიერებდა, ჯეიმს ბონდის გროტესკულ უარყოფით გმირს უფრო წააგავს დაწებებული წვერ-ულვაშითა და სლავური აქცენტით... მთლიანობაში ფილმი მართლაც დაუმთავრებელ, ნაჩქარევ და დაგლეჯილ ნაწარმოებს ჰგავს, მაგრამ მიუხედავად ამისა ის დღესაც, 60-ზე მეტი წლის შემდეგ, არ მოძველებულა და მაინც საინტერესო სანახავია. უელსისთვის დამახასიათებელი უცნაური რაკურსები, კადრების ჩქარი მონაცვლეობა, ბრწყინვალე მსახიობური ანსამბლი, უძეტესად აღმოსავლეთ ევროპელი ემიგრანტების — თბილისში დაბადებული აკიმ ტამიროვისა და

მიმა აუერის ოსტატური თამაში (მოიკოჭლებს მხოლოდ არკადინის ქალიშვილის როლის შემსრულებელი, ცხოვრებაში კი რეჟისორის მესამე მუდღლე პაოლა მორი, იგივე გრაფინია დი გირფალკო). რაც შეეხება დაწებულ წვერ-ულვაშს, ფილმის ყურებისას დროთა განმავლობაში მას საერთოდ აღარ აქცევ ყურადღებას, რადგან უხადო მსახიობის — უელსის მაგნეტიზმი და ქარიზმა ყველაფერს გაიწყებს.

ევროპის კინოთეატრებში „ბატონი არკადინი“ 1955 წელს გამოვიდა (ინგლისში ეკრანებზე გაუშვეს განსხვავებული ვერსია შეცვლილი სათაურით „საიდუმლო დოსიე“). როგორც მოსალოდნელი იყო, ფილმი გაქირაუვებაში ჩავარდა.

ამერიკაში ფილმის გამოსვლა ვერა და ვერ ხერხდებოდა. ეს შემთხვევით მოხდა. 1961 წელს პიტერ ბოგდანოვიჩი უელსთან ერთად მონოგრაფიას წერდა, იმედლოვლად კი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამართულ მისი ფილმების რესტროსპექტივაზე მუშაობდა. კვლევა-ძიებისას ბოგდანოვიჩი ლოს-ანჯელესის ერთი ტელევიზიის საწყობში შემთხვევით „არკადინის“ ასლს გადააწყდა. ნახვის შემდეგ მიხვდა, რომ ეს განსხვავდებოდა იმისგან, რასაც 50-იანი წლების ევროპაში უჩვენებდნენ. მოგვიანებით ბოგდანოვიჩი იხსენებდა, რომ ის თავს ტუტანხამონის აღმოჩენი ჰოვარდ კარტერის მსგავსად გრძნობდა.

ბოგდანოვიჩმა მტკიცედ გადაწყვიტა, ეს ფილმი ამერიკაში ეჩვენებინა. პრემიერა 1962 წელს ნიუ-იორკში გაიმართა. უცნობია, ნახა თუ არა ფილმი თავად უელსმა და შეესაბამებოდა თუ არა ის მის პირვანდელ ჩანაფიქრს. „მას არც ფიქრი და არც საუბარი არ სურდა მის შესახებ, — წერდა ავტორი ჯონათან როზენბაუმი, — ვფიქრობ, ეს მისთვის მეტად მტკივნეული იყო“.

რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, ორსონ უელსს, ისევე როგორც ბევრ სხვა ნიჭიერ ხელოვანს (თუნდაც ალფრედ ჰიჩკოკს ან სემ პეკინპას) რეჟისურაში აკადემიის უმაღლესი ჯილდო არ მიუღია. უელსს ოსკარი მხოლოდ 1941 წელს ერგო ჰერმან მანკვიითან ერთად „მოქალაქე კინის“ სცენარისტის, ხოლო 1970 წელს მას საპატიო ოსკარი მიანიჭეს. დაჯილდოების ცერემონიაზე ოსკარი ჯონ ჰიუსტონს გადასცეს, რომელმაც განაცხა-

და, რომ უელსი ესპანეთში იმყოფებოდა გადაღებებზე. უელსის წინასწარ ჩაწერილი სამადლობლო სიტყვა კი ეკრანზე გაუშვეს. გამოსვლას ის ასე ასრულებდა: „მამ, შევსვით ყველამ ერთად ჩვენი გიჟური და საყვარელი პროფესიის სადღევრძელო. კინოს გაუმარჯოს — კარგსა და ყველა დანარჩენს“.


აკადემია ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა, სინამდვილეში კი უელსი არსადაც არ წასულა, ის საკუთარ სახლში, ჰოლივუდში იმყოფებოდა და სახეიმო სადილის შემდეგ ჰიუსტონმა უელსს ოსკარი მიართვა.

როცა უელსი 1985 წელს გარდაიცვალა, კრემაციის შემდეგ მისი ფერფლი ყვავილებით მორთულ ძველ მიტოვებულ ჭაში დაასაფლავეს, რომელიც მისი მეგობრის, ტორეადორ ანტონიო ორდონეზის საკუთრებაა მალაგაში, ესპანეთში.

ირაკლი მახარაძე



ორსონ უელსი 1937 წ. (ზემოთ) და 1980 წ. (ქვემოთ)





ძველ ეგვიპტეში სახეს ქალებიც იხატავდნენ და მამაკაცებიც. ძველ ეგვიპტურ ფრესკაზე გამოსახულია მამაკაცი შეღებული სახით

სახის საღებავების დიდი ნაწილი მოწამვლას იწვევდა

სახის შეღებვას, მაკიაჟს დიდი ხნის ისტორია აქვს. თავდაპირველად მისი ამოცანა იყო კანის დაცვა ამინდის ზეგავლენისგან, კამუფლაჟი, ანდა რიტუალის ნაწილი გახლდათ. საღებავი ასევე გამოიყენებოდა ამა თუ იმ ტომში ლოიალობის გამოსახატავად, მეზობელი მტრულად განწყობილი ტომის დასაშინებლად ან თავდაცვისას. მაგალითად, ძველი ბრიტანელები ბრძოლის წინ სახეს სხვადასხვა მცენარის ფოთლებისგან დამზადებული ცისფერი საღებავით იღებავდნენ. დროთა განმავლობაში უკვე სხვა მიზნით იღებებოდნენ: გასალამაზებლად, საზოგადოებრივი სტატუსის ხაზგასასმელად ანდა გაახალგაზრდაებისთვის. განსაკუთრებით მოდური სახის შეღებვა XVIII საუკუნეში გახდა.

ადრეულ საუკუნეებში ყველაფერს, რაც უძველეს კოსმეტიკაში იხმარებოდა, ბუნება იძლეოდა. ნახშირი, წითელი და ყვითელი ცარცი, მანგანუმის ჟანგი, წითელი და ყვითელი ჟანგი და სხვა ელემენტები გამოიყენებოდა სახის გასალამაზებლად ყველგან — მესოპოტამიიდან და ეგვიპტიდან დაწყებული, პაპუა-ახალი გვინეით დამთავრებული.

წითელი ფერუჰარილი

უძველესი დროიდან კოსმეტიკაში, პირველ ყოვლისა, ფერუჰარილი გამოიყენებოდა. უკვე ათასობით წელიწადია, რაც ფერუჰარილით ტუჩებსა და ლოყებს იფერადებენ. მისი მოხმარების მეთოდები საუკუნეთა განმავლო-

ბაში იცვლებოდა და იხვეწებოდა, რაც საზოგადოებაში გაბატონებულ წეს-ჩვეულებებსა და მოდაზე იყო დამოკიდებული.

წითელ ფერს ყოველ დროსა და ხალხში დომინირებული მდგომარეობა ეკავა, მაკიაჟსა და სახის მოხატულობაში თითქმის ყველა საზოგადოებაში გამოიყენებოდა. ამის საფუძველი იყო საპირისპირო სქესის მიზიდვა, სიყვარულის, ლტოლვის აღძვრა, გაახალგაზრდავება. აღმოსავლეთის კულტურებში წითელი ფერი, ამასთანავე, ბედნიერების სიმბოლოც არის. ამიტომ იცვამენ ქალიშვილები ქორწინების დღეს ჩინეთში, ინდოეთსა და ვიეტნამში ტრადიციულად წითელი ფერის სამოსს. წითელი დაკავშირებულია

თეატრთანაც: ეს არის მსახიობების მაკიაჟის მნიშვნელოვანი ელემენტი ჩინურ თეატრალურ წარმოდგენებსა და იაპონურ კაბუკის თეატრში. ამ ფერს ასევე აქვს სრულიად განსხვავებული თანამდევი მნიშვნელობაც, კერძოდ, ის სისხლის, საშიშროებისა და რევოლუციის ფერია, პოლიტიკაში ასოცირდება უკიდურეს მემარცხენე მოძრაობასთან.

მგვიპტილი ოსტატები

მაკიაჟის გასაკეთებლად წითელი ფერი კოსმეტიკურ კომპლექტებში პიგმენტის სახით გამოიყენება. თითქმის XIX საუკუნემდე, აფთიაქებში ხელით მზადდებოდა და იყიდებოდა სხვადასხვა შემადგენლობისა და ფერადონების ფერუმარილი. სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ ლუი XVI-ს სიკვდილით დასჯის შემდეგ, როცა თავი გილიოტინაზე მოჰკვეთეს, გული ამოუღეს, სისხლისგან დაწირეს და ეს სისხლი ზოგიერთმა მხატვარმა გამოიყენა უფრო მძაფრი წითელი ფერის მისაღებად. მაგალითად, ბუჟენდს (მწერის სახეობა, ფრანგულად კომენილს უწოდებენ) ამბობდნენ, ახმობდნენ და ფერის მისაღებად გამოიყენებდნენ. ცეცხლოვანი წითელი ფერის დასამზადებლად იყენებდნენ მინერალებს — ტყვიის სურინჯსა და სულფატს. თუმცა, ეს ნივთიერებები სიცოცხლისთვის მეტად საშიშია. გამოიყენებოდა ისეთი მცენარეების პიგმენტებიც, როგორებიც არის ჭარხალი, მარწყვი ანდა წითელი ამარანტუსი (ანუ ჯიჯლაყა, ორლებნიანი მცენარეებიდან). ძველმა ეგვიპტელებმა სახის საღებავებისა და კოსმეტიკის ხელოვნება განსაკუთრებით



ბუჟენდისგან მიღებული ნატურალური პიგმენტი — კარმინი

მაღალ დონეზე აიყვანეს. ისტორიკოსებისა და ანთროპოლოგების კვლევებიდან ირკვევა, რომ ფერების მიღების ყველაზე რაფინირებული მეთოდები მათ რამდენიმე ათასი წლის წინ ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, ეგვიპტელები გამოიყენებდნენ ქიმიკოსები იყენენ, პრაქტიკულად, ეთაყვანებოდნენ მაკიაჟსა და კოსმეტიკას, რომლებსთვის მასალებს სხვადასხვა სუბსტანციიდან იღებდნენ. მაკიაჟი შედგებოდა გამაგრებელი სითხისგან, ფერუმარილისგან, ტუნებსა და ლოყებზე წასასმელი კრემისგან და სხვ. სახის გასალამაზებლად ხმარობდნენ სხვადასხვა ბუნებრივ ელემენტს — მინერალებს ან დაფქვილ კაკალს, რათა ნარევი ქუთუთოზე, ტუნებსა თუ სახეზე გაჩერებულიყო. ამ ნივთიერებების ნაზავის მოსარევი თუ დასაფქავი ხელსაწყოები შემონახულია უძველეს ეგვიპტურ სამაროვნებში, რაც მიანიშნებდა, რომ ეს საგნები სააქაო ცხოვრებაშიც საჭირო და გამოსადეგი იყო და ამას გარდა, პატრონებს საიქიომიც უნდა გამოსდგომოდნენ.

ჯიჯლაყისგან, ანუ ამარანტუსისგან შესანიშნავი წითელი ფერი მიიღება





რომაელი მატრონა და მისი პირისფარეშები. მოზაიკა რომაულ აბანოში. აღმოჩენილია 1953 წელს ძველი კართაგენის ნანგრევების გათხრისას

კოსმეტიკურ საშუალებებსა და ეგვიპტეზე საუბრისას არ შეიძლება სახელგანთქმული დედოფალი, კლეოპატრა არ გავიხსენოთ. ისტორიკოსები და პოეტები მას ვნებათა აღქმით მოიხსენიებენ, წერდნენ, არ დარჩენილა მამაკაცი, მის მაგიურ მიმზიდველობასა და სიყვარულის ელექსირს რომ არ ეცდუნებინაო. ძველეგვიპტური პაპირუსები აღწერენ კლეოპატრას ელექსირის

შემადგენლობას. როგორც მკვლევარი თამარ ბარბაქაძე-თომაძე წერს, მისი სასახლის სათავსები და საკუჭნაოები საესე ყოფილა თიხისა და მინის ჭურჭელში ჩაწიკვიკებული დაჩირებული ფინიკით, ბანანით, ზაფრანით, პალმის ნაყოფით, ყურძნით, ლეღვით, ვარდის ფურცლებით, თაფლით, ნიგვზით, დარიჩინით, ზღვის მცენარეებით, ბალახეულით, დაფქვილი მარგალიტითა და მარჯნით. ამ ინგრედიენტებს კლეოპატრა ძმრითა და სხვადასხვა სითხით აზავებდა, რათა ნაწილისგან სასწაულმოქმედი ნუგბარი, ნაწილისგან — არომატული საცხი, ნაყენი თუ ნელსაცხებელი, ნაწილისგან კი თვით უკვდავების წყალი დაეზადებინა...

ძველი ეგვიპტელები განსაკუთრებით თვალის უჩვეულო მაკიაჟით იყვნენ ცნობილი. ამ საქმისთვის ისინი გაბეულად იყენებდნენ წითელ ფერს, რომლის მისაღებადაც ჟანგბიწას ცხოველურ ქონში ურედნენ.

* * *

აღრულ ეპოქებში მაკიაჟისთვის წითელი ფერის გამოყენება ირანის ქერმანის პროვინციის ქალაქ შაჰადშია აღნუსხული, სადაც არქეოლოგებმა სამაროვნებში იპოვეს ამ მიზნისთვის დიდი რაოდენობით დამზადებუ-



კოსმეტიკური კოლოფი. ძვ.წ. IV საუკუნე

ლი თეთრი ფხვნილი. იმ ჭურჭლის ფსკერზე, რომლებშიც ეს ფხვნილი იპოვეს — და რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, ხმარობდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, — ეწყო წითლად შეღებილი ლითონის პატარა ჯამები, ფიალები. საღებავი ვარდისფერ სუბსტანციას შეიცავდა. როგორც ჩანს, ის ტუჩებისა და ლოყების შესაღებად იყო გამოიზნული. მას იღებდნენ წითელი მარმარილოს დაფქვით ან ჩვეულებრივი წითელი მიწისგან, რომელსაც სხვა ფერადოვან ნივთიერებას უმატებდნენ. ყველაზე ძველი მადარო, შაჰდადის აღმოჩენების მსგავსად, უჩვენებს, რომ ფერუმარილი შესაძლებელი იყო გამოყენებინათ ბრინჯაოს ეპოქამდე. ბოლო დროს გახსნილ IV და V საუკუნის ირანელი ქალების სამაროვნებში აღმოჩენილია ფერუმარილის წასასმელი ბამბის ტამპონები. ფერუმარილის დამზადება-მოხმარების ამგვარ მეთოდს ყაჯარების დინასტიის ეპოქამდე (1796-1925) მიმართავდნენ.

ანტიკურ საბერძნეთში, ახ.წ. IV საუკუნიდან, ქალები ფერუმარილს ტუჩებისა და ლოყებისთვის უფრო ახალგაზრდული იერის მისაცემად ხმარობდნენ. ბერძნები ფერუმარილის დასამზადებლად უამრავ ბუნებრივ ნივთიერებას იყენებდნენ, მაგალითად, წყალმცენარეს, რომლის ფესვებიც ძალიან წააგავს ალკანას. ეს ბალახოვანი მცენარე კარგად ხარობს ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში.

მოგვიანებით სახის შესაღებად მიმართავდნენ წითელ ფერს, რომელსაც ძირითადად

სინგურის დაფქვით იღებდნენ. თუმცა, ისევე როგორც ყველა სხვა მსგავსი ნივთიერება, დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებისას ის ადამიანს წამლავდა.

ქალები სახეს იღებავდნენ სახლის პირობებში, პატარა ოთახში, რომელიც მხოლოდ მათ განკარგულებაში იყო. მდიდარ ქალებს შეეძლოთ ამ საქმისთვის თავიანთი მსახურების გამოყენება, რომელთაც კოსმეტაქეს უწოდებდნენ. ეს ანტიკური ხანის ვიზაჟისტები თავიანთ ქალბატონებს მორთვა-გალამაზებაში ეხმარებოდნენ.

„მძიმე მაკიაჟი“ ვენეციიდან

ფერუმარილს საუკუნეთა განმავლობაში მოზომილად იყენებდნენ. ეპოქა, როცა მოდური იყო მისი უზომო რაოდენობით მოხმარება, შედარებით მოკლე ხანს გაგრძელდა (სწორედ ამ ეპოქიდან მოდის ტერმინი „სახის დაკარგვა“. იმ დროს ქალები მაკიაჟიან სახეს არ იბანდნენ, მისი ზშირი გამოყენების შედეგად კი სახეს რამდენიმე შრედ ეღებოდა საღებავი, რომელიც დროთა განმავლობაში საკუთარი სიმძიმისგან სახიდან ცვიოდა). ფერუმარილის ზომიერად მოხმარების საპირისპიროდ, პოპულარული გახდა მიდგომა — „რაც მეტი, მით უკეთესი“. ამგვარი მოდა ევროპაში XVI საუკუნეში გაბატონდა. ვენეცია გახდა იმდროინდელი მდიდრების მოდისა და გართობის ცენტრი. დასასრული არ ჰქონდა სახეიმო მიღებებსა და მეჯლისებს. „მძიმე“ მაკიაჟიც სავალდე-



იაპონური
კაბუკის
თეატრის
მსახიობები

მადამ დე პომპადური
(ფრანსუა-იუბერ დრუე, 1763)



ეკატერინე მედიჩი
(ფრანსუა კლეუ, 1580 წ.)

ბულო ხასიათს იძენდა და აუცილებელიც ხდებოდა, რათა ღამენათევი ქალისთვის გასული უძილო ღამის ნაკვალევი დაეფარა.

იტალიიდან ჩვევამ საფრანგეთში ჩააღწია. ფლორენციელმა ეკატერინე მედიჩიმ, საფრანგეთის მეფე ჰენრი II-ის (1547-1559 წწ.) მეუღლემ, სამეფო სასახლეში დაიწყო მაკიაჟისა და პარფიუმერიის გამოყენების პროპაგანდა. ინგლისში კი ფერუშარილის ზღვარგადასული გამოყენება დედოფალ ელისაბედ I-ის ეპოქაში გავრცელდა. დედოფალი ფერმწერთა მიერ მრავალ პორტრეტზე გამოსახული შეთეთრებული და შევარდისფრებული სახით.

მაკიაჟის გასაკეთებელი ხელსაწყოები ინახებოდა ვერუთ წოდებულ „ტკბილ ზარდანხაში“, რომელიც ელისაბედის ეპოქაში ქალისთვის საჭირო ყველა ნივთს იტევდა. სახის კანის სითეთრეს, რაც მიღებული იყო იმ დროისთვის, უპირისპირდებოდა სახეშეღებილი ქალი. ის გამოიყურებოდა, როგორც შეფერადებული ტილო: ვარდისფერად ლოყებდა ტუჩებშეღებილი.

სტატუსის ნიშანი

მაკიაჟის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის, როლის წარმოსაჩენად იკეთებდნენ. ამით გარშემო მყოფთაც აგრძობინებდნენ, რომ მოდას არ ჩამორჩებოდნენ. ქალების დამოკიდებულება ფერუშარილისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ის სრულიად კარგავდა თავის ბუნებრივ ფერსა და გარეგნობას. ამგვარი რამ განსაკუთრებით საფრანგეთში იგრძნობოდა. ეს უკანასკნელი უკვე მსოფლიო მოდის ცენტრს წარმოადგენდა და სხვა ხალხებს მოდის მიმართულებას უჩვენებდა. სახის შეღებვა სასახლის კარის ცხოვრების აუცილებელი ელემენტი გახდა. ქალები იმოსებოდნენ და ფერუშარილს ახლობლების თანდასწრებით ისვამდნენ. ეს არისტოკრატი ქალების საზოგადოებრივი მორთულობის განუყრელ ნაწილად იქცა. შეღებვის რიტუალი ერთგვარი წარმოდგენის ფორმა იყო, რომლის უმეტესი ნაწილი უფრო ადრე სრულდებოდა, რომელსაც რიგითი ცნობისმოყვარეები არ ესწრებოდნენ.

მადამ დე პომპადური, საფრანგეთის მეფე ლუი XV-ის (მეფობდა 1715-1774 წლებში) საყვარელი, მხატვარმა ძალიან ლოყებავარდისფრებული დახატა. მისი გარეგნობა საზოგადოების მქნსიერებაში ისე დაუკავშირდა

ვარდისფერს, რომ მას პომპადურის ფერს უწოდებდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის საგრძობლად გაიზარდა ამ საქმისთვის საჭირო პროდუქტების რაოდენობა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო მცენარეებით დამზადებულ ფერუმარილზე, ვინაიდან უკვე ცნობილი შეიქნა, რა დიდ საფრთხეს შეიცავდა კალიუმისა თუ ტყვიის ჟანგის მოხმარება. უჩვეულო პოპულარობა მოიხვეჭა ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებულმა ფერუმარილმა, რომელსაც „ველმა“ უწოდებოდა. ის გასაყიდად XVII საუკუნიდან გამოვიდა ბაზარზე. ქალები ამ ფერუმარილით ტუჩებსა და ლოყებს იღებავდნენ, მისი ტარება პორტმონეთიც შეიძლებოდა. ფერუმარილს პატარა ქილებითა და ბოთლებითაც ყიდდნენ.

XIX საუკუნეში, როცა დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ვიქტორიამ (1819-1901 წწ.) დაიწყო მტკიცება, რომ მაკიაჟის გაკეთება უულგარუელი საქციელია, მაშინ ინგლისელებმა და არა მხოლოდ მათ, უპირატესობა გაცილებით უფრო უფერულ საცხებლებს მიანიჭეს. მათი აზრით, ქალი ასე უფრო მომხიბლავი, მიმზიდველი და მაცდური ხდებოდა. იმ ქალებს, რომელთაც მაინდამაინც ეწადათ, ვარდისფერი სახე ჰქონოდათ, ლოყებზე უნდა ეჩქმიტათ და ტუჩებზე ეკბინათ, რათა ბუნებრივი შეწითლება გამოეწვიათ. მკრთალი, შეუღებავი კანი და ნშირი თმა ღირსეული ქალის გარეგნობისთვის შესაფერისი ატრიბუტი შეიქნა, ხოლო მკვეთრად გამოკვეთილი, დაფლავა ვარდისფერი ლოყები და ტუჩები უკვე მსახიობ ან მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ასოცირდებოდა.

იმავე პერიოდის საფრანგეთში კოსმეტიკური პროდუქცია ეროვნული სიამაყის საგნად იქცა — XIX საუკუნის 50-იან წლებში პარიზი ამ სფეროს უდავო ცენტრი გახდა. ეს იყო ფერუმარილის აქამდე არნახული პოპულარობის ხანა. იმავე საუკუნის მიწურულს უკვე უთვალავი ფერისა და შემადგენლობის კოსმეტიკის მიღება შეიძლებოდა...

დიდ ბრიტანეთშიც, დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟის, მომავალი მეფე ედუარდ VII-ის ტრფიალმა და სიახლოვემ ცნობილ მსახიობებთან (მათ შორის, სარა ბერნართან) ის გამოიწვია, რომ ფერუმარილს კვლავ მოწყალე თვალით დაუწყეს ყურება.

მოაზნადა ამბროსი გრიშკაშვილი



დედოფალი
ვიქტორია
1837 წელს
(ფრანც ქსავიერ
ვინტერჰალტერი)



პარიზელი
ქალბატონები
(1850-იანი
წლები)

ბულგარული „სორსსაკაპი“



ნაწილი II

ბულგარეთში 1934 წელს მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, მეფე ბორის III-მ (ცენტრში) პუტჩისტების მთავრობა რამდენიმე თვეში გადააყენა

(დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №87)

დოქტორი დელიუსი (აბვერის რეზიდენტი ბულგარეთში, მაიორი ოტო ვაგნერი) გამოცდილი პროფესიონალი იყო. აღმირალი ვილჰელმ კანარისი, აბვერის შეფი, მის ინფორმაციებს უშუალოდ გაეცნო. კანარისს სხვა წყაროებიც ჰქონდა და ყველაფერზე, რაც ბულგარეთში ხდებოდა ამომწურავად იყო ინფორმირებული.

ზაიმოვი... სახელმძღვანელო გენერალი, პირველი მსოფლიო ომის გმირი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, სტოიან ზაიმოვის ვაჟი. გენერალი ბულგარელი სამხედროების იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელიც პოლიტიკაში მოვიდა. ამას საფუძველი 1923-1925 წლების ბობოქარმა მოვლენებმა მისცა. მანამდე ბულგარელ ოფიცერთა კორპუსი აპოლიტიკური იყო. გადატრიალებისა და კომუნისტური პუტჩის ჩახშობის შემდეგ კი ოფიცრებმა პოლიტიკას გემო გაუგეს. ასე წარმოიშვა სამხედროთა კავშირი, რომლის იდეოლოგიაც მარტივი იყო: დიდი ბულგარეთი აუცილებლად უნდა აღდგეს, მაგრამ საამისოდ აუცილებელია სწორი საშინაო პოლიტიკა და ერთგული მოკავშირე საზღ-

ვარგარეთ. საშინაო პოლიტიკაში სამხედროები აქცენტს ეროვნული ტრადიციებისა და ეკლესიის გაძლიერებაზე აკეთებდნენ. ამავე დროს ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო არა ბრბომ, არამედ ნაციონალურმა ელიტამ უნდა მართოს. ელიტად კი საკუთარ თავს მოიხაზებდნენ, ამიტომ მოითხოვდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის აკრძალვას. საგარეო პოლიტიკაში უმთავრეს მოკავშირედ გერმანია მიაჩნდათ.

სამხედროთა კავშირს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავდა. ბელადობაზე პრეტენზიას ორი პირი აცხადებდა: გენერალი დამიან ველჩევი და გენერალი ვლადიმირ ზაიმოვი. 1934 წლის მაისში სამხედროთა კავშირმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. გაუქმდა კონსტიტუცია, აიკრძალა ყველა პარტია. ამავე დროს, კულმინაციას მიაღწია თავად სამხედროებს შორის არსებულმა უთანხმოებამ. თუკი ადრე საუბარი მხოლოდ ამბიციებზე იყო, ახლა გასაყოფი უკვე ძალაუფლება აღმოჩნდა. მეფე ბორისმაც ამით ისარგებლა და პუტჩისტების მთავრობა გადააყენა. მალე ზაიმოვიცა და ველჩევიც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ. ველჩევს

მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები



13
თოპად



ეს უნიკალური სერია მათთვისაა, ვისაც სურს, პქონდეს მსოფლიო შედეგების საკუთარი კოლექცია, ნებისმიერ დროს შეეძლოს მისი დათვალიერება და თითოეული შედეგის ისტორიის გაცნობა.

„წიგნების სერია, რომელიც თქვენს ბიბლიოთეკას დაამზენებს“.

გიორგი კალანდია, ისტორიკოსი

2 აკრილიდან თვეში ერთხელ

„პირის პალიტრასთან“ ერთად
თოპი VI

ერმითაში
სანქტ-პეტერბურგი

სპეციალური ფასი 13.50 ლ გამართან ერთად 15 ლ



მაგარი ყლით და სუპერით

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
თოპი 7

ერმითაში სანქტ-პეტერბურგი
თოპი 6



თუ წინასწარ გამოინერთ ან შეაგროვებთ სერიის ყველა წიგნს,

ჩვენ გეუქნით!

თქვენ მიერ არჩეული შედეგის ასლს!

ორიგინალთან მიახლოებული ასლი სპეციალური ტექნოლოგიით იტყდება მაღალხარისხიან ტილოზე და გადაჭიმულია ხის კარკასზე!
იმისთვის, რომ გარანტირებულად შეძლოთ კოლექციის ყველა ტომის შეგროვება და საჩუქრად შილით მხატვრული ტილო, გირჩევთ გამოინერთ ეს სერია!



დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ: 0322 38 38 71

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და elva.ge ადგილზე მოგართმევთ. www.palitra.ge [f](https://www.facebook.com/Palitra.L.Publishing) Palitra.L.Publishing



▲ გენერალი დამიან ველჩევი
 ▼ გენერალი ვლადიმერ ზაიმოვი
 ▼ პოლიცია და სახელმწიფო გადატრიალების მოწინააღმდეგეთა დემონსტრაცია სოფიაში (1934 წ.)



სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა მეფემ შეიწყალა და სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. 1940 წელს დამიან ველჩევი გაათავისუფლეს, ზაიმოვიც სამხილის უკმარისობის გამო გამოუშვეს. დაირხა ხმები, რომ მან თავისი ამფსონები გასცა. გენერალი დისკრედიტებული

აღმოჩნდა. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ის დამარცხდა...

კანარისი კვლავ დოსიეს ჩაუღრმავდა. ზაიმოვის გამორჩეული თვისებებია ინტელექტი, ნებისყოფა, სიმამაცე, ამბიციები, — ეწერა დოსიეში. ამიტომაც მან თავი დამარცხებულად არ ცნო. იგი დაუკავშირდა აბვერს (გერმანიის სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა), ინტელიჯენს სერვისს (ბრიტანული საიდუმლო სამსახურები), გრუ-ს (საბჭოთა სამხედრო დაზვერვა) და რევანშის ასაღებად მოემზადა. ზაიმომმა სრულყოფილი იატაკქვეშა ორგანიზაცია შექმნა. ხელისუფლებაში ყოფნისას გერმანიასთან კავშირის მომხრე იყო. 1923 წელს კომუნისტური პუტჩის ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა, 1939-ში კი კომუნისტების დახმარებით დეპუტატად გახდომა მოიწადინა. ახლა ნაციონალური ლეგიონების კავშირის ბელადს, გენერალ ზრისტო ლუკოვს შეეკრა.

— ტანდემი ზაიმოვი-ლუკოვი მართლაც საშიშია, — გაიფიქრა კანარისმა და დოსიე დახურა.

დარტყმა

ოპერაცია აბვერმა, რო-მ (ბულგარეთის არმიის სადაზვერვო განყოფილება) და ბულგარეთის კონტრდაზვერვამ ერთად წარმართეს. ამ ეტაპზე მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა.

საერთო ძალისხმევის შედეგად ამხილეს საბჭოთა აგენტი, მეტსახელად კენტავრი. იგი ბულგარეთში გერმანიის პოლიცია-ატაშეს ნდობით აღჭურვილი პირი, SS-ის შტურმბანფიურერი (შეესაბამებოდა ვერმახტის მაიორს) ჰერმან რანკე გამოდგა. ამის შემდეგ აზორსკის ჯერიც დადგა. მისმა დაპატიმრებამ მთელი ბულგარეთი ფეხზე დააყენა.

— გრუ-ს რეზიდენტი, მეტსახელად აზორსკი თავად გენერალი ზაიმოვი აღმოჩნდა, — წერს რუსი საბჭოთა მწერალი იულიან სემიონოვი.

ზაიმოვის დაპატიმრებასთან ერთად დაიწყო სამხედრო მაღალჩინოსნების დაკავებაც. გენერალმა ლუკოვმა თავი ბერლინს შეაფარა. ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ოპერაცია კი გრძელდებოდა. ელვისებური დარტყმით დააკავეს ბულგარეთის არალეგალური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენ-

ლობა. გაანადგურეს კომპარტიასთან არსებული სამხედრო ცენტრიც. მოუხელთებელი კალჩო ანუ ცვიატკო რადონიოვი ბულგარეთის კონტრდაზვერვის შეფის, ნიკოლა გეშევის აგენტებმა აიყვანეს.

ცვიატკო რადონიოვის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: თქვენ გრუ-ს ოფიცერი ხართ თუ შინსახკომის?

პასუხი: 1938 წლამდე გრუ-ში ვირიცხებოდი, შემდეგ შინსახკომში გადავედი.

კითხვა: რატომ?

პასუხი: ესპანეთიდან მოულოდნელად გამომიძახეს და დამაპატიმრეს. რომ არა ლავრენტი ბერია, რომელიც იმხანად შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყო, დამხვრეტდნენ.

კითხვა: ანუ ბერიამ გადაგარჩინათ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ამის შემდეგ შინსახკომელი გახდით?

პასუხი: 1939 წელს ლავრენტი ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა. მეც სამუშაოდ შინსახკომში გადავედი...

მებრძოლი (გრუ-ს კიდევ ერთი რეზიდენტი) — ცენტრს:

გენერალ ლუკოვის ნდობით აღჭურვილი პირი პოლკოვნიკი ათანას პანტევი ჩვენებთან კონტაქტზე გამოვიდა. მას ჩემი ერთ-ერთი წარმომადგენელი პოდპოლკოვნიკი ველიჩ-

კოვი შეხვდა. პანტევმა სურვილი გამოთქვა, რომ ჩვენებთან კონტაქტები გაგრძელდეს. მათ ჰყავთ ხალხი როგორც არმიაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში და მზად არიან მოგვაწოდონ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია. მებრძოლი.

ცენტრი — მებრძოლს:

პანტევთან პირად კონტაქტს გიკრძალავთ. მასთან კავშირი პოდპოლკოვნიკ ველიჩკოვის მეშვეობით იქონიეთ. დირექტორი.

* * *

იანკო რაზვიგოროვმა (მეფე ბორის III-ის მრჩეველი) სიგარეტს მოუკიდა. გეშევი დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო.

— მორჩა ჩვენი ფლირტი რო-სთან, — განაცხადა კონტრდაზვერვის შეფმა.

— ჯერ არა, — ჩუმად მიუგო რაზვიგოროვმა, — ჯერჯერობით ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

— იქნებ ჯობდა, გარკვეულწილად პროცესები დაგვეჩქარებინა, — ჩუმად შეეკითხა გეშევი, — ერთი იდეა მაქვს.

— გინდა კოსტოვი (პოლკოვნიკი ნიკოლა კოსტოვი, რო-ს შეფი) პროვოკაციაზე წამოაგო? — რაზვიგოროვმა გაიღიმა, — მიდი!..

გეშევი წამოდგა და ოთახიდან გავიდა...

დოქტორი დელიუსი — ცენტრს:

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ანკარაში მეფე ბორის III-ის მრჩეველი

სოფიაში კომპარტიის არალეგალური სტამბა აღმოაჩინეს (ცენტრში: კონტრდაზვერვის შეფი ნიკოლა გეშევი)





იანკო რაზვიგოროვი ჩაჲიდა. ის ინგლისის ელჩს შეხვდა. საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა. ძირითადი თემა ბულგარეთის მიერ დასავლეთის სახელმწიფოებთან სეპარატული ზაგის დადება გახლდათ. აღნიშნულ ვიზიტზე პრემიერი ბოგდან ფილოვი ინფორმირებული არ ყოფილა.

ჰაილ ჰიტლერ! დელიუსი.

პროპოგანდა

შეხვედრა სოფიის გარეუბანში, აბეგერის რეზიდენციაში გაიმართა. დოქტორმა დელიუსმა გემევეს გადახედა. პოლკოვნიკი კოსტოვი შეიშშუშნა. გემევემა მინერალური წყალი მოსვა და წამოდგა.

— ბატონებო, მსურს ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთო.



ბოგდან ფილოვი

— დაბრძანდით, — გაიღიმა დელიუსმა. გემევეს ყურადღება არ მიუქცევია, ჩაახველა და დაიწყო:

— როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, სოფიაში საშიში რუსი ჯაშუში მოქმედებს. მისი მეტსახელია მებრძოლი. სავარაუდოდ, მაღალ საზოგადოებას განეკუთვნება. ამიტომაც აგენტურის ფართო ქსელი აქვს. მისმა საცეცებმა შეადღწიეს მთავრობაში, არმიაში, სამინისტროებში და თვით სასახლეშიც კი.

— სულ ეს არის? — დაცინვით შეეკითხა პოლკოვნიკი კოსტოვი.

— არა. დადგენილია, რომ მებრძოლი ბულგარეთის ტერიტორიაზე მოქმედი მასონური ლოჟა „ბერლინის“ წევრია. იქ თავი მოიყარეს მსხვილმა მრეწველებმა, ბანკირებმა, სამხედრო მაღალჩინოსნებმა.

— მტრის რაცია ჩვენც დაუფიქსირეთ, — დელიუსი წამით გაჩუმდა, — მაგრამ რატომ გგონიათ, რომ რუსი რეზიდენტი მასონური ლოჟა „ბერლინის“ წევრებს შორის უნდა ვეძებოთ?

— ჩვენ ისიც ვიცით, რომ მებრძოლი იგივე ადვოკატი პევეია (ალექსანდრ პევეი, პოლკოვნიკ კოსტოვის ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი, რო-ს პირდაპირი ხელშეწყობით შექმნა აგენტურული ქსელი)...

ორი დღის შემდეგ ნიკოლა გემევემა იანკო რაზვიგოროვს მიართვა პოლკოვნიკ კოსტოვისა და მაიორ პენევის საუბრის ჩანაწერი. რაზვიგოროვი უნებლიეთ შეკრთა.

— პენევი რო-ს თანამშრომელი და კოსტოვის ნდობით აღჭურვილი პირია, — ჩუმაღ წარმოთქვა გემევემა.

— საუბრის ჩაწერა როგორ მოახერხე? — რაზვიგოროვი გაოცებას ვერ მალავდა.

— კოსტოვის უახლოეს გარემოცვაში ჩემი აგენტი მყავს, — გემევემა გაიცინა, — მაიორ პენევის მარჯვენა ხელიც ჩემი აგენტია...

პოლკოვნიკ ნიკოლა კოსტოვისა და მაიორ დმიტრი პენევის საუბრის ჩანაწერიდან:

კოსტოვი: შენთან სათხოვარი მაქვს.

პენევი: ალბათ რაღაც დელიკატური საქმე უნდა დამავალო, არა?

კოსტოვი: ეს ბრძანება კი არა, თხოვნაა. შეგიძლია თავისუფლად შემიკურთხო და უარი მითხრა.

პენევი: ბანკის გამარცხვას ხომ არ აპირებ?

კოსტოვი: უარესი. გემევეი უნდა შეამოწმო.

პენევი: რაო?!



კოსტოვი: ეს ჩემი პირადი თხოვნაა. ასე რომ, თავისუფლად შეგიძლია უარი მითხრა.

პენევი: რამდენს გაიღებ?

კოსტოვი: ასი ათას ლევს.

პენევი: ვალუტით მირჩევნია.

კოსტოვი: ორმოცდაათი ათასი დოლარი, გვეოფა?

პენევი: რასაკვირველია!

„შავი ანგელოზები“

გენერალი ვლადიმირ ზაიმოვი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი აღსრულდა. ზაიმოვის დახვრეტის მეორე დღესვე რადიოსადგურმა „ხრისტო ბოტევა“, რომელიც მოსკოვიდან გადასცემდა ბულგარულ ენაზე, ეთერში შემდეგი ინფორმაცია გადასცა:

— ბულგარელებო, დაიჩოქეთ! სოფიაში გენერალი ზაიმოვი დახვრიტეს!

მოსკოვმა ზაიმოვისგან გმირის ხატის შექმნა მისი დახვრეტისთანავე დაიწყო.

* * *

გოგონა ძალიან ლამაზი იყო, საშუალოზე მაღალი ტანის, ქერათმიანი. თეთრი სიფრფხანა კანი და ცისფერი თვალები ჰქონდა. შედგა, მიმოიხედა, თითქოს პაემანზე მოვიდა და თავის გულის რჩეულს ეძებსო.

— რაჩო!

გოგონა შეკრთა, შემობრუნდა. მის წინ

სტეფან დიჩევი იდგა. საიდან გამოტყვერა? — გაიფიქრა გოგონამ, — ესღა მაკლდა!

— აქ რას აკეთებ, რაჩო?

დიჩევი მასთან მივიდა. მოულოდნელად საიდანღაც კიდევ ორი ქალი გამოჩნდა. დიჩევი შეკრთა.

— თავი დაანებე, — გამოცრა ერთ-ერთმა ქალმა, — ის შენ არ გიცნობს.

— მოიცა, მე თქვენ არ მოგმართავთ.

ახალგაზრდას სიტყვა შუაზე გაუწყდა. ერთ-ერთმა ქალმა რვეოლეკერი იძრო. გაისმა ორჯერ გასროლის ხმა!

დიჩემა ამოიკენესა და ჩაიკეცა. რაჩომ შეჰკოვლა. ქალები იჭაურობას გაეცაღნენ...

ფოტოგრაფ პარჯილოვს ჩვევად ჰქონდა, ლამაზი ქალის ან მამაკაცისთვის უჩუმრად ფოტო გადაეღო, შემდეგ კი თავისი ატელიეს ვიტრინაზე გამოეფინა. როზა (იგივე რაჩო) და დიჩევი ერთმანეთს მართლაც ძალიან უხედებოდნენ. პარჯილოვმაც ჩუმად გადაუღო სურათი. კადრში საიდანღაც გამომტყვერალი ორი ქალიც მოხვდა. ერთ-ერთმა ხომ დიჩევს ესროლა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, გამოდის, მკვლელობა გადავიღე?!

თავდაპირველად პარჯილოვმა გადაწყვიტა, ფოტოები პოლიციისთვის ჩაებარებინა. ბოლო მომენტში თავისი მეგობარი მაიორი პენევი გაახსენდა, რომლის დაკვეთებსაც სიამოვნებით ასრულებდა. მაიორი კარგად



მიღება მეფის სასახლეში. ცენტრში — მეფე ბორის III და გენერალი ზრისტი ლუკოვი

უხდიდა. პარჯილოვიც ყურმილს დასწვდა და ნომერი აკრიფა.

მაიორმა პენეჟმა მალე დაადგინა, რომ სამივე ქალი კომუნისტური მოძრაობის აქტივისტი იყო. ყველა მათგანი ერთობ კოლორიტული ბიოგრაფიის პატრონი გახლდათ.

ვიოლეტა ბოპორ იაკოვა. დაიბადა ღარიბებრაულ ოჯახში. კომუნისტურ მოძრაობაში 1939 წლიდან მონაწილეობდა, რის გამოც არაერთგზის იყო დაკავებული. მუშაობდა მკერავად სოფიის ერთ-ერთ ატელიეში. 1940 წელს სოფიიდან გაემგზავრა.

მიტკა გრიბჩევა დაიბადა მაკედონიაში. ოთხი წლისა მშობლებთან ერთად ბულგარეთში გაიქცა. დედ-მამა ადრე დაედუბა. მიტკა აღსაზრდელად ბიძამ აიყვანა, რომელიც სცემდა და მონურად ამუშავებდა. ერთხელ გაუპატიურებაც დაუპირა. მიტკამ მუცელში დანა გაუყარა. ბიძა გადარჩა, ხოლო გოგონა არასრულწლოვანთა კოლონიაში მოხვდა. სასჯელის მოხდის შემდეგ დასახლდა სოფიაში. მუშაობდა ოფიცინატად. იყო ერთ-ერთი ბიზნესმენის საყვარელი, რომელსაც ვერცხლეული მოპარა და მიძალვა სცადა. კვლავ დააპატიმრეს. კარგი ყოფაქცევის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. შემდეგ მიტკა სოფიის მაუდის ფაბრიკის მუშა გახდა. გაიცნო კომუნისტი დმიტრი გრიბჩევი და ცოლად გაჰყვა. ქმრის გავლენით კომუნისტურ მოძრაობაში თავადაც ჩაება. 1941 წელს დმიტრი გრიბჩევი დააპატიმრეს, მიტკამ კი სოფია დატოვა.

როზალია მარკოვა. დაიბადა მდიდარი

ფაბრიკანტის ოჯახში. სწავლობდა სოფიის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სტუდენტობისას კომპარტიის წევრი ვინმე ტრაიჩევი გაიცნო და მისი ცოლი გახდა. ქმრის გავლენით კომუნისტურ მოძრაობაში ჩაება. ამის გამო არაერთგზის იყო დაკავებული. 1941 წელს მისი ქმარი პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა, თავად როზა კი სოფიიდან გაქრა...

კოსტომეა თავი ასწია. რო-ს შეფი ამკარად გაღიზიანებული იყო.

— არ მესმის, რის თქმა გინდა!

— ჩვენს მიერ დადგენილია შემდეგი: მიტკა გრიბჩევა, როზალია მარკოვა და ვიოლეტა იაკოვა სოფიაში შემთხვევით არ ჩამოსულან. ისინი საიდუმლო დავალებას ასრულებდნენ.

— რაო?

— სოფიის მახლობლად ტერორისტული ჯგუფი „შავი ანგელოზები“ მოქმედებს. სიმპათიური ქალები ამ ბანდის წევრები არიან.

— დიჩევი რატომ მოკლეს?

— ის როზალია მარკოვას ძველი თავყანის-მცემელი იყო. მოულოდნელად ქუჩაში შეეჩხა და იცნო, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

— აი, თურმე რა... — კოსტოვი ჩაფიქრდა,

— შეეცადე ამ „შავი ანგელოზების“ თაობაზე რაც შეიძლება მეტი შეიტყო, კარგი?

ტმრაქტის ჟიბ

1943 წლის 2 თებერვალს ფელდმარშალმა ფრიდრიხ პაულიუსმა სტალინგრადთან კაპიტულაცია გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომში ძირეული გარდატეხა დაიწყო.

1943 წლის 5 თებერვალს გენერალი ხრისტო ლუკოვი ბულგარეთში დაბრუნდა. სამხედროთა კლუბში მას საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

— ჩვენი ბრძოლა გრძელდება, — განაცხადა სიტყვის წარმოთქმისას ლუკოვმა...

მებრძოლი — ცენტრს:

გენერალი ხრისტო ლუკოვი სოფიაში დაბრუნდა. მან ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. როგორ მოვიქცე? მებრძოლი.

ცენტრი — მებრძოლს:

ლუკოვთან პირად კონტაქტს გიკრძალავთ. კონტაქტი პოლკოვნიკ ველიჩკოვის მეშვეობით გქონდეთ. დაიცავით სიფრთხილე. დირექტორი...

მაიორი პენევი კარგი პროფესიონალი იყო. უმოკლეს ხანში მნიშვნელოვანი ცნობები შეკრიბა. კოსტოვი გაოცებას ვერ მალავდა. ტერორისტები სოფიის მახლობლად! არა, ეს წარმოუდგენელია!

— ჯგუფის მეთაური ვინმე სლაფჩო რადომირსკია, — ჩემად წარმოთქვა პენევა, — ეს, რასაკვირველია, ფსევდონიმია. სამწუხაროდ, მასზე მეტი არაფერი ვიცით.

— ჯგუფში რამდენი კაცია? — კოსტოვმა სიგარეტს მოუკიდა, — სად აქვთ ბაზა?

— ამის გარკვევა ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, დადგენილია, რომ „შავი ანგელოზების“ განკარგულებაშია რამდენიმე კონსპირაციული ბინა სოფიაში, აგრეთვე ინფორმატორთა მთელი ქსელი. ჩვენ ამ ხალხის შემოწმება დავიწყეთ.

— მერე?

— ზოგიერთი მათგანი გეშევის აგენტი აღმოჩნდა.

კოსტოვი წამოხტა, სახეზე ხელი გადაისვა. პოლკოვნიკი გრაფინს დასწვდა, წყალი დაისხა.

— ახლა ეს ხალხი პარალელურად ჩვენთვისაც მუშაობს, — წარმოთქვა პენევა და სიგარეტს მოუკიდა.

* * *

დოქტორმა დელიუსმა შამპანური გახსნა, სასმელი ჭიქებში ჩამოასხა. რაზვიგოროვმა გაიღიმა.

— მაპატიეთ, — დელიუსმა ჩაახველა, — რაღაც-რაღაცები არ მქსმის.

— კონკრეტულად?

— რა ორიენტაციის ხართ, პროინგლისუ-



კადრები 1970 წელს ბულგარეთში გადაღებული ფილმიდან „შავი ანგელოზები“, რომელიც მიტკა გრიბჩევას რომანის მიხედვით გადაიღეს



რი, პრორუსული თუ პროგერმანული?

— პრობულგარული.

— ეს რას ნიშნავს?

— საშინაო პოლიტიკაში კურსი შემდეგია: მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესიის როლის გაძლიერება, ბულგარული



▲ ვიოლეტა იაკოვას ძველი ქალაქ რადომირში

▼ მიტკა გრიბჩევა

ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფასეულობების მხარდაჭერა, არმიის გაძლიერება, კომუნისტური პარტიის დაქსაქსვა, დისკრედიტაცია, პარალიზება და განადგურება.

— გერმანიისადმი თქვენი პოლიტიკა როგორი იქნება? — ჰკითხა დელიუსმა.

— პიტლერს გერმანია კატასტროფისკენ მიჰყავს. გერმანიაში არის ძალები, რომელთაც ეს ესმით და ქვეყნის გადარჩენისთვის იღვწიან. მათ აბვერის შეფი აღმირალი კანარისიცი განეკუთვნება.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— გადაეცით აღმირალს, რომ ჩვენ მისი გულშემატკავრები და მოკავშირეები ვართ, — რაზვიგოროვმა გაიღიმა, — საერთო მიზნები გვაკავშირებს!

* * *

მაიორი პენევი ცდილობდა, მოკლედ

ელაპარაკა. პოლკოვნიკმა ნიკოლა კოსტოვმა სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა.

— სოფიაში ჩამოვიდა ორი ბოვეიკი, ქალი და მამაკაცი, — პენევი წამით გაჩუმდა, — ისინი „შავი ანგელოზების“ წევრები არიან.

— ვინაობა დაადგინე?

— რასაკვირველია! ქალი ვიოლეტა იაკოვაა, აგენტურული მეტსახელი ივანკა. ერთ-ერთი იმათგანია, ვინც დიჩევის მკვლელობაში მონაწილეობდა.

— დიჩევს მან ესროლა?

— არა, მეორე ქალმა, მიტკა გრიბჩევა. მისი მეტსახელია ოგინანა.

— მამაკაცი ვიღაა?

— ივან ბურუჯიევი, აგენტურული მეტსახელი ბორიმეჩკა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— გენერალ ლუკოვზე თავდასხმა 13 თებერვალს 14 საათზე, გენერლის სახლის წინ მოხდება, — პენევი წამით გაჩუმდა, — მათ ყველაფერი მზად აქვთ...

კოსტოვი წავიდა. მაიორი პენევი ვიოლეტა იაკოვას ფოტოს დააცქერდა. მასზე ახალგაზრდა, შეეთმიანი მოხდენილი ქალი იყო გამოსახული. ეცვა უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით. თვალებში ისეთი ათინათი უკრთოდა, თითქოს მთელი სამყაროს სიკეთეზე ოცნებობსო.

ვიოლეტა ბოჰორ იაკოვა. პენემა მისი დოსიე დაწვრილებით შეისწავლა. ის ღარიბ ებრაულ ოჯახში აღიზარდა. რვა წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. ათი წლისამ მკერავად დაიწყო მუშაობა ჯერ ფაბრიკაში, შემდეგ კერძო ატელიეში. პატარა და-ძმას მზრუნველობას არ აკლებდა, სახლსაც ალაგებდა, სადილს ამზადებდა, რეცხავდა. ამავე დროს არც ბავშვურ გართობას იკლებდა. ბიჭებთან ერთად ფეხბურთსაც თამაშობდა, ხეებზეც დაძვრებოდა. მუშათა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრიც იყო. ტანვარჯიშში მოყვარულთა შორის სოფლის ჩემპიონიც გახდა.

— ისეთები, როგორიც ეს ვიოლეტაა, კარგი ცოლები და ოჯახის დელები ხდებიან, — გაიფიქრა უნებლიეთ მაიორმა, — თუმცა გარემოებათა გამო შესაძლებელია შესანიშნავ ტერორისტებადაც გადაიქცენ.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ნინა თაგაზაძე

ისტორიის დოქტორი



„არაბული ზამთარი“ შიში რუსეთში არაბთა რევოლუციებისბან

„არაბული გაზაფხულის“ დასაწყისი ეგვიპტეში

სიმაღლე იქნება, თუ ვიტყვით, რომ არაბულ ქვეყნებს პუტინი არასოდეს ეკიდებოდა სერიოზულად. მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებს თვითონ უღრმავდებოდა, არაბულებს კი — არასოდეს. არსებითად, არაბული აღმოსავლეთი ავანტიურისტებს ჰქონდათ დათმობილი. იქ იდებოდა საეჭვო შეთანხმებები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პოლიტიკასთან. მით უმეტეს, რომ არაბეთის ქვეყნებში კორუფცია არასოდეს ყოფილა ნაკლები, ვიდრე რუსეთში.

პუტინის მმართველობის წლებში მოსკოვის აქტიუობა ახლო აღმოსავლეთში შემოიფარგლებოდა რუსეთის ნაუთობკომბანიების ბიზნესინტერესებით. მაგალითად, ერაყში ომის დაწყებამდე რუსულმა კომბანიებმა ქრთამის წყალობით მოიპოვეს საბადოები სადამ ჰუსეინისგან, მაგრამ ომის დროს ისინი დაკარგეს.

მსგავსი მოდელით ეწეობოდა ურთიერთობები სხვა არაბულ ქვეყნებთანაც. თითქმის ყველა ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ვალები ემართა. რუსული დიპლომატია არცთუ ძნელი მოლაპარაკების შემდეგ აღწევდა ამ ვალების ჩამოწერას, სანაცვლოდ კი მორიგი არაბული რეჟიმი აფორმებდა კონტრაქტებს რუსეთის მენავთობებსა და მეიარაღეებთან. მკაცრად თუ განვსჯით, ასეთი გარიგებებიდან

სარგებელი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის საკმაოდ საეჭვო იყო, სამაგიეროდ, კერძო ბიზნესი აშკარად მოგებული რჩებოდა.

დროთა განმავლობაში გეოგრაფია ფართოვდებოდა. იორდანია და ალჟირი რუსულ იარაღს ყიდულობდნენ, ლიბანის პრემიერ რაფიკ ჰარირის ოჯახი რუსეთის სამხრეთში მშენებლობების შეკვეთებს იღებდა. რუსეთის რკინიგზა ლიბიაში სარკინიგზო მაგისტრალის აშენებას აპირებდა. ვალებს პატიობდნენ, ორთქლდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი ქონება არაბულ ქვეყნებში. სირიაში შემორჩა რუსეთის ერთადერთი სამხედრო ბაზა შორეულ საზღვარგარეთში, მაგრამ მას თითქმის აღარაფერი იხსენებდა. იმიტომ რომ არ სჭირდებოდათ.

„არაბულმა გაზაფხულმა“ ყველაფერი შეცვალა. ჰოსნი მუბარაქისა და მუამარ კადაფის წინააღმდეგ აჯანყებებს პუტინმა ისე შეხედა, თითქოს საკუთარი თავი ამოიციო. ყველაფერი, რაც შემდეგ ბაშარ ასადის წინააღმდეგ ხდებოდა, მასში უფრო მტკივნეულ შერძინებებს იწვევდა.

რა თქმა უნდა, ასადის მიმართ პუტინს არავითარი მეგობრული გრძნობები არ ჰქონდა. მეტისმეტად განსხვავებული წარსული ჰქონდათ. 1991 წელს 26 წლის ოფთალმოლოგი ბაშარ

მიხაილ ზიგარის „კრემლის ლაშქარი“ — თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია (დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№67-73, 75, 77, 79, 82-87)



დევნილები
დამასკოში,
სირიის
დედაქალაქში

ასადი დამასკოდან ლონდონში გაემგზავრა. ჯერ სტაჟირებისთვის, მაგრამ შემდგომ იქ დაყოვნდა და სრულფასოვანი მუშაობა დაიწყო „ვესტერნ აი ჰოსპიტალში“, პადინგტონში. ლონდონში იგი მოკრძალებულად ცხოვრობდა, იყენებდა ფსევდონიმს, რადგან არ სურდა, ვინმეს სცოდნოდა, რომ სირიის პრეზიდენტის ვაჟი ოფთალმოლოგად მუშაობდა. ლონდონური არდადეგები 1994 წელს დასრულდა, როცა ავტოკატასტროფაში მისი უფროსი ძმა ბასილი დაიღუპა, რომელსაც მექვიდროობით უნდა მიეღო მამისეული საპრეზიდენტო სავარძელი. ბაშარი მალევე დააბრუნეს დამასკოში და სამხედრო აკადემიაში მიაბარეს — ძალაუფლებისთვის მოსამზადებლად.

როცა 2000 წელს ჰაფეზ ასადი გარდაიცვალა და ბაშარმა იგი ჩაანაცვლა, ყველა ელოდა, რომ სირია ნორმალურ ქვეყნად გადაიქცეოდა — როგორც იორდანის ახალგაზრდა

ბაშარ ასადი (მარცხნივ) ლონდონის „ვესტერნ აი ჰოსპიტალში“ ოფთალმოლოგად მუშაობდა



მონარქმა აბდალამ დაიწყო საკუთარი ქვეყნის გაკეთილშობილება, 1999 წელს მამის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო მანქანა ბრუნავს დამოუკიდებლად და საკუთარი კანონებით მრავალიცხოვანი მამის დროინდელი გენერლები, ნათესაეები, რომლებიც ბაშარზე უფროსი და გამოცდილი იყვნენ — წარმოუდგენელ ინერციას ქმნიდნენ. ბაშარ ასადი თითქოს ისეთს არაფერს აკეთებდა, რომ ტირანად წარმოჩენილიყო, მაგრამ არაფერს აკეთებდა არც იმისთვის, რომ რეფორმატორად შეერაცხათ. სირიის არმია ლიბანის ოკუპაციას განაგრძობდა. თვითონ ასადს ძველებურად ჰქონდა კონტაქტები ირანთან, იარაღს ყიდდა სადამ ჰუსეინის ერაყში.

ამ თვალსაზრისით, ბაშარ ასადი ახლო აღმოსავლეთის ერთგარი ვლადიმირ პუტინი აღმოჩნდა. თავისი ქვეყნის უნებლიე ხელმძღვანელი, ის პრეზიდენტი გახდა შემთხვევით, გარემოებათა საბედისწერო თანხვედრის გამო. ასეთი ბედისთვის ის მზად არ იყო და მისი ნება რომ ყოფილიყო, ალბათ სხვა მომავალს აირჩევდა. მას სულაც არ სურდა, ყოფილიყო დასავლეთის მოწინააღმდეგე, მეტიც, ფიქრობდა, რომ ამ გზას არ აირჩევდა. უბრალოდ, იგი არ დგამდა გადამწყვეტ ნაბიჯებს მსოფლიო საზოგადოებრიობასთან დასახლოებლად და ელოდა, როდის გამოიჩენდა ეს საზოგადოება მის მიმართ პატივისცემას.

დიდწილად იგი გახდა გარემოცვის, ოჯახისა და მეგობრების, აგრეთვე ძველი პარადიგმის მძევალი, რომლის თანახმად, თუ რამე არ გამოდის, ესე იგი, დამნაშავე დასავლეთია.

სირიაში მიმდინარე ომს ბოლო
ჯერჯერობით არ უჩანს



ბაშარ ასადი ემშაკობასაც კი არ აპირებდა, იგი ყოველთვის იმედოვნებდა, რომ თავის მეტოქეებს სიჯიუტით აჯობებდა, ფიქრობდა, რომ მათი ქიშპი სერიოზული არ იყო, რომ ისინი გადაიფიქრებდნენ. ასადის მთავარი განსხვავება დანარჩენი მეზობლებისგან — არაბი დიქტატორებისგან — მდგომარეობდა პანიკურ შიშში ფერადი რევოლუციის მიმართ. 2011 წელს დადგა „არაბული გაზაფხული“ — მასობრივი პროტესტების შედეგად ჩამოაგდეს ლიდერები ტუნისში, ლიბიასა და ეგვიპტეში. ასადმა კი ნებისმიერ ფასად წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა. როცა 2011 წლის იანვარ-მარტში ათასობით სირიელი მოედნებზე გამოვიდა, არმიამ დაუყოვნებლოდ რეპრესიებით უპასუხა. რამდენიმე კაცი დემონსტრაციების დაშლის დროს დაიღუპა, ათასობით ადამიანი დააპატიმრეს, მაგრამ განსაკუთრებით განმაურდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სირიელი ჟურნალისტი და მხატვრის, ალი ფარზატის საქმე, რომელსაც ხელების ძვლები გადაუმტვრიეს.

გამოსვლები არ ჩამცხრალა ხელისუფლების სისასტიკის მიუხედავად, პირიქით, გაძლიერდა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა (უკვე 2011 წელს მეამბოხეები მართლაც იღებდნენ დახმარებას საზღვარგარეთიდან: ყატარიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან). ასადი ამ ომს შეუპოვრად განაგრძობდა, ისე რომ არავითარ მსხვერპლს არ აქცევდა ყურადღებას. არადა, მხოლოდ პირველ წელს დაიღუპა 5 ათასი კაცი.

ბაშარის მაგალითმა აჩვენა, რომ ბრმა და შეუპოვარი ბრძოლა ძალაუფლების შესანარ-

ჩუნებლად, დიდი დანაკარგის შემთხვევაშიც შეიძლება ეფექტური იყოს. რამე გვემის ან სტრატეგიის უქონლობაც სტრატეგიაა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელ საგარეო პოლიტიკას ვლადიმერ პუტინი მხოლოდ თავისი მონაწილეობით ალიქვამს, როგორც ამერიკელების გვემას ძალაუფლებიდან მის ჩამოსაშორებლად, მაშინ სავსებით ნათელია, რატომ გახდა ბაშარ ასადი „თავისი ძაღლისშვილი“.

აი, როგორ აღწერს პუტინის ერთ-ერთი დაახლოებული მრჩეველი მის აზრთა მსვლელობას სირიის მოვლენებზე. ბაშარ ასადი ჩვეულებრივი არაბი ხელმძღვანელია, არც უკეთესი და არც უარესი სხვებთან შედარებით. დაახლოებით ისეთივე, როგორც საუდის არაბეთის, მაროკოს ან იორდანის მეფეები, გაერთიანებული არაბული საემიროების, ალჟირისა ან სუდანის პრეზიდენტები. რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მათგანთან დასავლეთს არასდროს არავითარი პრეტენზია არ აქვს, სხვების მიმართ კი მკაცრი და მომთხონია? რატომ შეუძლია საუდის არაბეთს საჯაროდ ჩამოაზრჩოს ან თავი მოკვეთოს — და მას არავინ ადანაშაულებს ადამიანის უფლებების დარღვევაში, სირიას კი გაცილებით ნაკლები სიმკაცრისთვის კიცხავენ. ამას ერთი ახსნა აქვს, — მსჯელობდა პუტინი, — საქმე ის არის, რომ სირია რუსეთის მოკავშირეა. ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შემორჩენილია რუსეთის სამხედრო ბაზა, ეს არის რეჟიმი, რომელიც რუსეთში იარაღს ყიდულობს და რუსეთს დახმარებას სთხოვს (ის ფაქტი, რომ ბაშარ ასადი მრავალი წლის განმავლობაში თავად მასვე საერთოდ არ აინ-



კრემლში დარწმუნებული იყვნენ, რომ მსოფლიოს ახალი „დირექტორთა საბჭო“ ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსი გახდებოდა და იქ რუსეთის მიწვევას ელოდნენ

ტერესებდა, ვლადიმირ პუტინს არ აცბუნებდა).

ალტერნატიული ვერსია პუტინს ვერ არწმუნებდა, როცა მას ეუბნებოდნენ, რომ ბაშარ ასადი იყენებდა იარაღს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, პუტინი ამას საკუთარ ენაზე თარგმნიდა: ასადი იყო პირველი, ვინც შეძლო, „არაბულ გაზაფხულს“ შეწინააღმდეგებოდა. პუტინი იხსენებდა, რომ ათი წლით ადრეც, 2004 და 2005 წლებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო „ფერადი რევოლუციების“ ტალღა. მაშინ პირველი, ვინც ამბოხებულების დახვეწა გაბედა, იყო უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი. პუტინმა მას დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი და დაჰპირდა, რომ მომდევნო შემთხვევაში ჯარით დაეხმარებოდა, — მთავარი იყო ის, რომ ქარიმოვმა ჯაჭვური რეაქცია შეაჩერა.

ამჯერად ადამიანი, რომელმაც „არაბული გაზაფხული“ შეაჩერა, პუტინისთვის იყო ბაშარ ასადი. და რადგანაც მისთვის „არაბული გაზაფხული“ რუსეთში რევოლუციის რეპეტიციას წარმოადგენდა, ბაშარ ასადი, ფაქტობრივად, რუსეთს გადაეფარა ამერიკული შეთქმულებისგან დასაცავად.

კორკორაცია „მსოფლიოს“ დირექტორთა საბჭო

უკანასკნელი წვეთი ვლადიმირ პუტინისთვის, რაგინდ საკვირველი იყოს, აღმოჩნდა ისტორიული მოვლენა, რომელსაც რუსეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს იყო ბირ-

თვული გარიგება ირანთან, ვენაში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელმაც ბოლო მოუღო ირანის იზოლაციას. საქმე ის გახლავთ, რომ ეს იყო უკანასკნელი მოლაპარაკების პროცესი, რომელშიც რუსეთი მონაწილეობდა, როგორც ძღვეამოსილი სახელმწიფო.

ვლადიმირ პუტინის მიუხეხნის სიტყვაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი, აკვიატებული იდეა იყო ახალი ხელშეკრულება გლობალური უსაფრთხოების შესახებ. მას ხანდახან იალტა-2-ს ან ჰელსინკი-2-ს უწოდებდნენ. ეს იყო წონიანი დადასტურება, რომ მთელი მსოფლიო პატივს სცემს რუსეთს, მიიჩნევს მას სამყაროს მოწყობის ერთ-ერთ საყრდენად და მსოფლიო წესრიგის გარანტად, აგრეთვე მრავალპოლუსიანი სამყაროს ერთ-ერთ პოლუსად. დირექტორთა ძველი საბჭო, რომელიც ოდესღაც მართავდა კორპორაცია „მსოფლიოს“, ანუ გაეროს უშიშროების საბჭო, უკვე ვეღარაფერს მართავს. ამიტომ, ამბობდა ვლადიმირ პუტინი მიუხეხნში 2007 წელს და შემდეგ იგივე გაიმეორა დმიტრი მედვედევმა 2008-ში, უნდა ჩამოყალიბდეს დირექტორთა ახალი საბჭო მსოფლიოს სამართავად და რუსეთი ამ საბჭოში თავის ადგილს მოითხოვს.

მაგრამ პუტინის წინადადებას თითქმის არავინ გამოხმაურებია, გნებავთ თუნდაც მხოლოდ ფორმალურად. არავის უთქვამს: მოდი, მოვიწვიოთ ვლადიმირ პუტინი მსოფლიო მთავრობის სხდომებში მონაწილეობისთვის,

იყოს ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე და მეფე სოლომონი. აღსანიშნავია, რომ ეს არ მომხდარა ვლადიმერ პუტინის მიმართ უპატვიცემულობის გამო. უპირველეს ყოვლისა, „მსოფლიოს დირექტორთა საბჭოს“ მსგავსი კონსტრუქციების არაეფექტურობა უკვე ორჯერ დადასტურდა. ჯერ იყო ერთა ლიგა 1930-იან წლებში, შემდეგ — გაერო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში. ცივი ომის წლებს ვინ ჩივის, უკვე 1990-იან წლებში გაეროს უშიშროების საბჭომ ვერაფერი იღონა მსოფლიოს ვერც ერთ შემხარავი ტრაგედიისას — ბალკანეთის, რუანდაში გენოციდის, ავღანეთის გამო. იდეალისტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გაეროს ძალისხმევით შესაძლებელია რამის მიღწევა, მსოფლიოში აღარ არიან.

ნატოსადმი რუსეთის ცამდე ატყორცნილი სიძულვილის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ის, რომ კრემლში დარწმუნებული იყვნენ — ახალი „დირექტორთა საბჭო“, რომელიც მსოფლიო პრობლემებს გადაწყვეტდა, სწორედ ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსი გახდებოდა. თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში ვლადიმერ პუტინი ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, განეხილა ჯორჯ ბუშთან საკითხი, როდის მიიწვევდნენ ალიანსში რუსეთს. ეს არ მოხდა, მაშინ დაიწყო ლაპარაკი ახალ გლობალურ ხელშეკრულებაზე და ახალ გლობალურ დირექტორთა საბჭოზე.

მაგრამ მის ამ წინადადებებს არავინ გამოხმაურებია, რადგან „დირექტორთა საბჭოს“ კონცეფციის სანაცვლოდ გაჩნდა „დამოუკიდებელი არბიტრაჟის“ კონცეფცია. ანუ ყოველ ჯერზე, როცა რაღაც პრობლემა ჩნდება, მისი მონაწილეები ან დაინტერესებული მხარეები სიტუაციურად მიმართავენ იმ შუამავლებს, რომლებსაც ენდობიან. ისინი შესაძლოა უკავშირდებოდნენ რომელიმე არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციას, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. მაგალითად, ირანის ბირთვული პრობლემის გადასაწყვეტად დიდი ხნის განმავლობაში ასეთი არბიტრი იყო „ევროსამეული“ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) და მაგატე (ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო). „ევროსამეულმა“ ვერაფერს მიაღწია და ირანის საკითხში დადგა ცუდი ჟამი. 2008 წლიდან „ირანის დოსიეს“ განხილვა დაიწყო უკვე „ექვსეულმა+1“-ი: დიდი ბრიტანეთი, საფრანგე-

თი, გერმანია, აშშ, რუსეთი, ჩინეთი, აგრეთვე ევროკავშირი. ამ არბიტრაჟში რუსეთისთვის ადგილის შენარჩუნებაში, რაც უნდა უცნაური იყოს, დიდი წვლილი დიპლომატიის მეშვეობით მიუძღოდა. 2010 წელს რუსეთი დათანხმდა უდავო მტკიცებულებებს, რომლებიც აშშ-მა წარმოადგინა, რომ ირანი ნამდვილად ცდილობდა ბირთვული ბომბის შექმნას. ამის შემდეგ ამ ჯგუფის მუშაობა კოორდინირებული გახდა — მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა პარტნიორი ერთობლივად მოქმედებდა, ე.ი. რუსეთმა შეწყვიტა „თამაში“ ირანის მხარეს. შემდეგ ყველამ ერთად შემოიღო სანქციები ირანის წინააღმდეგ (რუსეთი და ჩინეთიც კი დათანხმდნენ სანქციების დაწესებას) და დაიწვეს ბრძოლა იმისთვის, რომ ირანს უარი ეთქვა ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამაზე. ეს უნიკალური მაგალითია სანქციების საშუალებით პოზიტიური შედეგის მიღებისა: ირანმა გადახედა თავის წინანდელ პოლიტიკას, წავიდა დათმობებზე და წლების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ.

და აი, ამ უნიკალურმა არბიტრაჟმა „6+1“-მა თავისი მისია შეასრულა და დაიშალა. ეს ნიშნავდა, რომ დარჩა ერთი ნაკლები „დირექტორთა საბჭო“, რომელშიც რუსეთი მონაწილეობდა.

(გაგრძელება იქნება)
თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა

ირანის ბირთვული გარიგება იყო უკანასკნელი მოლაპარაკების პროცესი, რომელშიც რუსეთი მონაწილეობდა, როგორც ძლევაძისილი სახელმწიფო



ՀԻՆՉՆԵՐԻ

2018 ՏՐԻՆ ՀԱՅԿՈՒՆ ԵՄԱԶԳՅՈՒ ՈՒՆԵՐՅՈՒ



სწრაფი შეფავის ავტომობილი BUGGY

გასული საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში ძველი Volkswagen Beetle-ს მოდელის ავტომობილების გადაკეთება მოდური გახდა — მანქანებიდან ხსნიდნენ ძარას, კარებს, ფრთებს, ძრავის მაყუჩს და ჩარჩოზე მხოლოდ ძრავა-ტრანსმისიასა და საჭის მექანიზმს ტოვებდნენ. შემსუბუქებულ „ფოლკსვაგენს“ Buggy უწოდეს, რაც დასერილ რელიეფზე, ქვიშაში კარგი გამავლობის მქონე ავტომობილის სინონიმად იქცა.

60-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა სამხედროებმა სწრაფი, მალალმობილური სადაზვერვო ავტომობილი მოითხოვეს. ამისათვის კორპორაცია FMC-მა პირველმა მოსინჯა „ბაგის“ ტექნიკური შესაძლებლობები და 1970 წელს გამოსაცდელად XR311 Dune Buggy (4X4) წარმოადგინა. მანქანა ფოლადის მილებიდან შეკრულ ჩარჩოზე იყო აწყობილი, კარბიურატორიანი ძრავა ავტომატურ გადაცემათა კოლოფით ჩარჩოს უკანა ნაწილში იყო ჩადგმული. მანქანას ჰქონდა თვლების დამოუკიდებელი დაკიდების სისტემა, დისკური მუხრუჭები და ფართოპროფილიანი საბურავები.

მომდევნო წელს მომზადდა მეორე მოდელი უფრო ძლიერი ძრავითა და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევის დასაყენებელი ტურელით. მოგვიანებით მანქანის ბაზაზე თავლია ორკარიანი ჯავშანავტომობილი ააწყვეს. თუმცა კორპორაციამ შემდგომში „ბაგის“ ტიპის ავტომობილების მიმართ ინტერესი დაკარგა და მუშაობაც შეაჩერა...



უდაბნოს მთავარი
ტაძრის ჩრდილოეთის
კედელზე გამოსახულია
სცენები დავით
გარეჯელის
ცხოვრებიდან

დავითგარეჯა



უძველესი ფრესკები დღევანდელი კანდალახის წინაშე დაუცველია

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ივრის ზეგანზე, ნახევარუდაბნოში და შედგება კლდეში ნაკვეთი 22 მონასტრისა და 5 ათასზე მეტი სენაკისგან. სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაარსება დაკავშირებულია VI საუკუნის I ნახევარში ასურელი მამის, დავით გარეჯელისა და მისი მოწაფეების სახელებთან. დროთა განმავლობაში მონასტერი გაფართოვდა და ჩამოყალიბდა ერთმანეთისგან კილომეტრებით დაშორებული, კლდეში ნაკვეთი განცალკევებული მონასტრების ერთ-ერთ უდიდეს კომპლექსად. მის შემადგენლობაშია სხვადასხვა დროს დაარსებული მონასტრები (VI-XVII სს): საკუთრივ დავითის ლავრა, დოდოს რქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, უდაბნო, ვერანგარეჯა, წამებული, ჩიჩხიტური, თეთრი სენაკები, მრავალწყარო, საბერეები, პირუკულმარი, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, სატორგე, ბერების სერი, შავი სენაკები, კონახურა, ცხრა წყარო, შავი მინდორი. უშუალოდ დავით გარეჯელის დაარსებულად მიიჩნევა ამჟამინდელი ლავრად წოდებული

სამონასტრო ტერიტორია, რომელიც ყოველთვის კომპლექსის ცენტრი იყო. აქ არის თავად წმინდა მამის საფლავიც. VI საუკუნეშივეა დაარსებული დავითის მოწაფეების, დოდოსა და ლუკიანეს მიერ კიდევ ორი მონასტერი — ნათლისმცემელი და დოდოს რქა.

მონასტრის განსაკუთრებული განვითარების პერიოდია IX-XIII საუკუნეები, როცა გაფართოვდა არსებული მონასტრები და დაარსდა ახლები (უდაბნო, ბერთუბანი, ჩიჩხიტური), ტაძრები შეიმკო კედლის მხატვრობით და ასკეტური სამონასტრო ცხოვრება ნელ-ნელა ხალხმრავალი სამონასტრო ცხოვრებით ჩანაცვლდა. გაჩნდა ყოფა-ცხოვრებისთვის აუცილებელი სამეურნეო ნაგებობები. რასაც ხელი შეუწყო XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრების სამეფო მიწებად გამოცხადებამ და გადასახადებისგან გათავისუფლებამ.



▲ უდაბნოს მონასტრის მთავარ ტაძარში შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, სცენებით დაფიქსირებული გარეგნული ცხოვრებიდან

▼ მთავარი ტაძარი ახლო ხედით

განსაკუთრებული ზიანი მონასტრებს მონღოლთა ლაშქრობისას მიაღება 1265 წელს, რომელთაც, ფაქტობრივად, მოაოხრეს დაფიქსირებული და მისი მიდამოები. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს დაფიქსირებული მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა, თუმცა, საუკუნის ბოლოს თემურ ლენგის შემოსევებისას მონასტრებს კვლავ აღუდგენელი ზარალი მიაღება. საქართველოს მეფის, ალექსანდრე I დიდის ინიციატივით XV საუკუნეში ისინი სვეტიცხოვლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

XVII საუკუნის დასაწყისში სპარსელთა მიერ კიდევ ერთხელ მოშლილი სამონასტრო ცხოვრება 1639 წლიდან კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა აღადგინა, ხოლო XVIII საუკუნეში იგი კვლავ სამეფო დაქვემდებარებაში გადავიდა და აქტიური რელიგიური და კულტურული ცხოვრება აქ XIX საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა.

დაფიქსირებული სამონასტრო კომპლექსის უნიკალურობას, პირველ რიგში, არქიტექტურული გამორჩეულობა განსაზღვრავს. კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა ქსელი დროთა



მკროპული კეხლი განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი. 2007 წელს კომპლექსი შევიდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნული ნუსხების წინასწარ ჩამონათვალში. 2018 წლის 15 მარტს ლუქსემბურგში, პანევროპული ორგანიზაციების ფედერაცია „ევროპა ნოსტრამ“ და ევროპის საინვესტიციო საბანკო ინსტიტუტმა, კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადის 2018 წლის „განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის“ პროგრამის ფინანსიტებს შორის, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსიც დაასახელა (საქართველოს მხრიდან დავითგარეჯა წარადგინა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა, „ევროპა ნოსტრას“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა). ეს ნიშნავს, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში „ევროპა ნოსტრასა“ და ევროპის საინვესტიციო საბანკო ინსტიტუტის ექსპერტები, სხვა პარტნიორებსა და ნომინატორებთან ერთად ესტუმრებიან შერჩეულ 7 ევროპულ ძეგლს (მათ შორის დავითგარეჯას) და პროგრამით დაინტერესებულ ძირითად ორგანიზაციებს შეხვდებიან. სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა გუნდი იზრუნებს ტექნიკურ მხარეზე, დაფინანსების წყაროებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოძიებაზე შერჩეული ძეგლების გადასარჩენად. წლის ბოლომდე შეიქმნება სამოქმედო გეგმა-სტრატეგია, რომელიც დავითგარეჯის სამომავლო განვითარებისა და დაცვის პერსპექტივებს განსაზღვრავს.





დავითის ლავრა, VI საუკუნეში დაარსებული მონასტერი დღემდე მოქმედია. აქ არის თავად დავით გარეჯელის საფლავიც. სურათზე მოჩანს მონასტრის უახლესი ნაგებობებიც

განმავლობაში დაიხვეწა და გართულდა. აქ გვხვდება როგორც მარტივი ტიპის მცირე ქვაბული სენაკები, ასევე მასშტაბური სატრაპეზო და სამეურნეო დანიშნულების ქვაბები, მცირე ერთნაირი სამლოცველოები და გუმბათოვანი თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრები.

განსაკუთრებულად გამორჩეულია დავითგარეჯის მონასტერთა მოხატულობები, რომლებიც ქართული ხელოვნების ისტორიაში გარეჯის სკოლის სახელით არის შესული და წარმოგვიდგენს უნიკალურ და თავისთავად სტილს, შესრულების ოსტატობასა და მოხატულობათა თემატურ მრავალფეროვნებას. ეს ნამუშევრები განეკუთვნება VIII-XVIII საუკუნეებს. გარეჯის მონასტრებში მოხატულობებით შემკულია არა მხოლოდ ტაძრები და სამლოცველოები, არამედ დასაკრძალავები, სატრაპეზოები და ცალკეული სენაკები. მოხატულობათა ავტორ-შემსრულებლებად ძირითადად აქ მოღვაწე ბერები არიან მიწნეული, თუმცა ზოგიერთი მოხატულობის შესრულების ხარისხი მიუთითებს, რომ მათ გვერდით პროფესიონალ მხატვრებსაც უნდა ემუშავათ. იმავეზე მეტყველებს სხვადასხვა

პერიოდის დიდგაროვანთა გამოსახულებები. გვხვდება როგორც სასულიერო პირები (დავით გარეჯელისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები), ადგილობრივი მთავრები (კვირიკიანთა გამოსახულებები) და მონასტრის შემწირველები, ასევე მეფეთა საქტიტორო პორტრეტებიც. ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში წარმოდგენილი იყო ქართველ მეფეთა გამოსახულების ვრცელი რიგი: ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, მეფე თამარი, ლაშა-გიორგი და დავით სოსლანი. ხოლო ბერთუბნის მონასტრის მთავარ ტაძარში იყო თამარისა და ლაშა-გიორგის გამოსახულებები.

დავითგარეჯის მონასტრების ფერწერულ შემკულობაში, მიუხედავად მათი საერთო ქართული მოხატულობებისგან გამორჩეული ხელწერისა, მაინც ყოველთვის გამოიხატებოდა ქვეყნის კულტურასა და პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები. მკაფიოდ ჩანს, როგორ გადადის გარდამავალი ხანის, ხისტი და ლაკონური წერის მანერა შუასაუკუნეობრივ მონუმენტალიზმში. თავდაპირველად ნახევრად მოხატულ სამლოცველოებს როგორ ენაცვლება მრავალფეროვანი, ვრცელი იკონოგრაფიუ-



უდაბნოს
სარეგის
ეკლესია. XIII
საუკუნის
მეორე
ნახევარი



საიდუმლო სერობის სცენა უდაბნოს მთავარი ტაძრის სატრაპეზოში. მაგიდასთან გამოსახული თორმეტი ფიგურის გარდა, იკითხება მეცამეტე ფიგურის ესკიზიც (მარცხნიდან მეხუთე ფიგურის უკან)

ლი სიუჟეტები. ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, გეხვდება როგორც ადგილობრივი ლანდშაფტისგან წარმოებული პიემენტი, ასევე ძვირად ღირებული ლაზურიტი. ადგილობრივ წმინდანთა ცხოვრების თემატიკას კი, თამარის მეფობის დროს, გადაფარავს ქალის როლის ხაზგასმის მცდელობა და მანამდე არსებულ დავითგარეჯელის ცხოვრების ციკლს, ზემოდან წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები გადაეწერება.

დავითგარეჯა საუკუნეების განმავლობაში პილიგრიობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, რასაც ადასტურებს მონასტრების გამოქვაბულთა კედლებზე ბერძნული, სომხური, სპარსული და არაბული ათასობით პილიგრი-

მული მინაწერი. ჩვენს დროში კი საპილიგრი-მო წარწერების პრაქტიკამ ვანდალიზმის სახე მიიღო და უძველესი ფრესკები ამოკაწრულია და ხშირად შეგნებულად დაზიანებულიც.

სამწუხაროდ, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი დღეს შეუქცევადი დაზიანებების საფრთხის წინაშე დგას, რომლის მთავარი მიზეზი ქანების დაშლის პროცესია. ქვიშაქვაში გამოკვეთილი კომპლექსი ინტენსიურ ეროზიას განიცდის, რაც ეკლესიებისა და სხვა ნაგებობების სტრუქტურულ დაზიანებებში ვლინდება. საუკუნეების განმავლობაში სამონასტრო კომპლექსი ადამიანის მხრიდანაც მნიშვნელოვნად დაზარალდა. თავდაპირველად XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევის

ზედი უდაბნოს მონასტრიდან. მოჩანს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი და ჯანდარის წყალსაცავი, რომლის ერთი ნახევარი საქართველოს საზღვრებშია, ხოლო მეორე — აზერბაიჯანის





უდაბნოს ხარების ეკლესია, XIII საუკუნის მეორე ნახევარი. ხარება და იერუსალიმად შესვლა. ამ ტაძარში განირჩევა ორი მხატვრის ხელი, ერთი მინიატურისტია, მეორე კი უფრო მასშტაბურ ფიგურებს გამოსახვს

დროს, ხოლო უახლოეს წარსულში, 1980-იან წლებში, როცა დავითგარეჯის მიმდებარე ტერიტორია საბჭოთა არმიის საწვრთნელ პოლიგონად იყო ქცეული. აფეთქებებით გამოწვეული ვიბრაცია ხელს უწყობდა კომპლექსში შემავალი ძეგლების სტრუქტურულ რღვევას, თავის მხრივ, ეს კედლის მხატვრობის შეუქცევადი დაზიანების მიზეზიც ხდებოდა.

დაზიანებათა პროგრესირების მთავარ მიზეზს დღეს მონასტერთა მოვლა-პატრონობის სტრატეგიისა და რესურსების არარსებობა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უნიკალური ფრესკების უდიდესი ნაწილი დღემდე აბსოლუტურად დაუცველია ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედებისაგან, ერთ-ერთ

უმთავრეს პრობლემას უსისტემო და არარეგულირებადი ტურიზმი წარმოადგენს. გასამართია ტურისტული ინფრასტრუქტურა, არ არსებობს ბარიერები და ამკრძალავი ნიშნები, საინფორმაციო დაფები და სხვ. შედეგად, დამთვალიერებლებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა არქიტექტურულ ძეგლებსა და კედლის მხატვრობაზე, რაც არასწორი მოპყრობის საფრთხესა და შესაძლებლობას ქმნის.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი დღეს საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია და მოქმედ მონასტერს წარმოადგენს.

მარიტა სასლთსუციშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი



ამონახილავი ძვანი წუხნად-ბაზეთუბიდან



იშხნის ტაძრის გუმბათი ფრესკით, თანამედროვე რესტავრაციამდე

ექ. თაყაიშვილი თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე იშხანი

ეს კათედრალის ტაძარი აგებულია ტაოში, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტაფობზე. ტაძარი აუგია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს, საბანს IX საუკუნის პირველ ნახევარში.

თავისი გეგმით იშხანის კათედრალი წარმოადგენს ერთნავიანი ბაზილიკისა და ცენტრალურ გუმბათიანი ტაძრის სინთეზს, და ამის გამო ჯვრის სახონებებს, დასავლეთი მკლავი წაგრძელებული აქვს. ტაძრის სწორედ ეს ნაწილი უკვე თაღჩაქცეული და შემდეგ კრამიტგადახურული მაჰმადიანებს თავისი მიზგითისათვის გამოუყენებიათ. ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და გუმბათი საკმაოდ კარგად არის დაცული. კათედრალი ნაგები ყოფილა მსუბუქად ნათალი აგური-

სებური ქვით, ხოლო 1032 წელს ბაგრატ IV დროს შეუძერწიათ მოყვითალო ნათალი ქვით. ბაგრატ IV შვილის გიორგი II დროს კიდევ გადაუკეთებიათ სამხრეთის კარის ბჭე. დასავლეთის ეკვტერი აღარ არსებობს. მოსპობილია აგრეთვე რესტავრაციისას, ჩემის აზრით, გალერიაც, სამხრეთის მხრით სამი ფრონტონით, იმგვარი, როგორიც დაცულია ოშკის ტაძარში. კარ-სარკმლები ტაძრისა შემკობილი ფრიად ლამაზი ჩუქურთმებით, რომლის მსგავსიც ბაგრატ IV დროს სხვა ძეგლებში იშვიათი არ არის. განსაკუთრებით ლამაზია სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები. რესტავრაციისას, ე. ი. 1032 წელს, გუმბათს ცოტა ცვლილება განუცდია. მისი რვა გულწახნაგი შეუქმიათ გარედან ლამაზად მოჩუქურთმებული თითო მრგვალი სარკმლით. ამ სარკმლების გამოკვეთის დროს დაუზიანებიათ, თითქოს დაუკოდიათო, წინასწარმეტყველთა სურათები და მათი წარწერები.

იმხნის კათედრალი ცნობილია, კარგი ფრესკებით. ტყუილად კი არ არის აქ გავრცელებული ასეთი გამოთქმა: „საქებარია სილამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იმხნისა“. მხატვრობა კედლებზე მთლად წარხოცილია. გუმბათში სხვათა შორის გადარჩენილია ლამაზი სტილის ჯვართამაღლება და ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვის ფრესკა — ეტლები, რომლებშიც შებმულია ფერადი ცხენები. საკურთხეველში მარჯვნივ, კანკელის ზემოთ, თაღზე მედალიონში ყოფილა დახატული ქალი, რომლის ძლიერ წაბლალული წარწერა მე ასე აღვადგინე: „(ნანა მეუღლე მირიანისა მცხეთისა) დედოფალი ნინოს მიერ განათლებული“.

ჩრდილოეთის ეკვტერში ვიპოვე უძველესი წარწერა, 27 სტრიქონიანი, შესრულებული ლამაზი ასომთავრულით. წარწერის რვა უკანასკნელი სრულიად წარხოცილია. დანარჩენები — მკრთალად მოსჩანან, მაგრამ წაკითხვა მათი მაინც შეუძელი.

იმხანში გადარჩენილია კიდევ კედლის მხატვრობის სამი წარწერა, თვით სურათები წარწერებში მოხსენებული პირებისა კი აღარ არსებობენ. პირველი წარწერა დასაწყისში დაზიანებულია. გაგრძელება იკითხება ასე: „(... ძე ბ) ბაგრატ კურაპალატისაი“... მეორე წარწერა — „ბაგრატ (მაგისტ) როსი, ქართველთა მეფე“. მესამე წარწერა იკითხება სრულიად: „ბაგრატ ერისთავთ ერისთავი: ძე ადარნესე კურაპალატისაი“.

ეს წარწერები მოგვითხრობენ ადრეულ ბაგრატიონებზე, რომელთა ჩამომავალნი XIX საუკუნემდე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მესვეურობას ეწეოდნენ და XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის

პირველ მეოთხედამდე ჩვენი „ოქროს ხანის“ შემქმნელნი გახდნენ.

„ქართული საქმე“, 1947 წ. №7

* * *

**სახუმარო ამბები
თავისუფალი ფილოსოფია**

ერთმა უზრდელმა ერთ მსწავლულს შენიშნა, რომ მას მეტად დიდი ყურები აქვს. ამაზე მსწავლულმა უპასუხა:

წარმოდგინეთ ერთი წუთით: ჩემი ყურები და თქვენი ტვინი! რა სამაგალითო ვირი გამოვიდოდაო!

ქურდი ბალზაკიან

ბალზაკთან ღამით ქურდი შეიპარა. ბალზაკი ხედავდა როგორ მიიპარებოდა ქურდი მისი საწერი მაგიდისაკენ, როგორ გამოაღო უჯრა და შიგ რაღაცას ეძებდა. ბალზაკმა ხმადაბლა სიცილი დაიწყო, ისე რომ შეშინებულმა ქურდმა უკან დაიხია და გაბრაზებულმა ბალზაკს შეეკითხა: „რაზე იცინი?“

იმაზე, რომ ღამით ჩემს საწერ მაგიდაში ფულს ეძებ, როდესაც მე ღლისით ამაოდ ვცდილობ შიგ რამე ვიპოვნო!


ლობი ზამფატი

მარკ ტვენი ზაფხულში სააგარაკოდ პატარა სოფელში იყო. მასთან მივიდა სოფლის რჩეულთა კომისია და სთხოვა — ცოტა რამ შეეწირა სასაფლაოს ღობის გასაკეთებლად.

„არა, — უპასუხა მან. — ჩემგან ერთ გრომსაც ვერ მიიღებ! რათ სჭირდება სასაფლაოს ღობე? ისინი, ვინც უკვე იქ არიან, ისედაც გარეთ ვერ გამოვლენ და მათ, ვინც ჯერ კიდევ იქ არ იმყოფებიან, უუკველია სრულიადაც არ სურთ იქ მისვლა!“

„საქართველო“, 1944 წ. №1 (78)

მოამზადა თუ ცაკურიშვილმა



გაზეთი „ქართული საქმე“ (ზემოთ) გამოდიოდა პარიზში, რედაქტორი ა. მეუნარგია. გაზეთი „საქართველო“ (ქვემოთ), ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა ბერლინში. რედაქტორი: ასმეთაური ვაი მალაქელიძე

მეგზური სიკეთის სამყაროში



პარიზის ბიბლიოთეკა მოზარდთათვის

წიგნი 2

„პირველი ნაბიჯები ქრისტიანობაში“



29 მარტიდან
ჟურნალ
„პარიზისთან“ ერთად



შვილებთან ერთად წასაკითხი წიგნები - სიკეთის, კანთომოყვარების, მიმბოძებლობის მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური ბიოგრაფიებიდან.

სერიის შემდეგი წიგნი:
„უფლის ანგელოზები“


ქართული
საბავშვო ჟურნალი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში,
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;
0(32)2382674 და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.

ორი აბაზი.
ვერცხლი.
თბილისი
(1806)



9 აპრილიდან
მონეტა №24



თვეში ერთხელ 1 ახალი
მონეტა გაზეთ
„კვირის კალიბრასთან“ ერთად

შეაგროვე 24 უძველესი ქართული მონეტა,
განათავსე წიგნ-ალბომში და
გახდი უნიკალური განძის მფლობელი

მონეტის სპეციალური ფასი 3.5 ლ
გაზეთთან ერთად 5 ლ



წიგნი-ალბომი და მონეტები იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და
პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.